

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
კაეკასიისა და აღმოსავლეთის კვლევის ცენტრი

აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დაუთრები

ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და
ფოტოასლები გამოსაცემად მოამზადეს:
ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ

**ACARA SANCAĞININ MUFASSAL VE İCMAL
DEFTERLERİ**

Hazırlayanlar: **ZAZA SHASHIKADZE, MİRİAN MAKHARADZE**



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation

აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი № A27-09). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.
This project has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation (Grant № A 27-09). All ideas expressed herewith are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge
უფასო გამოცემა

ნაშრომში წარმოდგენილი დოკუმენტები, რომლებიც დაცულია თურქეთის არქივებში უდიდესი მეცნიერული ღირებულებისაა. აქ წარმოდგენილი მასალები განსაკუთრებით საინტერესოა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად. იგი არაააკლებ საინტერესოა თვით ოსმალეთის იმპერიის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის თვალსაზრისითაც.

წიგნი განკუთვნილია აღნიშნული მხარის და საერთოდ საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის, ზოგადად აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

რედაქტორი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ შენგელია

სარედაქციო ჯგუფი

კორექტირება

ქართული – ზ.ტყაბლაძე

თურქული – გ.დათიაშვილი

არაბული – ი.თოფურშიძე

კომპიუტერული გრაფიკა

ლ.ჯინჯარაძე

ISBN 978-9941-9238-1-4



შ.პ.ს. გამომცემლობა ORIENT
E-mail: orientee@yahoo.com

რედაქტორის აცხადება

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ზემო და ქვემო აჭარის ვრცელი და მოკლე დავთრები. ამ წყაროების გამოქვეყნებას დიდი მნიშვნელობა აქვს ოსმალეთის პერიოდის აჭარის ისტორიის შესასწავლად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული მსგავსი დოკუმენტი დღემდე არ გამოქვეყნებულა. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორთა მიერ გაწეულია დიდი შრომა საქართველოს ისტორიის ოსმალური დოკუმენტური წყაროების ანკარისა და სტამბოლის არქივებში მოძიებისა და მათი გამოსაცემად მომზადების თვალსაზრისით. მოცემული დავთრები აქამდე ჩვენთვის უცნობი იყო. თურქეთის სხვადასხვა არქივში დაცულა ოსმალეთის იმპერიის ქართული ტერიტორიებისათვის შედგენილი საქმოდ ბევრი დავთარი, მათ შორისაა წინამდებარე დოკუმენტებიც. აჭარის ლივის მოკლე დავთარი ინახება ანკარის თაფუსა და კადასტროს არქივში, რომლის შიფრია 272. მეორე დავთარი, რომელიც უფრო დიდი და ეხება ზემო და ქვემო აჭარას, ინახება სტამბოლის მინისტრატა საბჭოს არქივში შიფრით 558. ზუსტად მისი ანალოგიურია მეორე დავთარი, რომლის შიფრია 197 ანკარაში, მიწისა და კადასტრის სახელმწიფო დეპარტამენტის არქივშია დაცული.

როგორც ცნობილია, ოსმალებმა აჭარის დაპყრობისთანავე შემოიღეს თავიანთი მმართველობის ფორმები, მოახდინეს ადგილობრივი მმართველობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ქვეყანაში შემოიღოდა მიწისმფლობელობის ოსმალური ფორმები, ფეხს იკიდებდა ოსმალური გადასახადები და საგადასახადო სისტემა, ქვეყნის განმგებლად ინიშნებოდნენ ადგილობრივი გამაჰმადიანებელი წარჩინებულები – ბეგები და ბეგლარბეგები. ავტორთა ხელთ არსებული დავთრები და სხვა ხასიათის დოკუმენტები ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა აღნიშნული საკითხების შესასწავლად.

ანკარის მიწისა და კადასტროს და სტამბოლის მინისტრატა საბჭოს არქივებში აღმოჩნდა არაერთი საინტერესო და უნიკალური დავთარი, როგორცაა: „ბათუმის ლივის ვრცელი დავთარი“, „ბათუმის ლივის მოკლე დავთარი“, ზემო და ქვემო აჭარის ვრცელი დავთარი“, „აჭარის ლივის მოკლე დავთარი“. ავტორის განკარგულებაშია აგრეთვე „ბათუმის ლივის მოკლე დავთარი“ და სხვა არაერთი უნიკალური ძეგლი, რომელთა ღირებულება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისათვის განუზომელია. აქ ძნელია ყველა დავთრის შესახებ ვრცელი ინფორმაციის გადმოცემა. ნაშრომის ავტორები სამომავლოდ შეეცდებიან ყველა დავთრის შესახებ მკითხველს მიაწოდონ ამომწურავი ინფორმაცია.

უკანასკნელ ხანებში ცნობილი გახდა, რომ მუსტაფა ლალა ფაშას სამცხეშიც საჩუქრად ებოძა მიწები. ის მიწები, რომლებიც მის მიერ იქნა დაპყრობილი. მისი ლაშქრობის შემდეგ მთელი ტერიტორიები მას გადაეცა, ზოგი ვაყუფედაც. ქვემო აჭარის გარკვეული სოფლები მუსტაფა ლალა ფაშას საკუთრებაში გადავიდა. იმდენად დიდი იყო ის ტერიტორიები, რომელსაც იგი ფლობდა, რომ მისი სამფლობელოები შავშეთშიც ვრცელდებოდა.

აქ წარმოდგენილია „აჭარის მოკლე დავთარი“, რომელიც რვა ფურცლისაგან შედგება. აქვეა სულთან მურად III-ის თულრა (ბეჭედი). დავთარი უთარილოა.

არც კანუნ ნამე ახლავს. დავთარში გაერთიანებულია ზემო და ქვემო აჭარა. ზემო აჭარის ლივა იწყება ცალკეული თიმარების, ზიამეთების და სხვა გადასახადების რეგისტრაციით. მათზე შეწერილი გადასახადების ოდენობის აღნიშვნით. არის შებჰანეს, იავასა და კაჩკუნის, ბეიტალმალის და სხვა გადასახადების ჩამონათვალი და მათზე შეწერილ გადასახადთა ოდენობა. შემდეგ საუბარია ვინმე სულეიმან ბეგის სახასობზე ქვემო აჭარის ლივაში. ჩამოთვლილია სოფლები თავისი შემოსევლებით. საერთო ჯამით. არის მთელი რიგი მინაწერებისა.

არის აჭარის მირმირანის აჰმედ ფასას ხასიცი, მათზე შეწერილი გადასახადით. ამჯერად ცალკეულ სოფლებზეა შეწერილი გარკვეული ოდენობის გადასახადები. ასევეა მიწერილი თიმარები და ზიამეთები გარკვეულ პირებზე, რომელთაც ევალებათ თანხის გადახდა. ზემო და ქვემო აჭარის ბეგებს მნიშვნელოვანი თანხის გადახდა მართებთ ამ დავთრის მიხედვით. ჩამოთვლილია ყველა სოფელი, მიწერილი ამა თუ იმ ბეგისადმი და დაანგარიშებულია ყოველი სოფლის შემოსავალი. შეწერილია მათზე გარკვეული ოდენობის გადასახადი, რომლის გადახდა ევალებოდა გარკვეულ პირს, ვისზედაცაა მიწერილი ესა თუ ის სოფელი. აღნიშნულ დავთარში ზემო და ქვემო აჭარისა, ზუსტადაა დაანგარიშებული თითოეული სოფლისთვის განკუთვნილი გადასახადის ოდენობა.

ზემო და ქვემო აჭარის შესახებ მოცემული ცნობები ხსენებულ დავთრებში საკმაო სიზუსტითაა გადმოცემული. დავთარში კონკრეტულადაა წარმოდგენილი თითოეული სოფლის სახელი, გადასახადთა სახეობანი, თუ ვის მფლობელობაშია ესა თუ ის სოფელი, რამდენი გადასახადია შეწერილი თითოეულ მათგანზე. რა სახის გადასახადებს იხდის ზემო და ქვემო აჭარის მოსახლეობა. აშკარაა, რომ მოსახლეობა ძირითადად იხდის ოსმალურ გადასახადებსა და ვალდებულებებს. ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა ასევე იხდის სხვადასხვა სახის ჯარიმებს, ბაჟებს. მოსახლეობაზე შეწერილია თითქმის ყველა სახის გადასახადი. საგადასახადო სისტემა, რომელიც ოსმალეთს შემოჰქონდა ზემო და ქვემო აჭარის ტერიტორიაზე, ძირფესვიანად განსხვავდებოდა ადრე საქართველოში არსებულ საგადასახადო სისტემისაგან. აჭარის შესახებ არსებულ ყველა დავთარში ოსმალური გადასახადებია ჩამოთვლილი და შეწერილი ადგილობრივ მოსახლეობაზე. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რიგ ტერიტორიებზე, მათ შორის აჭარაშიც ოსმალური მმართველობითი ფორმები და საგადასახადო სისტემა იწყებს დამკვიდრებას.

ოსმალური აღწერის დავთრები როგორც საისტორიო წყარო

ოსმალეთის იმპერიის ეკონომიკის ძლიერება პირდაპირ იყო დაკავშირებული დაპყრობით ომებთან. აქედან გაჩნდა ისტორიკოსებში ტერმინი „ხმალზე დაყრდნობილი ეკონომიკა“. ეს ტერმინი გამოხატავს ოსმალთა მიერ დაპყრობილი ქვეყნებისა და მათი მოსახლეობის რესურსების ექსპლუატაციას და გადასახადებით დაბეგვრას, რაც იმპერიის შემოსავლების ერთ-ერთ ძირითად წყაროს შეადგენდა. გამომდინარე აქედან ოსმალეთის იმპერიაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის აღწერას და განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სამხედრო და საფინანსო უწყებებს. მოქმედებდა ფინანსური უწყება (Defterhane-i Amire), სადაც დაწერილებითა და მთელი სიზუსტით ხდებოდა ფისკალური დოკუმენტაციის შედგენა. აღნიშნული კატეგორიის დოკუმენტაგან ერთ-ერთ ყველაზე მთავარს წარმოადგენდა აღწერის ერთეული და მოკლე დავთრები, რომლებშიც აღწერილია ესა თუ ის ტერიტორია, მასში შემავალი ყველა სოფელი თუ დასახლებული პუნქტი, მისი მოსახლეობა, დასამუშაებლად ვარგისი მიწები თუ საძოვრები. განსაზღვრული იყო მიწისმფლობელობის პირობები (თიმარი, ზეამეთი, ხასი...), მოსახლეობაზე გაწერილი გადასახადები და სხვა.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ იმპერიის ეკონომიკის დაღმასვლა იწყება მას შემდეგ, რაც მან ვეღარ შეძლო ახალი ტერიტორიების დაპყრობა და ახალი შემოსავლებით ცენტრალური ხაზინის შევსება.

დავთრების შედგენის საჭიროებას იწვევდა აგრეთვე ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული ორგანიზაცია. ოსმალთა მოხელეთა დიდი ნაწილი, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო, ხელფასს არ ღებულობდა ცენტრალური ბიუჯეტიდან. ასეთ კატეგორიას ნება ეძლეოდა აენაზღაურებინა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადებიდან.

ოსმალური აღწერის დავთრები მდიდარ და მრავალმხრივ საინტერესო ინფორმაციას შეიცავენ ზოგადად ოსმალეთისა და იმპერიაში შემავალი ამა თუ იმ პროვინციის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული ურთიერთობისა და მრავალი სხვა საკითხის შესასწავლად. მათში დაცული ცნობები სანდოა, რადგან დავთრები შედგენილია ადგილზე მომუშავე კომისიის მიერ თითოეული მონაცემის ზუსტად შემოწმებისა და შეჯერების შედეგად.

დავთრების შედგენისას აუცილებლად უნდა გათვალისწინებულიყო ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რის შემდეგაც ამ ტერიტორიის გარკვეულ სისტემაში მოყვანის მიზნით ხდებოდა მათი აღწერა. დავთრები ვრცელ ინფორმაციას შეიცავენ მათი შედგენის დროს არსებული ფასების შესახებ. მასში მოცემული გადასახადების და სოფლის, თუ დასახლებული პუნქტის შემოსავლის რაოდენობა დაანგარიშებული იყო

¹ „ჩილდერის ეილეთის ჯაბა დავთარი“ 1694-1732 თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკლევა დაურთო მ. სვანიძემ. თბ. 1979 წ. გვ. 29

იმპრონინდელი ფასებით.²

ახალ დაპყრობილ ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის შესწავლის შემდეგ მაშინვე წესდებოდა გადასახადები და საგადასახადო სისტემა, რომელიც ამ პროვინციას შეეფერებოდა. საგადასახადო კანონების მიხედვით, ამა თუ იმ ტერიტორიაზე კონტროლის საკითხი, დაყოფა და გადამოწმება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა.

თურქი ისტორიკოსი ი.პ.უზუნჩარშილი აღნიშნავს, რომ ფინანსური, ანუ ეკონომიკური თვალსაზრისით შედგენილი დავთრები ოსმალეთის იმპერიაში ყველაზე მოწესრიგებულ, სწორ და ზუსტ საკონტროლო საბუთებს წარმოადგენდნენ.

ყველა აღწერის კრცელი დავთრის შედგენის პრინციპი აბსოლუტურად იდენტურია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომელსაც საიმპერიო მთავრობის განკარგულების თანახმად ადგენდა ადგილზე მოვლენილი ოსმალ მოხელე.

XVI ს-ის მეორე ნახევარამდე აღწერის დავთრებს ცალკეული ლიეებისთვის ადგენდნენ, ხოლო უფრო მოგვიანებით – მთლიანი ვილაეთის თუ ეიალეთისათვის.⁵

კრცელი დავთრების უმრავლესობას წამძღვარებული აქვს მოცემული პროვინციის კანუნ-ნამე (კანონთა წიგნი), რომელიც არეგულირებს სოციალური ურთიერთობის, საგადასახადო, თუ სხვა წესებს.

ოსმალეთის იმპერიაში, როგორც ფისკალური ხასიათის ყველა დოკუმენტი, დავთრებიც სიაკათის ურთულესი ხელით იწერებოდა. აღნიშნული ხელის ამოკითხვა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ეს დამწერლობა გამოიყენებოდა ოსმალურ საფინანსო უწყებებში და მას მხოლოდ სპეციალისტები კითხულობდნენ. ეს კი იმიტომ ხდებოდა, რომ საფინანსო საქმეებში გარეშე პირს ვერ ჩაეხედა.⁶

დავთრის პირველ გვერდზე, როგორც ოსმალური დოკუმენტების უმრავლესობისთვის არის დამახასიათებელი ჩახატულია იმ პერიოდისათვის ტახტზე მყოფი სულთნის თურა, ბეჭედი, რაც ხშირად გვეხმარება დოკუმენტის შედგენის პერიოდის დადგენაში. არის შემთხვევები როდესაც დავთარს არ აქვს მიწერილი მისი შედგენის ზუსტი თარიღი.

მომდევნო ნაწილში, ნაპიეების (რაიონების) მიხედვით, მოცემულია გეოგრაფიული პუნქტების (სოფლების) სია, რომლებიც წარმოადგენენ საგადასახადო ობიექტებს. სიას თან დართული აქვს შეწერილი გამოსაღების ჯამი.

შემდეგ დასახელებულია ყველა სოფელი რაიონის ცენტრის აღნიშვნით,

² Öztürk Mustafa, Osmanlı Dönemi Fiyat Politikası ve Fiyatların Tahlili, TTK Belleten, cilt LV, sayı 212, Nisan 1991, Ankara 1991 yıl. s. 92

¹ Şınası Altundağ, Osmanlı İmparatorluğunun Vergi Sistemi Hakkında Kısa Bir Araştırma, Ankara Ün. D ve TCFD, cilt 5, sayı 2, Ankara 1947 yıl. s.191

⁴ Uzunçarşılı İ. H. Osmanlı Devleti Maliyesinin Kuruluşu ve Osmanlı Devleti İç Hazinesi, TTKK Belleten, cilt XI,II, sayı 165, Ocak 1978, Ankara 1978 yıl. s. 69

⁵ Uzunçarşılı İ. H. Osmanlı Devleti Maliyesinin Kuruluşu ve Osmanlı Devleti İç Hazinesi, TTKK Belleten, cilt XI,II, sayı 165, Ocak 1978, Ankara 1978 yıl. s. 397

⁶ Uzunçarşılı İ. H. Osmanlı Tarihi, III cilt, II kısım, Ankara 1954 yıl. s. 70

რასაც მოჰყვება მოცემულ სოფელში დასახლებულ კომლთა უფროსების სიები. ამ მხრივ ხალხის აღწერის ვრცელი დავთრები საინტერესო წყაროს წარმოადგენენ, როგორც ამა თუ იმ რეგიონის დემოგრაფიულ-სტატისტიკური ძეგლები. მათში აღწერილია სხვადასხვა მიზეზის გამო დაცლილი სოფლებიც კი, და ისეთებიც, სადაც მხოლოდ ორი და სამი კომლია შემორჩენილი.

კომლთა უფროსების (სახელების, მამის სახელების, ზოგჯერ პროფესიის) დასახელების და გადასახადთა ცალკეული სახეების ჩამოთვლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მათი ეროვნული თუ რელიგიური შემადგენლობისა და მოსაქმეობის განსაზღვრა. აკადემიკოსი სერგი ჯიქია აღნიშნავს, რომ მსგავსი ტიპის მასალებს დიდი მნიშვნელობა აქვს „არამართო ონომასტიკის შესწავლის თვალსაზრისით“, არამედ ამა თუ იმ მხარის „იმდროინდელი (იგულისხმება დოკუმენტის შედგენის პერიოდი – ზ.შ.) მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისითაც“.⁷ თუმცა, ამასთან დაკავშირებით ჩვენ საკუთარი მოსაზრება გავაჩნია. ვფიქრობთ, რომ აღნიშნულის გათვალისწინება ყოველთვის არ შეიძლება. მაგალითად, ოსმალეთის იმპერიის ქართული პროვინციების მაგალითზე თუ განვიხილავთ, ახალდაპყრობილ ტერიტორიებზე თავდაპირველი აღწერის დროს ეს თეორია მისაღებია. მაგრამ, რაც უფრო დრო გადის და მოსახლეობაში ისლამი იკიდებს ფეხს, იცვლება მისი ონომასტიკონიც. მოსახლეობაში მუსლიმური საკუთარი სახელების გავრცელებასთან ერთად ძნელი ხდება მისი ეროვნული შემადგენლობის განსაზღვრა. ვაზუსტებთ, რომ რელიგიური სურათის შეცვლა სულაც არ ნიშნავს ეროვნული სურათის შეცვლას. ამასთან, შეიძლება დროთა განმავლობაში ამა თუ იმ რაიონში ეროვნული სურათი მიგრაციის გზითაც შეიცვალოს.

მოსახლეობის დანაწილება სქესის მიხედვით დავთრების მონაცემთა საფუძველზე შეუძლებელია. შეუძლებელია მისი ასაკობრივი შემადგენლობის განსაზღვრაც.

კომლთა უფროსების სიებს მოჰყვება თითოეული სოფლისათვის გაწერილ გადასახადთა საერთო რაოდენობა. ყოველივე ამის შემდეგ ჩამოთვლილია გადასახადთა სახეები სათანადო თანხის აღნიშვნით. დავთრების ანალიზის საფუძველზე ნათლად იხატება ამა თუ იმ რეგიონში არსებული სამეურნეო სურათი. ირკვევა, თუ როგორ არის განვითარებული მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, სამიწათმოქმედო კულტურები, მათ შორის მევენახეობა, მარცვლეული კულტურები და სხვა.

ქვემოთ ასეთივე თანმიმდევრობით არის მოცემული მომდევნო დაბეგრული სოფლის გამოსაღებები. სხვადასხვა სოფლის გადასახადებისა და მათი რაოდენობის განხილვა შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ, თუ სოფლის მეურნეობის რა დარგები იყო განვითარებული ამა თუ იმ რაიონში.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე გაწერილი გადასახადების ოდენობა დგებოდა სამი წლის საშუალო მოსავლის საფუძველზე. ასე რომ, ვრცელი დავთრების მიხედვით ჩვენ გვეძლევა საშუალება გავარკვიოთ არა მარტო ამა თუ

7 Джикия С. “Турецкая рукопись Музея Грузии “Пространный реестр грузинского вилайета” (სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბე) ტ. I №6, თბ. 1940, გვ. 483-484

იმ პროდუქტზე გაწერილი გადასახადის რაოდენობა, არამედ, მისი საშუალო წლიური მოსავალიც.

დავთრებში საინტერესო ცნობებია მოცემული წისქვილებსა და მათზე გაწერილი გადასახადების შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, ხალხის აღწერის ვრცელ დავთრებში თანმიმდევრულად და ამომწურავად არის წარმოდგენილი გეოგრაფიული პუნქტები. როდესაც საქმე ეხება მოსახლეობის დაბეგვრას, ეჭვგარეშეა, რომ მასში დაფიქსირებულია ყველა ობიექტი. არ არის გამოტოვებული უმცირესი დასახლებული ობიექტიც კი.

ძალიან ხშირად, ამა თუ იმ პატარა და ნაკლებად ცნობილი, ან კიდევ უფრო გაუკაცრიელებული სოფლის აღწერისას, მითითებულია მისი მდებარეობა უფრო მსხვილ გეოგრაფიულ პუნქტებთან, რაც უფრო აადვილებს მისი ადგილმდებარეობის დადგენას. ამ მხრივ ვრცელი დავთრები უნიკალურ ძეგლებს წარმოადგენენ ისტორიული გეოგრაფიის შესასწავლად. როდესაც საქმე გვაქვს ქართულ ტერიტორიებთან ეს საკითხი გარკვეულწილად უფრო რთულდება. საერთოდ, ერთი ენის ენობრივი მასალის გადმოცემა მეორე ენის გრაფიკული საშუალებებით გარკვეული რიგის დაბრკოლებებს ხვდება. ასეთ შემთხვევაში, კვლავ აკადემიკოს სერგი ჯიქიას თუ დავესესხებით: „სხვადასხვა ენის ფონეტიკური განსხვავებულობით შეპირობებული მეტნაკლები ოღროზორობა, რა თქმა უნდა ყოველთვის იჩენს თავს. ამ გარემოებით არის გამოწვეული, რომ თურქულ ტრანკრიფციაში ქართული სახელები იმდენად არის შეცვლილი, მათი პირვანდელი სახის აღდგენა დიდ დაკვირვებასა და ადგილის ტოპონიმიკის ზედმიწევნით ცოდნას მოითხოვს.“

დავთრებში ხშირად გვხვდება ჩანართები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ამა თუ იმ სოფლის, ან რაიმე კონკრეტული მოვლენის შესახებ.

გარდა ისტორიულისა, ამ ტიპის ძეგლებს დიდი ფასეულობა გააჩნიათ ფილოლოგიური თვალსაზრისითაც. გარკვეული პერიოდის თურქულ ენაზე დაწერილი ძეგლი, ამ დროის თურქული ენის შესწავლისათვის მეტად მნიშვნელოვან და დამახასიათებელ ენობრივ მასალას შეიცავს. ქართული რეგიონების შემთხვევაში ძეგლს გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თურქულ-ქართული ენობრივი ურთიერთობის საკითხების კვლევისათვისაც. გარდა ამისა, არაბულ-თურქული ტრანკრიფციით გადმოცემული უამრავი ქართული საკუთარი სახელის შესწავლა საშუალებას იძლევა გამოტანილი იქნას საყურადღებო დასკვნები ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალეთის იმპერიაში აღწერის ჩატარების შედეგად პარალელურად დგებოდა ორი სახის დავთარი. პირველი – ვრცელი დავთარი, რომელზეც ზემოთ უკვე ვრცლად ვიასაუბრეთ, გვიჩვენებდა გადასახადებს, მათი წყაროების დაწვრილებითი ჩვენებით; მეორე – მცირე დავთარში აღნიშნული იყო წლიური შემოსავლის განაწილება მხარეთა შორის.

მცირე დავთრებში ჩამოთვლილია ყველა სოფელი, რომელიც აღწერილია ვრცელ დავთრებში და მიწერილია მის მფლობელზე. დაანგარიშებულია ყოველი

⁸ “გურჯისტანის ეილაეთის დიდი დავთარი”, გამოკლევა. ს. ჯიქია, წიგნი III, თბილისი 1958 წ. გვ. 24

სოფლის შემოსავალი ცალკეული გადასახადების დასახელების გარეშე.

მცირე დავთრები უფრო ნაკლებად ინფორმაციული ხასიათისაა, ვიდრე ვრცელი. თუმცა ცალკეული მათგანი ზოგჯერ შეიძლება ისეთ ინფორმაციას შეიცავდეს, რომელსაც ვრცელ დავთარში ვერ შევხვდებით.

მსგავსი ტიპის დოკუმენტთაგან ქართული ისტორიოგრაფიისათვის ბოლო პერიოდამდე ცნობილი იყო 1595 წლით დათარიღებული „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი“, რომელიც სამხრეთ და სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ოსმალური პერიოდის ისტორიის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდა. ქართველ თურქოლოგებს ხელთ ჰქონდათ აგრეთვე თბილისის ეიალეთის დავთარი (1728 წ.), რომელიც სრული სახით სულ ახლახანს გამოაქვეყნა პროფესორმა ნოდარ შენგელიამ.

ბოლო პერიოდში, თურქეთის არქივებში მუშაობის შედეგად გამოვლენილი იქნა აღნიშნული ტიპის არაერთი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ქართულ ტერიტორიებს (აჭარის სანჯაყის⁹, ბათუმის სანჯაყის, გურჯისტანის ვილაეთის 1574 წლის, არტანუჯის და სხვათა სახით). ზოგიერთი მათგანის ასლი ხელმისაწვდომია და მოპოვებულია. მხოლოდ მეცნიერული დამუშავების შემდგომ იხილავს დღის შუქს. ბევრი მათგანის მხოლოდ ადგილმდებარეობაა ცნობილი. მათი მოპოვება და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა უამრავ სიახლეს შემოიტანს ქართულ ისტორიოგრაფიაში და მრავალ ისეთ საკითხსაც მოჰფენს ნათელს, რომელიც არასწორად არის დასმული ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია “ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი” (შემდგომში „დავთარი“). მიუხედავად იმისა, რომ „დავთარი“ დასახელების მიხედვით „ზემო აჭარისა“, იგი მთლიანად მოიცავს მდინარე აჭარისწყლის ბასენის თავისი პატარა ხეობებით, რომელიც ორ – ზემო და ქვემო აჭარის ნაპიეებად¹⁰ არის დაყოფილი. არსებობს დავთრის ორი ეგზემპლარი. ერთი ინახება ანკარის მიწისა და კადასტრის დეპარტამენტის არქივში (შიფრი 272), ხოლო მეორე სტამბოლის მინისტრთა საბჭოს ოსმალურ არქივში (შიფრი 558). დავთრის სიგრძე 42 სანტიმეტრია, სიგანე 13. ჩასმულია ყავისფერ ტყავის ყდაში, სადაც ამოტვიფრულია მისი დასახელება (صلواتك على اهلنا). შედგება 18 ნაწერი გვერდისგან. ხელნაწერი შესრულებულია შავი მელნით.

როგორც წესი ოსმალეთის იმპერიაში ვრცელი დავთრების ორი ვარიანტი კეთდებოდა. ორივე დავთარი აბსოლუტურად იდენტურია, თუმცა ანკარაში დაცულ ვარიანტს მერვე და მეცხრე ფურცლებზე აქვს ოთხი უფრო გვიანი პერიოდის მინაწერი, რომლებსაც „სტამბოლის ვარიანტში“ ვერ ვხვდებით. ოთხივე მინაწერი ერთსა და იმავე დღეს, პიჯრის წელთაღრიცხვის 1248 წლის 18 ჯგმაზიეველს (1832 წლის 13 ოქტომბერი) არის შესრულებული. პირველი, შედარებით ვრცელია და ხულაში არსებულ ვაყუფს ეხება. მინაწერიც სოფელ ხულას აღწერის ადგილასაა გაკეთებული. მეორე მინაწერი სოფელ ღორჯომს

⁹ მდინარე აჭარისწყლის ხეობა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აჭარის სანჯაყის (სადროშოს) სახით ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა.

¹⁰ ნაპიე – ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული ერთეული, რაიონი.

¹¹ წარმოვადგენთ ტექსტების ოსმალურ ვარიანტს ქართული თარგმანებით:

ეკუთენის.¹² შესამე და მეოთხე მცირე მინაწერები შესაბამისად ბელღეთსა და ქვედა კურძას ეხება.¹³

“დავთარზე” მისი შედგენის ზუსტი თარიღი მითითებული არ არის, მაგრამ მის პირველსავე გვერდზე დასმული სულთან სელიმ მეორის (1566-1574 წწ.) თულრა გვამცნობს, რომ იგი მისი სულთნობის წლებშია შედგენილი. იგი საუკეთესო წყაროს წარმოადგენს როგორც კონკრეტულად აჭარის, ისე მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის არაერთი საკითხის შესასწავლად. უნდა ითქვას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არ შემოსულა მსგავსი ღირებულების წყარო XVI საუკუნის აჭარის ისტორიისათვის.

“დავთარში” მთლიანად არის აღწერილი აღნიშნული ტერიტორიის მოსახლეობა და ამისდა მიხედვით არის გაწერილი გადასახადები. ჩამოთვლილია სოფლები თავისი გადასახადებით, მოსახლეობის კომლთა რაოდენობით, თითოეული კომლის დასახელებით, ეი ყველა იმ ატრიბუტით, რაც საერთოდ არის დამახასიათებელი ხალხის აღწერის ოსმალური ვრცელი დავთრებისათვის. ბოლოს შეჯამებულია თითოეული სოფლის კომლთა რაოდენობა, გადასახადთა სახეობანი და ამა თუ იმ სოფელზე შეწერილი გადასახადების საერთო რაოდენობა.

ამრიგად, ამ წყაროს მიხედვით ფართოდ შეიძლება მსჯელობა ამ ტერიტორიის ეკონომიკურ, სოციალურ, თუ პოლიტიკურ მდგომარეობაზე. იგი არაერთ საკითხს მოკფენს ნათელს და მეტნაკლებად მიმოფანტავს იმ ბურუსს, რომლითაც მოცულია აღნიშნული პერიოდის აჭარის ისტორია. წერტილს დაუსვამს იმ მცდარ ვარაუდებსა და მსჯელობებს, რომლებიც მიმდინარეობდა ამ პერიოდის აჭარის ისტორიის ირგვლივ, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ისტორიოგრაფიაში.

ამავე აჭარის და ზოგადად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს

چندر اجمالنده ميرميران چندر حاصی محالته موضوع رساله ده تفصيل اولندغی اوزره قريه نه مزبورہ حاصی ميرميران چندر (1) و چندر بکلریکی احمد پاشانن اجاره نحیه سنه تابع حولاً نام قريه ده بنا انشاسنه موفق اولدغی جامع شرف و درت عدد مدرسه سنه وقف باخط همايون صادر اولان فرمان علی موجبنجه وقتیت اوزره تصخيخ اولندی فی ۱۸ جمادی الاول سنه ۲۴۸ (ახალციხის მოკლე დავთარში ჩილდირის მირმირანის ხასის შესახებ არსებული ჩანაწერის მიხედვით ხსენებული სოფელი ჩილდირის მირმირანის ხასი (?) და აჭარის ნაიყსადმი დაქვემდებარებულ სოფელ ზულაში ჩილდირის ბეგლარბეგს ამავე ფაშას წმინდა ჯამესა და ოთხი მედრესეს აშენება აქვს გადაწყვეტილი. ამ მიზნით [ეს ადგილი] სასულთნო წერილით გამოსული უმაღლესი ფირმანით ვაყუფად გაფორმდა. 18 ჯემაზიუეველი 248 წელი).

ظہر ورقده غورجوہ نام قريه ده تفصيل اولندغی اوزره قريه نه مزبورہ داخی وقتیت وجہ یلہ باخط همايون صادر اولان فرمان ۱۲ علی موجبنجه تصخيخ اولندی فی ۱۸ جمادی الاول سنه ۲۴۸ (ფურცლის უკანა მხარეზე სოფელ ლორჯომის შესახებ მინაწერის მიხედვით ხსენებული სოფელიც სასულთნო წერილით გამოსული უმაღლესი ფირმანით ვაყუფად გაფორმდა. 18 ჯემაზიუეველი 248 წელი).

ظہر ورقده تفصيل اولندغی اوزره قريه نه مزبورہ داخی وقتیت وجہ یلہ باخط همايون صادر اولان فرمان علی موجبنجه ۱۳ ۲۴۸ تصخيخ اولندی فی ۱۸ جمادی الاول سنه ۲۴۸ (ფურცლის უკანა მხარეზე მინაწერის მინაწერის მიხედვით ხსენებული სოფელიც სასულთნო წერილით გამოსული უმაღლესი ფირმანით ვაყუფად გაფორმდა. 18 ჯემაზიუეველი 248 წელი).

قريه نه مزبورہ داخی برمنوال محرر وقتیت وجہ یلہ باخط همايون صادر اولان فرمان علی موجبنجه تصخيخ اولندی فی ۱۸ جمادی الاول سنه ۲۴۸ (ხსენებული სოფელიც ნაწერის მიხედვით სოფელიც სასულთნო წერილით გამოსული უმაღლესი ფირმანით ვაყუფად გაფორმდა. 18 ჯემაზიუეველი 248 წელი).

ისტორიისათვის არანაკლებ საინტერესო წყაროს წარმოადგენს “აჭარის ლივის მოკლე დაეთარი”, რომელიც აგრეთვე არ არის დათარიღებული, მაგრამ ირკვევა, რომ ვრცელ დაეთარზე ოდნავ მოგვიანებით, სულთან მურად III-ის (1574-1595 წწ.) პერიოდშია შედგენილი. თუ “ზემო აჭარის ლივის ვრცელ დაეთარში” დაწერილებითაა ჩამოთვლილი თითოეული სოფლის მოსახლეობი სია, სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგები, მათზე გაწერილი გადასახადები და მათი ოდენობა, “აჭარის მოკლე დაეთარში” ჩამოთვლილია მხოლოდ სოფლების სია და კომლთა რაოდენობა, გაწერილი გადასახადების საერთო ოდენობის აღნიშვნით. მასში არ არის ცნობები სოფლების შიგნით ცალკეული გადასახადების განაწილების შესახებ. ამ დაეთარიდან არ ჩანს აგრეთვე რა სახის გადასახადები იყო გაწერილი ამა თუ იმ სოფელზე და როგორი ოდენობით ემართათ იგი გლეხებს.

“აჭარის ლივის მოკლე დაეთარი” სულ ცამეტი გვერდისაგან შედგება. მასში გაერთიანებულია ზემო და ქვემო აჭარის ნაპიეები. იწყება ცალკეულ მიწის ნაკვეთებზე (თიმარებზე და ზიამეთებზე) შეწერილი გადასახადების ოდენობის აღნიშვნით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, “აჭარის ლივის მოკლე დაეთარში” არ არის დასახელებული ცალკეული გადასახადები, მაგრამ ზემო აჭარაში ზოგან ვხვდებით ისეთ გადასახადებს, როგორცაა: სამღებროზე, ტყავზე და მისთანებზე დაწესებული გადასახადები. იქვე ნაჩვენებია მათი რაოდენობა. ქვემო აჭარის ნაპიეში საუბარია ვინმე სულეიმან ბეგის სახასოებზე. ჩამოთვლილია სოფლები თავიანთი შემოსავლებით, საერთო ჯამით. დაეთარს ახლავს მთელი რიგი მინაწერებისა, რომლებიც უფრო შემდგომ პერიოდს ეკუთვნის.

დაეთარში აღნიშნულია მირ-მირანის აჰმედ ფაშას ხასიც, მასზე შეწერილი გადასახადების რაოდენობით. ამჯერად გარკვეული ოდენობა ცალკეულ სოფლებზეა შეწერილი.

ასევეა თიმარები და ზეამეთები შეწერილი გარკვეულ პირებზე, რომელთაც ევალებათ გარკვეული თანხის გადახდა. ჩამოთვლილია ყველა სოფელი, მიწერილი ამა თუ იმ ბეგზე და დაანგარიშებულია ყოველი სოფლის შემოსავალი. შეწერილია მათზე გარკვეული ოდენობის გადასახადი, რომლის გადახდაც ევალება პირს, ვისზეც არის მიწერილი ესა თუ ის სოფელი.

აღნიშნულ დაეთარში თითქმის ყველა ის სოფელია ჩამოთვლილი, რომელსაც ვხვდებით “ზემო აჭარის ლივის ვრცელ დაეთარში”. დაანგარიშებულია თითოეული სოფლისათვის განკუთვნილი გადასახადის ოდენობა და შეწერილია ცალკეულ სოფელზე.

მიუხედავად იმისა, რომ “აჭარის ლივის მოკლე დაეთარი” შეიცავს შედარებით მწირ ინფორმაციას ვიდრე ვრცელი დაეთარი, იგი უაღრესად საინტერესო წყაროს წარმოადგენს აჭარის ისტორიის შესასწავლად. უფრო მეტიც, ზოგჯერ იგი შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელსაც ვრცელ დაეთარში ვერ ვხვდებით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარის ლივის მოკლე დაეთარში მოცემული სოფლების სახელწოდებათა მცირე ნაწილი ვარაუდის დონეზე არის ამოკითხული. ასე, რომ მათი დაზუსტება კვლავ სამომავლო საქმედ რჩება.

აჭარისწყლის ხეობის სოფლები და მისი მოსახლეობა XVI საუკუნის მეორე ნახევარში

XVI საუკუნის 60-იან წლებში, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რეგიონებთან ერთად, ოსმალებმა მდინარე აჭარისწყლის ხეობაც დაიპყრეს და აქ საკუთარი ხელისუფლების დამყარებას შეეცადნენ. როგორც წესი, მოხდა ხეობის აღწერა და ადგილობრივი ადმინისტრაციულ-მმართველობითი სისტემის შექმნა, რის შემდეგაც აღნიშნული ტერიტორია ოსმალეთის იმპერიაში აჭარის ლივის (იგივე სანჯაყის) – ანუ სადროშოს სახით იქნა გაერთიანებული (11.146-158).

სულთან სელიმ II-ის (1566-1574 წწ.) დროს შედგენილი “ზემო აჭარის ლივის დიდი დავთარი” ოსმალთა მიერ აჭარის აღწერის პირველ დოკუმენტს წარმოადგენს. იგი მოიცავს როგორც ზემო, ისე ქვემო აჭარას. „დავთარში“ ზემო და ქვემო აჭარა ცალკეულ ნაპიებად (რაიონებად) არის დაყოფილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ოსმალეთის იმპერიაში შედგენილი ხალხის აღწერის დავთრები საისტორიო თვალსაზრისით მრავალმხრივ ინტერესს იწვევენ. აღწერილი რეგიონის ისტორიის მრავალ სხვა საკითხთან ერთად აღნიშნული სახის დოკუმენტები ძალზე საინტერესო იყო ტოპონიმისა და დემოგრაფიული მდგომარეობის განხილვის თვალსაზრისითაც. ქვემოთ ჩვენ შევეცადეთ აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრებზე დაყრდნობით შეგვესწავლა ეს საკითხები.

სიაკათის ურთულესი ხელით შესრულებული ხელნაწერის ამოკითვა საკმაოდ დიდ სიძნელეებთან იყო და არის დაკავშირებული. აკადემიკოსი სერგი ჯიქია ამბობს - „ოსმალურ ტრანსკრიფციაში ქართული სახელები იმდენად არის შეცვლილი, რომ მათი პირვანდელი სახის აღდგენა დიდ დაკვირვებასა და ადგილის ტოპონიმის ზედმიწევნით ცოდნას მოითხოვს. ასეთ შემთხვევებში სხვადასხვა ენის ფონეტიკური განსხვავებულობით შეპირობებული მეტნაკლებობა, რა თქმა უნდა, ყოველთვის იჩენს თავს.¹⁴ აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ აღნიშნული ტიპის ხელნაწერში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის არ გამოიყენებოდა ტრანსკრიფციული ნიშნებისათვის დართული წერტილოვანი ნიშნები, რომლებსაც უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს არაბულ დამწერლობაში. ეს გარემოება აუცილებლად არის გასათვალისწინებელი ჩვენს მიერ ქვემოთ გადმოცემული არაბული ტრანსკრიფციის ამოკითხვის დროს.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, თუ როგორ შეიძლებოდა აღექვა „დავთარში“ შემდგენელ უცხოელ, ამ შემთხვევაში, ოსმალ მოხელეს, ამა თუ იმ ქართული სოფლის სახელწოდების უღერადობა და როგორ გადაიტანდა მას ოსმალურ ტრანსკრიფციაში. აღნიშნული გარემოებები ძალზე ართულებს ტოპონიმთა ზუსტ ამოკითხვას და ადვილი შესაძლებელია, რომ ხშირ შემთხვევაში სრულიად სხვა, ანუ ნამდვილისაგან განსხვავებული სახელწოდება მივიღოთ.

„დავთარში“ დასახელებულია ხეობის ყველა სოფელი რაიონის (ნაპიის)

¹⁴ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ. I. ტექსტი. თბ. 1947. გვ. 24

აღნიშვნით, რასაც მოჰყვება მოცემულ სოფელში დასახლებულ კომლთა უფროსების სია. იმდენად, რამდენადაც საქმე ეხებოდა დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობის გადასახადებით დაბეგრას, ეჭვგარეშეა, რომ აღწერილია ყველა დასახლებული პუნქტი, ანუ დასაბეგრი ობიექტი. არ არის გამოტოვებული უმცირესი პუნქტიც კი (ერთკომლიანი, ორკომლიანი) (იხ. „დავთარი“, გვ.4,10,18). მეტიც, მასში, ჟამთა სიავის გამო მოსახლეობისაგან დაცლილი სოფლებიც არის აღწერილი (იხ. „დავთარი“, გვ.4,10,11,12,17,18).

ძალიან ხშირად ამა თუ იმ პატარა, ნაკლებად ცნობილი სოფლის აღწერისას, მითითებულია მისი მდებარეობა უფრო მსხვილ გეოგრაფიულ პუნქტებთან, რაც უფრო აადვილებს როგორც მისი ადგილმდებარეობის, ისე სახელწოდების განსაზღვრას.

„დავთარში“ დამოწმებული სოფლების სახელწოდებათა დადგენაში უაღრესად დიდი დახმარება გაგვიწია თედო სახოკიასა¹⁵ და ზაქარია ჭიჭინაძის¹⁶ მიერ მოგზაურობის დროს გადმოცემულმა აჭარის სოფელთა ჩამონათვალებმა და აგრეთვე, თანამედროვე მკვლევართა – იური სიხარულიძის,¹⁷ შოთა მამულაძის,¹⁸ მიხეილ ქამადაძის¹⁹ ნაშრომებმა. მათ ნარკვევებში დაწვრილებით არის წარმოდგენილი აჭარისწყლის ხეობის ყველა დასახლებული პუნქტი თავისი უბნების, სათესების, სათიბების და სხვათა მითითებით, ნაჩვენებია ციხესიმაგრეებისა და მათი ნანგრევების ადგილმდებარეობანი და სხე.

„ზემო აჭარის ლივის დიდ დავთარში“ სოფლები ძირითადად თანმიმდევრობით არის აღწერილი, თუმცა ზოგჯერ ეს თანმიმდევრობა ირღვევა. აღწერა ზემო აჭარის ნაპიუდან იწყება. შემდეგ მას ქვემო აჭარა მოსდევს. სოფლების უმეტესობის ზუსტ სახელწოდებათა დადგენა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამხმარე ლიტერატურის გამოყენებით მოხერხდა. „დავთარში“ გვხვდება ისეთი სოფლებიც (ძირითადად მოსახლეობისაგან დაცლილი), რომელთა სახელწოდებებიც დღეისათვის დაკარგულია. მათი ამოკითხვის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ასეთ შემთხვევაში გადმოვცემთ ამოკითხვის ჩვენეულ ვარიანტს (რა თქმა უნდა, ვარაუდის დონეზე) და იქვე, გვერდით, ფრჩხილებში ეუჩვენებთ მის „დავთარში“ წარმოდგენილ არაბულ ტრანსკრიფციას, რათა შემდგომში გაიზარდოს მათი დაზუსტების შესაძლებლობა.

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ გარკვეულწილად ვიცავთ „დავთარის“ სტილსაც, როცა ამა თუ იმ სოფლის გვერდით ეუთითებთ დასახლებულ კომლთა რაოდენობას და ზოგიერთ სოფელთან მითითებული უბნის სახელწოდებას, რომელიც დავთარში ცალკე არ გვხვდება.

სოფლების ჩამონათვალი დავთარში შემდეგი თანმიმდევრობით არის მოცემული:

ზემო აჭარის ნაპიე ხსენებულ (აჭარის – ზ. შ.) ლივაში:

¹⁵ თედო სახოკია. მოგზაურობანი. ბათუმი 1958

¹⁶ ზაქარია ჭიჭინაძე. მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. თბ. 1913

¹⁷ იური სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია. I. ბათუმი. 1958; სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია. II. ბათუმი. 1959

¹⁸ შოთა მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი. 1993

¹⁹ მიხეილ ქამადაძე. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. თბ. 1992

სოფელი იორამის (אֶרְמֹם) ციხის რაბათი, რომელიც 15 კომლით არის დასახლებული. მითითებულია, რომ ციხის მეორე სახელწოდებაა შუბანი და იგი ახლოს არის ზედუბანთან. როგორც ჩანს, საუბარია დღევანდელი შუბნის ტერიტორიაზე არსებულ ნაციხარზე. მისი პირველი სახელწოდება, ვფიქრობთ, რომ ციხის იმდროინდელ მფლობელთან (ან მშენებელთან და ა.შ.) უნდა იყოს დაკავშირებული.

შემდეგი სოფელია ჭა, რომელშიც 8 კომლი ცხოვრობს. მითითებულია, რომ იგი ახლოს არის სოფელ მელიქწმინდასთან. სადღეისოდ ამ სოფლის სახელწოდება არ არის შემორჩენილი. სიაკათის საეციფიკიდან გამომდინარე, მისი ამოკითხვის ათი ვარიანტი არსებობს. გავითვალისწინეთ რა ცნობილი მოსაზრება ტერმინ „აჭარის“ წარმოშობის შესახებ, რომლის ამოსავალ ფორმად „ჭ“-ს („ჭა“) მიიჩნევენ და წყაროს, მდინარისა თუ საკუთრივ ჭის განმარტებას აძლევენ,²⁰ ჩვენი „არჩევანი“ აღნიშნულ სახელწოდებაზე შევაჩერეთ. ამგვარი ვარაუდი კიდევ უფრო მყარი გვეჩვენა მას შემდეგ, რაც აღნიშნული ადგილები დავათვალიერეთ. მდინარე სხალთის ხეობაში, დღევანდელი ფურტიოს ერთ-ერთ უბანში დავაფიქსირეთ საკმაოდ მოზრდილი ჭაობი, რომელიც ადგილობრივი რელიეფის გათვალისწინებით, უცნაურადაც კი ჩანს. სოფლის მკვიდრთა გადმოცემით ამ ტერიტორიას ძველად „ყუეუს“ ეძახდნენ. აღნიშნული სახელწოდება თურქულია და ქართულ თარგმანში „ჭას“ ნიშნავს. როგორც ჩანს, სოფლის სახელწოდება დროთა განმავლობაში თურქულად „ითარგმნა“.

მომდევნო სოფელია 14 კომლით დასახლებული მელიქწმინდა, რომელიც ახლოს არის ჭასთან. ვფიქრობთ, რომ სახელწოდება რელიგიურია და წმინდა ადგილთან არის დაკავშირებული. ზემოთ აღნიშნულ ჭასთან არც თუ ისე მოშორებით, სოფელ ფურტიოს ერთ-ერთ უბან მჭედლურში მდებარეობს საკმაოდ დიდი ნაეკლესიარი. სავარაუდოა, რომ აღნიშნული სახელწოდება ამ ეკლესიასთან არის დაკავშირებული. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ მჭედლური, ძირითადად, მელიქიშვილებით არის დასახლებული, რომლებიც აღნიშნულ ნატაძრალს ძველ საგვარეულო ეკლესიად მიიჩნევენ.

მეოთხე სოფელია სხალთა 15 კომლით, რომელიც ახლოს არის ფაჩხას მაჰალესთან (უბანთან). ფაჩხა ამჟამად ცალკე სოფელია, რომელიც სხალთის საკრებულოშია გაერთიანებული. როგორც ვხედავთ, „დავთრის“ შედგენის პერიოდში იგი სოფელ სხალთის ერთ-ერთი უბანი იყო. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ამჟამად სხალთა როგორც ცალკე სოფელი არ არსებობს. ამ სახელწოდებით მოიხსენიება სხალთის საკრებულოში შემავალი სოფლები.²¹

სოფელი წაბლვანა (ამჟამად – წაბლანა) – ცხოვრობს 9 კომლი.

სოფელი ჭერი – დასახლებულია 8 კომლით. ახლოს არის ძმაგულას მაჰალესთან.

ზემო კურძა – ცხოვრობს 5 კომლი. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს სოფელი არის დღევანდელი გურძაულის ზემო ნაწილი და სოფელს ჰქვია კურძა. სიტყვის მეორე ნაწილი „ული“ ოსმალურად „ზემოს“ ნიშნავს. როგორც ჩანს, სოფლის დღევანდელ სახელწოდებას დაბოლოება – „ული“ ოსმალთა

²⁰ იური სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია. I. ბათუმი. 1958, გვ. 143

²¹ მიხეილ ქამადაძე. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. თბ. 1992, გვ. 144

პერიოდიდან შემორჩა და პირველმა ნაწილმაც („გურძა“) მცირედ იცვალა სახე. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის ფაქტიც, რომ „დაეთარში“ შემდეგ ცალ-ცალკე გვხვდება სახელწოდებები – კურძა და კურძა სუფლა (ქვემო კურძას).

სოფელი თავო – ახლოს არის კურძასთან. ცხოვრობს 5 კომლი.

ჩაო – ახლოს არის თავოსთან. ცხოვრობს 7 კომლი.

ფურტიო – 4 კომლი. საყურადღებოა, რომ მისი სახელწოდება იკითხება როგორც ფურდი.

ნენია – 5 კომლი.

დაბაძველი – 2 კომლი.

ლახორი – 7 კომლი.

დანისპარაული – 5 კომლი.

კვატია – 4 კომლი.

ოშქანა – 6 კომლი. აღნიშნულია, რომ სოფელი ახლოს არის ვარდიდაბას (۴۴۱ ۱۲۱۹) მაჰალესთან. დღევანდელ დღეს აღნიშნულ ტერიტორიაზე ეხვლებით სოფელს, რომლის სახელწოდებაცაა ოშანახევი.

სოფელი საქშთავი (سکانشا) – დაცლილია მოსახლეობისაგან.

ქუდგაური – დაცლილია მოსახლეობისაგან. აღნიშნულია, რომ საქაშთაო და ქუდგაური ახლოს არიან სოფელ ბელღეთთან. ზაქარია ჭიჭინაძეს დასახლებული აქვს სოფელი ქუთაური, რომელიც ახლოს არის სოფელ ქოჩახთან და რომლის სახელწოდებაც, ძალზედ წააგავს „დაეთარში“ დამოწმებულ ქუდგაურს. შესაძლებელია, რომ ერთსა და იმავე სოფელთან გვექონდეს საქმე.

შემდეგი სოფელია მაწყვალთა, რომელიც დაცლილია მოსახლეობისაგან.

მომდენო სოფელია თხილვანა, სადაც ცხოვრობს 2 კომლი.

სოფელი ბულაური, რომელიც ახლოს არის გორშეშის (گورکش) მაჰალესთან, 8 კომლით არის დასახლებული.

სოფელი ტბეთი – ახლოს არის ბოძაულთან და დაცლილია მოსახლეობისაგან. საერთოდ, აღნიშნული ტოპონიმი, როგორც ჩანს, ფართოდ იყო გავრცელებული და იგი დაეთარში რამდენიმე ადგილას გვხვდება. ამიტომაც, ეს სოფელი არ უნდა აგვერიოს დღევანდელ ტბეთთან, რომელიც შუახევის რაიონში მდებარეობს. მას ჩვენ ქვემოთ შევხვდებით.

სოფელი შუანაღვარი - დაცლილია მოსახლეობისაგან. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ნაღუარევი განმარტებულია როგორც ხევი.²² გარდა ამისა, მსგავსი ტოპონიმი გვხვდება ჭვანის ხეობაშიც (სოფ. ნაღვარევი). აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სახელწოდება სწორად არის ამოკითხული და მას „შუა ხევის“ მნიშვნელობა აქვს;

ზაქარია ჭიჭინაძის აჭარის სოფელთა ჩამონათვალში ზემო აჭარის ტერიტორიაზე დასახლებულია სოფელი ორთახევი. იგი ამბობს, რომ ეს სახელი უშნო ხევისგან გადაკეთდაო.²³ „ორთა“ თურქულად „შუას“ ნიშნავს და ამ სოფლის სახელწოდებასაც შუა ხევის მნიშვნელობა აქვს.

როგორც ჩანს, „შუა ხევი“ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საკმაოდ

²² სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I. თბ. 1991, გვ. 582

²³ ზაქარია ჭიჭინაძე, ხსენებული ნაშრომი, გვ. 176

გაერცელებული ტოპონიმი იყო. იგი გვხვდება ლივანის ხეობაშიც.²⁴

ჭურთა (ჭურჭ) – დაცლილია მოსახლეობისაგან.

კონანა – დაცლილია მოსახლეობისაგან.

კალოთა – დაცლილია მოსახლეობისაგან.

ქოჩაკი – ახლოს არის კალოთასთან. დაცლილია მოსახლეობისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ სახელწოდება აღნიშნული სახით უფრო იკითხება, ჩვენნი აზრით, იგი უნდა იყოს სოფელი ქოჩახი. ამ სოფელთან დაკავშირებით საინტერესო ამბავს მოგვითხრობს თედო სახოკია. იგი წერს, რომ „ის ეტყობა ერთ ღროს დიდი სოფელი ყოფილა. დღეს კი სოფ. ქოჩახში ბევრების მეტი არაინ სახლობს. როგორც ხალხში დარჩენილ თქმულებიდან ჩანს, მცხოვრებნი ამოწყვეტილან (ომისა თუ ჭირისაგან). მთელ სოფელში ორი დაღა დარჩენილა. ერთიმეორისათვის უთქვამთ: ჩვენ რაღას გაუჩერდეთ ამ უღაბურ ალაგსაო, აქაურობას გაეშორდეთო (თურქულად „ქოჩახ“) და ხირხათის ციხეზე ასულან. თუმცა, ხალხის თქმით, ამ სოფლის სახელი ოსმალური სიტყვა უნდა იყოს, მაგრამ შეიძლება ეს სახელწოდება ქართულიც იყოს. ქართულად ქოჩახი პატარა ქოთანსა ჰქვია. ადვილად შესაძლებელია, ეს სახელი ამ სოფელს თავის მდებარეობის გამო დარქმოდეს: აქაურობას ყოველ მხრივ მთები აკრავს და ქოთანთან დიდი მსგავსება აქვს“.²⁵

რა თქმა უნდა, ზემოთ მოთხრობილი ამბავი ხალხის შეთხზულს უფრო ჰგავს ვიდრე სინამდვილეს. სოფლის სახელწოდება ქართული უნდა იყოს. უბრალოდ, შესაძლოა, რომ მან ოსმალურ ტრანსკრიფციაში იცვალა სახე.

სოფელი მაქეთა – ახლოს არის სოფელ თხილვანასთან. დაცლილია მოსახლეობისაგან.

რაგთა – დაცლილია მოსახლეობისაგან. იგი დღევანდელი რაგთა უნდა იყოს.

ხიხადირის ციხის რაბათი – დაცლილია მოსახლეობისაგან. მისი მეორე სახელწოდებაა ბარათაული.

გუღნა (ღაღ) – დაცლილია მოსახლეობისაგან. ამჟამად ამ სახელწოდების სათიბს მაჩიტეთში ვხვდებით.

ხულა – ახლოს არის დიაკონიძის და გუდისხევის მაჰალეებთან და სახლობს 37 კომლი. იგი აღნიშნული პერიოდის აჭარისწყლის ხეობის ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტია.

შემდეგი სოფელია 32 კომლით დასახლებული ღორჯომი.

დიდი აჭარა (დღევანდელი დიდაჭარა) – 6 კომლი.

ბელეთი – 14 კომლი.

ფოცხავა – 8 კომლი. ამ სოფლის სახელწოდება კიდევ შეიძლება წაეიკითხოთ როგორც ფოცხოვი ან ფოცხო, მაგრამ სოფელ უჩხოში (ხულოს რაიონი) მდებარე სათესი ფოცხავა გვაფიქრებინებს, რომ იგი ამ სოფლის სახელწოდებასთან კავშირში უნდა იყოს. მით უფრო, რომ ტერიტორიულადაც მიესადაგება მას. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ აჭარის ლივანშიც ყოფილიყო სოფელი ფოცხოვი, რომელსაც, რა თქმა უნდა, არაერთარი ტერიტორიული კავშირი არ ექნებოდა ფოცხოვის სანჯაყთან (სადროშოსთან),

²⁴ იქვე, გვ. 147

²⁵ თედო სახოკია, ხსენებული ნაშრომი, გვ. 291

რომელიც ოსმალეთის იმპერიაში ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა.

სოფელი ქვემო კურმა - ცხოვრობს 12 კომლი.

შემდეგ დამოწმებულია სათესელი ჭკანარი (۷۰۰۰۰).

ალმე - 15 კომლი.

ნიგაზეული - 15 კომლი.

ჩანჩხალო - 6 კომლი.

ქვემო მალდაშალი (۰۰۰۰) - დაცლილია მოსახლეობისაგან.

20 კომლით დასახლებული მომდევნო სოფელი ჭვანა აჭარის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებული სოფელია. მითითებულია, რომ ჭვანა ახლოს არის გომარდიდის (როგორც ჩანს, ახლანდელი გომარდულის) და ჭალას მაჰალეებთან.

წყაროთა - 4 კომლი.

უჩამბა - 2 კომლი.

ბარათაული - 5 კომლი.

ტბეთის ციხის რაბათში 12 კომლი ცხოვრობს. როგორც ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს „ტბეთი კარგა დიდ ადგილებს, დიდს ხეობას ეწოდება“.²⁶ აღნიშნული ციხეც სოფლიდან მოშორებით, ხეობაში, დღევანდელი ცინარეთისა და სამოლეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ციხე უნდა იყოს.

სოფელი ახალდაბა - ცხოვრობს 2 კომლი.

სოფელი ქარაფეთა - დაცლილია მოსახლეობისაგან. „დაეთარში“ ნათქვამია, რომ იგი ახლოს არის ტბეთთან. ის დღევანდელი კარაპეტია. ეს უკანასკნელი ძალზე წააგავს სომხური წარმოშობის სახელწოდებას. ზაქარია ჭიჭინაძე ეყრდნობა რა ხალხურ გადმოცემას, აღნიშნავს, რომ ძველად აქ სომხები იღვნენ და მათ თავიანთი ეკლესიაც ჰქონდათ. ოსმალთა პერიოდში ზოგ მათგანს რჯული შეუცვლია, ხოლო ზოგი გაქცეულა. იგი ამბობს, რომ აქ სომხური ენისა და ტიპის არაფერი ნიშნები არ არის დაშთენილიო. სოფელი ნამდვილ მთურ დასახლებას მოგვაგონებს, მივარდნილ-მიყრუებულს, სადაც ქართული ენის მეტი სხვა არაფერი ისმისო.²⁷ ჩვენი აზრითაც, სოფლის სახელწოდება ქართულია და არავითარი კავშირი არ გააჩნია სომხურთან. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ქარაფი სულხან საბას ლექსიკონში განმარტებულია, როგორც დიდი კლდე.²⁸ აღნიშნული სოფელის მაღალ მთაში კლდოვან ადგილას არის გაშენებული.

სოფელი კავიანის ციხის რაბათი - დაცლილია მოსახლეობისაგან.

ოთალთას ციხის რაბათი - დაცლილია მოსახლეობისაგან. ვფიქრობთ, რომ ეს ციხე დღევანდელი ჭვანის ციხე უნდა იყოს. სახელი ძალზედ წააგავს მდინარე ოთოლთას სახელწოდებას, რომლის ხეობაშიც მდებარეობს ჭვანის ციხე.

სოფელი სამხლისი - დაცლილია მოსახლეობისაგან.

ტაბახმელა - დაცლილია მოსახლეობისაგან.

შუაკალო - დაცლილია მოსახლეობისაგან.

ქორეთი (ან გორეთი) (۰۰۰۰) - დაცლილია მოსახლეობისაგან.

²⁶ ზაქარია ჭიჭინაძე, ხსენებული ნაშრომი, გვ. 179

²⁷ იქვე, გვ. 180

²⁸ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II. თბ. 1993, გვ. 213

ამაღლიური (أماط) – დაცლილია მოსახლეობისაგან.

ზემო მალდაშალი – დაცლილია მოსახლეობისაგან.

ბორდოყანა (بوردوقان) – დაცლილია მოსახლეობისაგან.

ზემო აჭარის ნაპიეს ბოლო სოფელია 4 კომლით დასახლებული დიოქნისი, რომლის შემდეგაც დასახლებულია სათესველი – მანიაკეთი.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ხელთ აღმოჩნდა თითქმის იმავე პერიოდში შედგენილი „აჭარის ლივის მოკლე დაეთარი“, რომელშიც ნათქვამია, რომ „დიდ დაეთარში“, გაურკვეველი მიზეზების გამო, გამორჩენილია ზემო აჭარის ორი სოფელი: ელვაური და ოხლაური. ეს სოფლები შემდგომ შეტანილ იქნა „მოკლე დაეთარში“.

„დავთრის“ მეორე ნაწილი წარმოადგენს ქვემო აჭარის ნაპიეში შემავალი სოფლების აღწერას.

პირველი სოფელია ქვემო აჭარის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებული პუნქტი მერისი, რომელშიც 26 კომლი ცხოვრობს. იგი ახლოს არის ინაშარიას მაჰალესთან.

მას მოსდევს სამნაურის მაჰალესთან ახლოს მდებარე 13 კომლიანი დანდალო (დანდალა).

შემდეგი სოფელია ახო, 8 კომლით.

სოფელი რადამუდი (4_ رادمودي კომლი.

ცხმორისი – 4 კომლი.

კანტაური – 4 კომლი.

კვამტა – 8 კომლი.

ვაიო – 6 კომლი.

აქუცა – 5 კომლი.

მომდევნო სოფელ წონიარისში 7 კომლი ცხოვრობს და ნათქვამია, რომ იგი ახლოს არის ანდაგორის მაჰალესთან და სოფელ ვარჯანისთან.

სოფელ ვარჯანისში 4 კომლია.

მას მოსდევს ზვარე 11 კომლით.

ზედსოფელი (დღევანდელი ზესოფელი) – 11 კომლი.

ზენდიდი – 5 კომლი.

მახუნცეთი – 10 კომლი.

გალიეთი (ან კალიეთი) – 4 კომლი.

აბუქეთა – 4 კომლი.

ნასეირიანი (4_ ناسييرياني კომლი.

ორცვა – 26 კომლი.

ხოხონა (დღევანდელი ხოხნა) – 7 კომლი.

თამარი (تامار) – დაცლილია მოსახლეობისაგან.

ცხემლვანა – დაცლილია მოსახლეობისაგან.

ბზუბზუ – 8 კომლი. ზაქარია ჭიჭინაძის ეს სოფელი მოხსენიებული აქვს როგორც ბზუბზო. ოსმალურ ტრანსკრიფციაში იგი ორიენაირად შეიძლება წაეკითხოთ.

²⁹ Ankara Tapu ve Kadastro Genel Müdürlüğü Arşivi, Tapu Defteri 272 (ანკარის მიწის კადასტრის მთავარი სამმართველოს არქივი, „აღწერის დაეთარი“ 272), გვ. 8

ზუნდაგა - 3 კომლი.

დოლოგანი - 5 კომლი. აღნიშნულია, რომ მას მეორენაირად დოლოგსაც უწოდებენ.

საწნახენა - 4 კომლი. ახლოს არის საღორეთის ციხის რაბათთან. ეს სახელწოდება სავარაუდოა. ამჟამად, ამ სახელწოდების სოფელი არ არსებობს. ჩვენ მივყავებით მასთან მიახლოებულ სახელს - საწნახელას, სათესველს სოფელ ზედა მაღლაკონში და დასაშვებად მივიჩნევთ, რომ მას შეიძლება რაიმე სახის კავშირი ჰქონოდა „დაეთარში“ დადასტურებულ სახელთან.

საღორეთის ციხის რაბათი - 24 კომლი.

ტიბეთა (ტიბეთა) - დაცლილია მოსახლეობისაგან.

კაპნისთავი - დაცლილია მოსახლეობისაგან.

ხერთვისი - დაცლილია მოსახლეობისაგან. აღნიშნულია, რომ სოფელი ახლოს არის სოფელ მაჭახლისპირთან. მაჭახლისპირი, როგორც ჩანს, აჭარისა და მაჭახლის ლიეების მოსაზღვრე სოფელს წარმოადგენს. იგი დაეთარში ცალკე არ არის შეტანილი.

სოფელი კიბე - დაცლილია მოსახლეობისაგან.

ქენწმანი - დაცლილია მოსახლეობისაგან.

კლდეთი - დაცლილია მოსახლეობისაგან.

დაბასუბანი - დაცლილია მოსახლეობისაგან.

ქეემო აჭარის ნაპიეს ბოლოს სოფელია მეძიბნა, რომელშიც 9 კომლი ცხოვრობს.

ეს არის იმ სოფელთა ჩამონათვალი, რომელიც „ზემო აჭარის ლივის დიდ დაეთარშია“ დამოწმებული. როგორც ვხედავთ, მათი უმრავლესობის სახელწოდებათა დადგენა მოხერხდა. დარჩა მხოლოდ ნაწილი (წინამდებარე ნაშრომში მათ არაბული ტრანსკრიფცია აქვთ დართული), რომელთა სახელწოდებაც ნავარაუდევია სხვადასხვა (ენობრივი, გეოგრაფიული და სხვ.) ფაქტორების გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ტოპონიმთა ზუსტი გაშიფრვა (იმედი ვიქონიოთ, რომ - ჯერჯერობით) არ ხერხდება, სამეცნიერო მიმოქცევაში მათი შემოტანა მაინც აუცილებლად მიგვაჩნია.

ძალზედ საინტერესო ფაქტია, რომ „დაეთარში“ დამოწმებული არ არის ქედა. ე. ი. აღნიშნულ პერიოდში, ქედა, როგორც დასახლებული პუნქტი, არ არსებობდა. „დაეთარიდან“ ჩანს, რომ მასთან ახლოს მდებარე ტერიტორიაზე არსებობს ორი, იმ დროისათვის დიდი დასახლება - ორცვა და საღორეთი.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ვახუშტი ბატონიშვილი ქედას შესახებ გვაუწყებს: „ხოლო ჭოროხს მოერთვის აჭარის წყალი აღმოსავლეთიდან, და გამოსდის ზარზმა აჭარას შორისს მთასა, მოდის აღმოსავლეთიდან დასავლეთად. ამ წყლის კიდებზედ, ამ ხეობის საშუალებს, არს მცირე ქალაქის მსგავსი დაბა, ქედა. მოსახლენი არიან ვაჭარნი“.³⁰ როგორც ჩანს, ქედა დაარსდა XVI საუკუნის 60-იანი წლებისა XVIII საუკუნის პირველი ნახევრის შუალედში, როგორც მჭიდროდ დასახლებულ ადგილთან მდებარე დაბა, ანუ სავაჭრო ცენტრი.

³⁰ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წგ.: ქართლის ცხოვრება. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 676

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „დავთარში“ ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობების გარდა, უტყუარი მითითებებია დატული ამ პერიოდის აჭარისწყლის ხეობის დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებაც. სოფლებში დასახლებულ კომლთა რაოდენობის მიხედვით ნათლად ჩანს ხეობაში მოსახლეობის გაერცელების სურათი.

„დავთარის“ ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ აღნიშნულ პერიოდში აჭარისწყლის ხეობაში 540 კომლამდე ცხოვრობდა (311 კომლი – ზემო და 221 კომლი – ქვემო აჭარაში). ამას ემატება ზემოთ აღნიშნული ელვაური და ოხლაურიც. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პერიოდისათვის ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობად მიჩნეულია ხუთი ადამიანი. ე. ი. გამოდის, რომ XVI საუკუნის 60-70-იან წლებში აჭარისწყლის ხეობის მოსახლეობის რიცხვი 3000 კაცს აღწევდა. ეს მაშინ, როდესაც მოსახლეობის დიდ ნაწილს მიტოვებული ჰქონდა საკუთარი საცხოვრებელი ადგილები. აქვე, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ „დავთარში“ მხოლოდ გადასახადებით დაბეგრული მოსახლეობა, ანუ გლეხობა შედიოდა. აქედან გამომდინარე, ამ რიცხვს უნდა დაემატოს ფეოდალთა და იმ სახელმწიფო მოხელეთა რიცხვი, რომლებიც „დავთარში“ არ ირიცხებოდნენ.

გარდა ამისა, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ოსმალეთის იმპერიაში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც გადასახადების თავიდან აცილების მიზნით, შვილი მამას არ ეყრებოდა, რაც აუცილებლად არის გასათვალისწინებელი ამ პერიოდის აჭარის მოსახლეობის რაოდენობის შეფასების დროს. ვფიქრობთ იმასაც, რომ ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობა ხუთ სულზე მეტი უნდა იყოს.

„დავთარიდან“ ნათლად ჩანს, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს მიტოვებული აქვს ხეობა. ნაწილი სოფლებისა მთლიანად არის დატარილებული. გვხვდება ისეთი სოფლებიც, სადაც მხოლოდ ორი კომლია შემორჩენილი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხეობის შესასვლელში მდებარე, დღეისათვის მჭიდროდ დასახლებული სოფლები – ხერთვისი, კიბე და კაპნისთავი, „დავთარის“ შედგენის დროისათვის მთლიანად არის დატლილი მოსახლეობისაგან. არადა, ეს ის მიდამოებია, სადაც მტერს ყველაზე დიდი წინააღმდეგობა უნდა შეხვედროდა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. როგორც ჩანს, XVI საუკუნის შემდეგ, დროთა განმავლობაში ხალხი შეეგუა არსებულ მდგომარეობას და თავიდან დასახლდა ამ ნასოფლარებში. გარდა ამ დასახლებებისა, „დავთარში“ მრავლად ვხვდებით სოფლებს, რომლებიც იმ დროს დატლილია მოსახლეობისაგან, ხოლო დღეისათვის კვლავ განაგრძობენ არსებობას.

ანალოგიური სურათია წარმოდგენილი 1573 წლის 26 ივლისით (პიჯ. რები-ულ ეველი, 981 წ.) დათარილებულ ერთ ოსმალურ დოკუმენტში, რომელიც მოგვითხრობს, რომ აჭარის ლივის გზებზე მდებარე სოფლები დატლილია მოსახლეობისაგან და ქურდებისა და ყაჩაღების ბუდედ არის ქცეული.³¹ (15. 334). ეს დოკუმენტი წარმოადგენს სულთნის ბრძანებას ლივანას, მაჭახლის და ფერთექრეკის სანჯაყბეგებისადმი, რომ მათ ყველაფერი იღონონ გაქცეული

³¹ BOA Mühimme Defteri 22 (მინისტრთა საბჭოს არქივი, „მნიშვნელოვან საკითხების დავთარი“ 22). გვ. 334

მოსახლეობის უკან დასაბრუნებლად. გაურკვეველია, თუ რამდენად მოხერხდა აღნიშნული ბრძანების შესრულება, მაგრამ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ დოკუმენტში კარგად არის ასახული აღნიშნული პერიოდის აჭარაში შექმნილი დემოგრაფიული სურათი.

აღსანიშნავია ისიც, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, ხალხური გადმოცემის საფუძველზე, ზაქარია ჭიჭინაძე ანალოგიურ სურათს გვიხატავს. იგი ამბობს, რომ „ხერთვისელებმა 1850 წლებში, ოსმალთა წინააღმდეგ ისე სასტიკად და გმირულად იომეს, რომ ყველანი გააკვირვესო. დამორჩილების შემდეგ ოსმალთ მთლად გადაუწვათ ეს სოფელი“. როგორც ვხედავთ, დაპყრობიდან თითქმის სამი საუკუნის შემდეგ ზუსტად იგივე სურათი მეორდება და ხალხის ოსმალებისადმი წინააღმდეგობაც ბოლომდე არ არის ჩამცხრალი.

ასეთი გახლავთ ის ძირითადი ისტორიულ-გეოგრაფიული და დემოგრაფიული ვითარება, რომელიც XVI საუკუნის 60-70-იან წლებში ოსმალთა გაბატონების შემდეგ ჩამოყალიბდა აჭარისწყლის ხეობაში.

გადასახადები და საგადასახადო სისტემა ოსმალეთის იმპერიაში

ოსმალეთის იმპერიის ეკონომიკა ძირითადად დაპყრობით ომებზე იყო დაყრდნობილი. თითქმის მთელი ოთხი საუკუნის განმავლობაში, თუ არ გავითვალისწინებთ მცირეოდენ ჩავარდნებს, ოსმალეთის იმპერიის ტერიტორია წარმატებული ომებით შეუჩერებლად ფართოვდებოდა. შესაბამისად ძლიერდებოდა მისი ეკონომიკაც. ხოლო როდესაც შესუსტდა ოსმალეთის სამხედრო სისტემა, შეჩერდა მისი ეკონომიკური წინსვლაც.

ოსმალეთის იმპერიის ძირითად შემოსევალს დაპყრობილი ქვეყნებიდან ამოღებული ნადავლი, ტყვეები და მათზე შეწერილი გადასახადები შეადგენდა. აქედან გამომდინარე ოსმალეთში ძალზედ იყო განვითარებული სამხედრო სისტემა, რომელსაც ამ საქმეში ეხმარებოდა აგრეთვე კარგად ჩამოყალიბებული და დახვეწილი საფინანსო უწყებაც. ოსმალეთის საფინანსო უწყება დაქვემდებარებული იყო საგადასახადო სისტემაზე.

ოსმალური გადასახადებისა და საგადასახადო სისტემის საკითხი ერთ-ერთი ძირითადია თურქული ფეოდალიზმის ისტორიაში. იგი მთლიანად შეესაბამებოდა თურქული სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს ბუნებასა და ხასიათს.³²

ოსმალეთის იმპერიის საგადასახადო სისტემა დამყარებული იყო ისლამის პრინციპებზე, რომელიც თავის მხრივ ემყარებოდა ძველ ეგვიპტურ, რომაულ, ებრაულ, ბიზანტიურ და სასანურ პრინციპებს.³³

ოსმალეთის იმპერიაში არსებული გადასახადები შეიძლება დავყოთ ორ ძირითად ნაწილად:

1. შარიათის პრინციპებზე, ანუ ისლამურ სამართალზე დაფუძნებული გადასახადები, იგივე “რუსუმი შერიე”;
2. სულთნის და მოხელეების ნება-სურვილის მიხედვით შემოღებული და ადათ-წესებზე და ჩვეულებებზე დამყარებული გადასახადები, ანუ “რუსუმი ორფიე”.

ბულგარელი მეცნიერის ბორის ნედკოვის აზრით, პირველ კატეგორიას, ანუ შარიათის პრინციპებზე დაფუძნებულ გადასახადებს მხოლოდ ქრისტიანები, უფრო ზუსტად არამუსლიმები იხდიდნენ, ხოლო მეორე კატეგორიის გადასახადებს იხდიდა როგორც არამუსლიმი, ისე მუსლიმი მოსახლეობაც.³⁴ ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება მცდარი უნდა იყოს, იმდენად, რამდენადაც შარიათი განიზილავდა როგორც არამუსლიმი, ასევე მუსლიმი გლეხის (რეაიას) საკითხს. სხვა საკითხია, თუ რა შედეგებით სარგებლობდა მუსლიმი რეაია არამუსლიმთან შედარებით, რადგან “გადასახადების სახეობანი, სახელწოდებანი და ოდენობა

³² შენგელია ნ. გადასახადები და საგადასახადო სისტემა XVI ს-ის ოსმალეთში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკ. 2, თბილისი 1962, გვ. 124

³³ Ercan Y. Türkiye'da XV. Ve XVI. Yüzyıllarda Gayrimüslimlerin Hukuki İctimai ve İktisadi Durumu, TTK Belleten, cilt XLIX, sayı 188, Ankara 1984, s. 124

³⁴ Nedkoff Boris Christoff, Osmanlı İmparatorluğunda Cizye (baş vergisi), TTK Belleten, cilt VIII, sayı 32, Ankara 1944, s. 167

მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო რელიგიური სხვაობითაც”.³⁵ ვენს მიერ ქვემოთ მოტანილი ანალიზი ცხადყოფს, რომ ქრისტიანულ მოსახლეობას შარიათის მიხედვით ეკისრებოდა გადასახადთა ისეთი სახეობები, რომლებსაც ისლამის მიმდევრები ან საერთოდ არ იხდიდნენ, ანდა იხდიდნენ მათ განსხვავებული სახელწოდებითა და რაოდენობით.

შარიათის საფუძველზე დამყარებული გადასახადები, რომლებიც იკრიფებოდა ოსმალეთის იმპერიაში, პრინციპულად არ განსხვავდებოდა სხვა ისლამურ ქვეყნებში აკრეფილი ასეთივე სახის გადასახადებისაგან. ისინი იმპერიის შექმნიდან თანზიმათამდე არანაირად არ შეცვლილა. მხოლოდ თანზიმათის დროს მრავალი მათგანი საერთოდ გაუქმდა, ხოლო ზოგიერთმა კი სახე იცვალა.

შარიათით დაფუძნებულ გადასახადთა რიცხვს მიეკუთვნებიან ზეკათი, უშრი, ჯიზიე და ხარაჯა. ეს გადასახადები თავის მხრივ ცალკე ჯგუფებად იყოფოდნენ. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ ეს გადასახადები ცალ-ცალკე და გავარკვიოთ მათი აკრეფის წესები, ოდენობა და მათი ზოგიერთი თავისებურება.



1. ზეკათი

ზეკათი სიტყვა-სიტყვით ბარაქას, ნამატს ნიშნავს. იგი ისლამის ხუთი აუცილებელი პირობიდან ერთ-ერთია, რომელიც ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ ქონების მეორმოცედის გაღებას გაჭირვებულების დასახმარებლად.³⁶ ზეკათის პირობები ასეთია: მისი გადამხდელი აუცილებლად უნდა იყოს გადახდის უნარიანი მუსლიმი. ზეკათს არ იხდიან მონები და ტყვეები. ზეკათის გადასახადის სახით მოგროვილი საქონელი ერთი წლის განმავლობაში ინახებოდა მიწის მეპატრონესთან, რის შემდეგაც მისი მეორმოცედი ნაწილი მუსლიმ გაჭირვებულებს ურიგდებოდა. ზეკათის გადახდა შეიძლებოდა როგორც ნატურის, ისე ფულადი სახითაც.

ზეკათის გადასახადი თავის მხრივ რამდენიმე სახის გადასახადს შეიცავდა. ესენია: ა) ცხოველებზე დაწესებული გადასახადი (Zekat-i Sevaim), რომელშიც მხოლოდ და მხოლოდ წერილფეხა საქონელზე დაწესებული გადასახადი შედიოდა, ბ) მიწის მოსავალზე დაწესებული გადასახადი (El-Hariç), გ) მადნეულზე და განძზე დაწესებული გადასახადები (Rikaz), დ) ოქროსა და ვერცხლის ფულზე დაწესებული გადასახადები (Nilkud) და ე) სავაჭრო საქონელზე დაწესებული გადასახადები.³⁷

ცხოველებზე დაწესებული გადასახადებიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზეკათის კატეგორიაში მხოლოდ წერილფეხა საქონელზე დაწესებული

³⁵ შენგელია ნ. ხსენებული ნაშრომი, გვ. 124

³⁶ Nedkoff Boris Christoff, Osmanlı İmparatorluğunda Cizye (baş vergisi), TTK Belleten, cilt VIII, sayı 32, Ankara 1944, s. 650

³⁷ Akgündüz A. Osmanlı Kanunnameleri ve Hukuki Tahlilleri, 1. Kitap, İstanbul 1994, s. 154

³⁸ იქვე, გვ. 154

გადასახადები შედის. ეს გადასახადი (Resm-i Ağnam) ჩვენ დაწერილებით განვიხილეთ აჭარის დავთარში შემავალ გადასახადებთან ერთად. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ის გადასახადი, რომელიც ფარაზე იყო დაწესებული. სხვა დანარჩენი გადასახადები, რომლებიც გაიღებოდა წერილფეხა საქონელთან დაკავშირებით, ზექათის კატეგორიას არ განეკუთვნებოდა (ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ).

მიწის მოსავალზე დაწესებულ ზექათის გადასახადს “Zekat-ül-hariç”, ან უმრს უწოდებდნენ. უმრზე საუბრისას სიფრთხილე გვმართებს, რადგან მას ხშირად შეცდომაში შეჰყავს მკვლევარები. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ არსებობდა ორი სახის უმრი. ერთი იყო ჩვენს მიერ ზემოთ უკვე ნახსენები მიწის მოსავლიდან აკრეფილი ზექათი, ხოლო მეორე უმრი ანუ აშარი, რომელიც მიწის მოსავლის მეთაფს უდრიდა და ხარაჯას გადასახადთა ჯგუფში შედიოდა.

ზექათის ჯგუფში შემავალი უმრის, ანუ “უმრი შერიეს” (როგორც მას მეორენაირად უწოდებდნენ) აკრეფას თავისებური წინაპირობები გააჩნდა. არსებობდა მოსავლის ზღვრული ნორმა, რომლის დაბლა მიღებული მოსავალი ზექათის გადასახადს არ ექვემდებარებოდა. აგრეთვე ირჩეოდა ისეთი სახეობა მოსავლისა, რომელიც სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში ინახებოდა, იმდენად, რამდენადაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზექათის წესით აკრეფილი გადასახადი ერთი წლის განმავლობაში მიწის მეპატრონესთან ინახებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ ურიგდებოდა გაჭირვებულებს.³⁹

ზექათის უმრი (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ მას) მიღებული მოსავლის მეთაფს ან მეოცედს შეადგენდა. ეს იმის მიხედვით, თუ კონკრეტულ ადგილზე როგორი სარწყავი პირობები იყო.

თურქი მეცნიერი ა. აქგუნდუზი აღნიშნავს, რომ ოსმალეთის იმპერიაში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში რამოდენიმე გამონაკლისს, ზექათის უმრი მხოლოდ ბასრის, ბალდათის და ეგვიპტის ზოგიერთ ტერიტორიებზე იკრიფებოდა. უმრი, რომელიც მოსავლის მერვედის, მეშვიდედის და ზოგჯერ ნახევრის სახითაც კი იკრიფებოდა ხარაჯის ჯგუფში შემავალი უმრია, ანუ “ხარაჯი მუკასემეა”. ეს გადასახადები მხოლოდ სახელწოდებით ემსგავსებიან ერთმანეთს და სხვა არაფერი საერთო არ გააჩნიათ.⁴⁰ ანალოგიურ აზრს გამოთქვამენ სხვა თურქი მეცნიერებიც. თუ გავითვალისწინებთ ამ აზრს, უნდა ვივარაუდოთ, რომ აჭარაში მიწის მოსავალზე დაწესებული ზექათის გადასახადი არ იკრიფებოდა, იმდენად, რამდენადაც იგი ძირითადად არაბულ ქვეყნებში გზდება და მას მხოლოდ მუსლიმი იხდის.

მადანზე და განმზე დაწესებული გადასახადები ოსმალეთის იმპერიაში, მიწის კუთვნილების კატეგორიის მიხედვით, ოთხ სახეობად იყოფა.

თუ მადანი ან განძი სახელმწიფოს კუთვნილ მიწაზე (Arzi Memleket) აღმოჩნდებოდა, იგი მთლიანად სახელმწიფოს საკუთრებაში გადადიოდა. იმ შემთხვევაში, თუ იგი კერძო მიწაზე (Mülk) აღმოჩნდებოდა, ნახევარი მიწის მეპატრონეს რჩებოდა, ხოლო მეორე ნახევარი – სახელმწიფოს მიჰქონდა. იგივე

³⁹ Akgündüz A. Osmanlı Kanunnameleri ve Hukuki Tahlilleri, I. Kitap, İstanbul 1994, s. 157

⁴⁰ იქვე. გვ. 157

იყო ვაკუუმის, ანუ სასულიერო მიწებზეც. ხოლო თუ მიწა არავის ეკუთვნოდა და იგი საერთო სარგებლობისა (Mübah) იყო, აქ აღმოჩენილი მადნეული ან განძი მთლიანად სახელმწიფოს ეკუთვნოდა.

მზა ფულზე, ანუ მოჭრილ მონეტაზე დაწესებული იყო გადასახადი. ოქროს მონეტებზე დაწესებული იყო ზღვრული ნორმა 20 მისხალი, ანუ 96 გრამი. ვერცხლის ფულზე ეს ნორმა 640 გრამს შეადგენდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პირი, რომელიც ფლობდა 96 გრამ ან მეტ ოქროს, მისი მეორმოცედი ნაწილი ზეკათის სახით უნდა გადაეხადა. იგივე წესი იყო ვერცხლის ფულთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სეაჭრო საქონელთან დაკავშირებულ ზეკათის გადასახადს, ეს იყო ის საბაჟო გადასახადები, რომლებსაც ვაჭრები იხდიდნენ საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვის დროს, ან საზღვარზე გატანის შემთხვევაში.



2. ჯიზიე

ოსმალეთის საგადასახადო სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჯიზიეს, რომელსაც არამუსლიმი მოსახლეობა იხდიდა საკუთარი ოჯახის, ქონების და სარწმუნოების უსაფრთხოებისათვის.

ჯიზიე სათავეს ძველი ეგვიპტიდან, რომიდან და სასანური ირანიდან იღებს. მას არაბებმა სარწმუნოებრივი ხასიათი მისცეს, რომელიც შემდგომში სხვა ისლამური სახელმწიფოების მსგავსად, ოსმალეთშიც შემოვიდა.⁴¹ მის შესახებ ყურანის მეცხრე სურაში ნათქვამია, რომ “ისინი ვისაც ალაჰის და იმქვეყნიური ცხოვრების არ სწამთ და ჩვენს რწმენას არ აღიარებენ დაიმორჩილეთ და ჯიზიეს გადახდა აიძულეთ”.⁴² დაპყრობილ ტერიტორიებზე ქრისტიანს, რომელიც ისლამის მიღებაზე უარს იტყვოდა, ჯიზიეს გადახდას აკისრებდნენ.⁴³

გარდა ამისა, თურქულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია აზრი, რომ ჯიზიე იყო სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ დაწესებული გადასახადი. ჯიზიეს მხოლოდ მამაკაცები იხდიდნენ და ისინი თავისუფლდებოდნენ სამხედრო სამსახურისაგან. ქრისტიანები, რომლებიც სახელმწიფო სამსახურში იყვნენ (ვოინუქები, დოღანჯიები და ა.შ.) ჯიზიეს არ იხდიდნენ. თანზიმათის შემდგომ ჯიზიეს გადასახადმა სახელწოდება შეიცვალა და მას “ჯარის სანაცვლო” (bedelat-i askeriye) ეწოდა.⁴⁴ თურქი მეცნიერი ი. ერჯანი წერს, რომ “არამუსლიმი მოსახლეობა სამხედრო სამსახურიდან თავისუფლდებოდა და ამ უპირატესობის მოსასპობად მათ ჯიზიეს აკისრებდნენ”.⁴⁵

⁴¹ Nedkoff Boris Christoff, დასახელებული ნაშრომი, გვ. 606

⁴² İslam ansiklopedisi, cilt 3, İstanbul 1945, s. 199

⁴³ Halaçoğlu Y. XIV-XVI yy. Osmanlılarda Devlet Teşkilatı ve Sosyal Yapı, Ankara 1998, s. 69

⁴⁴ Cin H. Akgündüz A. Türk Hukuk Tarihi, cilt 2, İstanbul 1995, s. 340

⁴⁵ Ercan Yavuz, Devşirme Sorunu, Devşirmenin Anadolu ve Balkanlardaki Türkleşme İslamlaşma Etkisi, TTK Bülteni, cilt 198, Aralık 1986, Ankara 1987, 373

ბულგარელი მეცნიერი ბ. ნედკოვი ამბობს, რომ ამ ფაქტებს უბრალოდ შეცდომაში შევყავართ და ქალები და ბავშვები ჯიზიეს გადასახადს მხოლოდ იმიტომ არ იხდიდნენ, რომ მათ შარიათი ანთავისუფლებდა. მისი აზრით, ეს იყო არამუსლიმი მოსახლეობისათვის დაწესებული გადასახადი ჯარიმა, იმის გამო, რომ ისინი ისლამს არ აღიარებდნენ.

ჯიზიეს იხდიდა 14-დან 75 წლამდე ასაკის ყველა ჯანმრთელი მამაკაცი. ქალები, ბავშვები და ღრმად მოხუცებულები გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ. გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ აგრეთვე ლატაკები და მათხოვრები. ხეიბრები, რომლებიც გარკვეულ ქონებას ფლობდნენ გადასახადს იხდიდნენ. ჯიზიეს არ იხდიდნენ ღარიბი ეკლესიის მსახურები, ხოლო თუ ეკლესია მდიდარი იყო, მისი მსახურები ჯიზიეს გადასახადს ექვემდებარებოდნენ.⁴⁷ ესეც ერთგვარი მტკიცებულებაა იმისა, რომ ჯიზიე მხოლოდ ჯარის სანაცვლო გადასახადი არ უნდა ყოფილიყო.

ჯიზიეს გადამხდელთა ასაკის დადგენა ოსმალეთის იმპერიაში გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. გადასახადისაგან თავის დასაღწევად გადამხდელები ხშირად მალაედნენ საკუთარ ასაკს. მათ წინააღმდეგ ოსმალთა მოხელეები სხვადასხვა, ზოგჯერ უცნაურ ხერხებსაც მიმართავდნენ.

საინტერესო იყო ჯიზიეს აკრეფის პროცესი, რომლის დროსაც ქრისტიანი არასრულფასოვან პიროვნებად იყო წარმოდგენილი. იგი გაშლილი ხელით მიართმევდა გადასახადს ჯიზიედარს (ჯიზიეს ამკრეფს – ზ. შ.), რომელიც შემალღებულ ტახტზე იჯდა. იგი იღებდა გადასახადს ისე, რომ მისი ხელი 69 გადამხდელის ხელის დაბლა არ უნდა მოქცეულიყო. გადასახადის აღების შემდეგ ჯიზიედარი თავში მუშტს არტყამდა გადამხდელს. ამის შემდეგ მას ჯიზიედარის დამხმარე მუჯღუგუნებით აშორებდა იქაურობას. ასე მეორდებოდა ყველა გადამხდელზე.⁴⁸

“უშური”, ანუ “უშური” თიშარის შემოსავლის მუდმივი წყარო იყო; იგი იყო შარიათის პრინციპებზე დაფუძნებული გადასახადი, რომელსაც მხოლოდ მუსლიმი იხდიდა აღებული მოსავლიდან. იგივე გადასახადი იმავე რაოდენობით ემართათ ქრისტიანებსაც, მაგრამ მას სხვა სახელწოდება ერქვა. მუსლიმზე დაწესებულ უშურს ქრისტიანები “ზარაჯა მუკასემეს” სახით იხდიდნენ.⁴⁹ გადასახადის ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანი მოსახლეობისათვის ჯიზიე ერთიანი, უნიფიცირებული ოდენობის გადასახადი არ ყოფილა. იგი სხვადასხვა ვილაეთებისათვის სხვადასხვა ოდენობით იყო რეგლამენტირებული. უფრო მეტიც, ზოგჯერ ეს გადასახადი ერთ და იმავე ვილაეთში განსხვავებული ოდენობით იკრიბებოდა. ბ. ნედკოვი აღნიშნავს, რომ ყველა გადამხდელის ქონებრივი მდგომარეობა მუდმივად კონტროლდებოდა და ყოველი წლის დასაწყისში, მათი შესაძლებლობის მიხედვით, ენიშნებოდათ ჯიზიეს რაოდენობა.⁵⁰

კონიბეი გორიჯელის ცნობით XVI საუკუნის 80-იან წლებში ჯიზიეს

⁴⁶ Nedkoff Boris Christoff, დასახელებული ნაშრომი, გვ. 610-613

⁴⁷ İslam ansiklopedisi, cilt 3, İstanbul 1945, s.200

⁴⁸ Nedkoff Boris Christoff, დასახელებული ნაშრომი, გვ. 613

⁴⁹ ნოდარ შენგელია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 124

⁵⁰ ⁵⁰ Nedkoff Boris Christoff, დასახელებული ნაშრომი, გვ. 623

გადასახადი სულზე დაახლოებით 40-50 ახჩას შეადგენდა, ხოლო XVII საუკუნის 40-იანი წლებისათვის მისმა რაოდენობამ 240 ახჩას მიაღწია. ამ გადასახადის ამკრეფი მოხელეების (ჯიზიედარების - ზ. შ.) ბოროტმოქმედება და თვითნებობა უფრო ზრდიდა გადასახადის რაოდენობას. 1548 წელს მოსახლეობის ექსპლოატაციამ ისეთ ზომებს მიაღწია, რომ სულთან სულეიმანი იძულებული იყო გამოეცა კანონი, რომლითაც მკაცრად იკრძალებოდა ჯიზიეს აკრეფა 200 ახჩაზე მეტი რაოდენობით. მაგრამ ამ კანონის გამოცემას არაერთი შედეგი არ მოჰყოლია. გარდა ამისა, იყიდებოდა ჯიზიედარის თანამდებობები, რის შემდეგაც თვითნებურად აწესებდნენ ჯიზიეს რაოდენობას.⁵¹ გადასახადის ზრდის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ახჩას ინფლაცია იყო.



3. უშირი

რაოდენობა მოსავლის მეთაფი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ხშირ შემთხვევაში იგი მოსავლის ნახევარსაც შეადგენდა.

უშირის წარმომავლობა ისლამის პირველივე წლებს უკავშირდება. თუ მიწაზე მოსავალი წელიწადში ორჯერ მოდიოდა, ორივეჯერ აიღებოდა უშირი და “ხარაჯი მუკასემე”.

ოსმალეთის იმპერიის მიწების უმრავლესობა სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა, რომელიც გარკვეული პირობით იყო გატეპული კონკრეტულ პირზე, მაგრამ ამ მიწის შემოსავლის ნაწილი მაინც რჩებოდა სახელმწიფო ხაზინის საკუთრებად. მიწას უშუალოდ გლეხი ამუშავებდა, რომელიც იჯარით იღებდა მას და უშირის სახით იხდიდა მიწის მოსავალზე შეწერილ გადასახადს. ხოლო ჩიფთის გამოსაღების (Çift akçesi) სახით იხდიდა გადასახადს, რომელიც შეწერილი იყო მიწის ნაკვეთზე, რომელზეც ეს მოსავალი მოდიოდა.⁵²

ოსმალურ წყაროებში უშირი ზოგჯერ ondalık-is (მეთაფის) სახელწოდებითაც გვხვდება, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ რეალურად იგი ზოგჯერ მოსავლის ნახევარსაც შეადგენდა. თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ოსმალურ საგადასახადო სისტემაში უშირი და როგორი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო იგი, ეს ნათლად ჩანს ოსმალური კანუნ-ნამეების ანალიზიდანაც. არ არსებობს სოფლის მეურნეობის დარგი, რომელზედაც არ იყოს გაწერილი უშირის გადასახადი. უშირის გადასახადის არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ნატურალურ რენტას ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეკავა ოსმალეთის საგადასახადო სისტემაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტიბიდან გადასახადი ძირითადად ნატურის სახით გაიღებოდა, თუმცა არ იყო გამორიცხული მისი

⁵¹ შენგელია ნ. ოსმალური გადასახადები და ეკლბებულებანი “გურჯისტანის ეილაეთის დიდი დაეთრის” მიხედვით, თსუ შრომები ტ. 91, თბ. 1960, გვ. 290

⁵² Akgündüz A. Osmanlı Kanunnameleri ve Hukuki Tahlilleri, I. Kitap, İstanbul 1994, s. 170

შესაბამისი თანხის გადახდაც.⁵³

ამრიგად, უშირი იყო ერთ-ერთი ყველაზე გაერცელებული გადასადი ოსმალეთის იმპერიაში, რომელიც შეწერილი იყო სოფლის მეურნეობის ყველა დარგზე. სოფლის მეურნეობის ის დარგებიც, რომლებსაც თვითონ თურქები არ მისდევდნენ ექვემდებარებოდა უშირის გადასახადს. ეს გადასახადი სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებთან მიმართებაში ჩვენ განხილული გვაქვს “ზემო აჭარის ლივის ვრცელი დაეთრის” მიხედვით. დადგენილი გვაქვს, თუ რა სახით და რაოდენობით გაიღებოდა იგი.



4. ხარაჯა

ოსმალურ საგადასახადო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ხარაჯას გადასახადს, რომელიც არამუსლიმურ მოსახლეობაზე იყო დაწესებული. იგი წარმოდგენილი იყო ორი სახით: 1) ხარაჯა მუვაზაფ (Harac-i müvazzaf), რომელიც გულისხმობდა დასამუშაებლად აღებულ მიწის ნაკვეთზე გადასახადის ფულადი სახით აკრეფას⁵⁴ და 2) ხარაჯა მუკასემე (Harac-i mukaseme), რომელსაც ზემოთ უკვე შევეხეთ და აღვნიშნეთ, რომ იგი იყო მუსლიმი რეაიას მიერ გადახდილი უშირის ანალოგიური გადასახადი, რომელიც დაწესებული იყო არამუსლიმ გლეხობაზე და იგი მას იხდიდა მიწის ნაკვეთიდან აღებული მოსავალიდან ნატურალური სახით; თუმცა მას შეეძლო იგი ფულადი სახითაც გადაეხადა.

ისლამის ენციკლოპედიაში ხარაჯას შესახებ ნათქვანია, რომ მისი გადახდის პირობები განსხვავდებოდა იმის მიხედვით, თუ რა გზით იყო ესა თუ ის ტერიტორია შემოერთებული. იმ შემთხვევაში, თუ მიწა მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით იყო შემოერთებული და იგი მის ძველ მესატრონეს რჩებოდა, ასეთ მიწებზე დაწესებული ხარაჯა - ჯიზიეს წარმოადგენდა და იგი უქმდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მისი გადახდელი გარდაიცვლებოდა ან ისლამს მიიღებდა.⁵⁵ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ავტორს მხედველობაში აქვს ამა თუ იმ ტერიტორიის ვასალური დამოკიდებულება, რაც საკვებით არ ნიშნავს ამ ტერიტორიის დაპყრობას და შემოერთებას. იქვე აღნიშნულია, რომ ასეთივე მშვიდობიანი გზით შემოერთებული მიწები შეიძლება მუსლიმი მფლობელის ხელში გადასულიყო. ამ შემთხვევაში ხარაჯას მიწაზე მომუშავე რეაია იხდიდა.⁵⁶

მეორე იყობრძოლითა და იარაღის ძალით შემოერთებული ტერიტორიები,

⁵³ შენგელია ნ. გადასახადები და საგადასახადო სისტემა XVI ს-ის ოსმალეთში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკ, 2, თბილისი 1962, გვ. 124

⁵⁴ იქვე, გვ. 125

⁵⁵ Barkan Ö. L. XV ve XVI Asırlarda Osmanlı İmparatorluğunda Ziraiyi Ekonominin Hukuki ve Mali esasları. Kanunlar, İstanbul 1943, s. 355

⁵⁶ Kalek Cengiz, Haraç, İslam Ansiklopedisi, cilt 16, İstanbul 1997, s. 72

რომლებზედაც ხარაჯას გადასახადი დაპყრობილი ხალხი თავისუფლებას, სარწმუნოებას და მიწის დამუშავების უფლებას ინარჩუნებდა.⁵⁷

ოსმალეთის იმპერიაში ქრისტიანულ მოსახლეობაზე დაწესებულ ხარაჯა მუეჯაზხაფის ანალოგიურ გადასახადებს მუსლიმი რეაია იხდიდა ჩიფთის გამოსაღების, დონუმის გამოსაღების, ბენაქის, ჯაბა ბენაქის და სხვათა სახით.⁵⁸

ჩიფთი (იგივე ჩიფთლიქი) ოსმალეთის იმპერიაში პირობითად ეწოდებოდა მიწის იმ ფართობს, რომელიც შეეძლო დაემუშავებინა ერთ წყვილ (çift) ხარს. ჩიფთის ფართობი იცვლებოდა მიწის მოსავლიანობის მიხედვით. კარგ მოსავლიან მიწაზე ჩიფთის ფართობი 78, საშუალოზე 100, ხოლო ნაკლებად მოსავლიანზე – 130-150 დონუმ მიწას უტოლდებოდა. თავის მხრივ დონუმი წარმოადგენდა მიწის ნაკვეთს, რომლის სიგრძე და სიგანე 40 საშუალო ნაბიჯს შეადგენდა.

ჩიფთზე დაწესებული იყო ჩიფთის, ან ნიმ ჩიფთის (ნახევარი ჩიფთის, ანუ ჩიფთის სანახევრო) გამოსაღები, რომლებიც ერთად იკრიფებოდა. ხოლო ნახევარ ჩიფთზე ნაკლები მიწის ფართობის პატრონებს გადახდებოდათ გადასახადი ბენაქის, ჯაბა – ბენაქის, კარას ან მუჯერედის სახელწოდებით და იგი სხვადასხვა ოდენობისა იყო.

ჯაბა კანუნ-ნამეების მიხედვით ეწოდებოდა ისეთ პირს, ვისაც ჩიფთი და მიწის ნაკვეთი საერთოდ არ გააჩნდა. “ღარიბ რეაიას, რომელიც უცოლოა და მამასთანაა, უცოლოა და დამოუკიდებელია, ჯაბას ეძახიან” მიუხედავად ამისა ეს ჯაბა იხდიდა მიწაზე გამოსაღებს – ჯაბა-ბენაქის სახით. ჯაბა - ბენაქის დაწესებით, ოსმალეთის მთავრობა ცდილობდა იძულებული გაეხადა უმიწო გლეხები, ხელი მოეკიდათ მეურნეობისათვის და მიწაზე ყოფილიყვნენ მიმაგრებულნი.

3. ინალჯიქის აზრით, კარა ხალხის უმდაბლესი ფენის აღმნიშვნელი ტერმინია.⁶⁰ კარა გვხვდება, როგორც ჩიფთის მფლობელი (çiftlu - kara), რომელიც იხდის 12 ახჩას, აგრეთვე არაფრის მქონე (caba - kara), რომლის გადასახადიც ხუთ ახჩას შეადგენს.⁶¹ 3. ინალჯიქის აზრით, ბენაქი ცოლიანი კარას აღმნიშვნელი სიტყვა იყო.⁶²

ბენაქი არაბული სიტყვაა და ლატაკს – არაფრის მქონეს ნიშნავს.⁶³ იგი ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები დაქორწინებული გლეხის აღმნიშვნელი ტერმინი იყო.⁶⁴ მხოლოდ უნდა დაეაზუსტოთ, რომ ბენაქი ეწოდებოდა მხოლოდ იმ გლეხს, რომელსაც სულ არ გააჩნდა მიწა, ან იგი ნახევარ ჩიფთს არ

⁵⁷ იქვე. გვ. 72

⁵⁸ Akgündüz A. Osmanlı Kanunnameleri ve Hukuki Tahlilleri, I. Kitap, İstanbul, s. 129

⁵⁹ იქვე. გვ. 126

⁶⁰ Inalcik H. Osmanlılar'da Raiyet Rütümü, TTK Belleten, cilt XXIII, sayı 89-98, Ankara 1959, s. 603

⁶¹ Akgündüz A., დასახელებული ნაშრომი, გვ. 130

⁶² Inalcik H., დასახელებული ნაშრომი, გვ. 607

⁶³ Akgündüz A., დასახელებული ნაშრომი, გვ. 130

⁶⁴ შენგელია ნ. გადასახადები და საგადასახადო სისტემა XVI ს-ის ოსმალეთში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკ. 2, თბილისი 1962. გვ. 127

აღმატებოდა.⁶⁵

ბენაქის გადასახადი ორი სახისა იყო: 1) ექინლე ბენაქი (სათესველი ნაკვეთის მქონე - ზ.შ.) და 2) ჯაბა - ბენაქი; პირველი გულისხმობდა ცოლშვილიან გლეხს, რომელსაც ნახევარ ჩიფთზე ნაკლები მიწა ჰქონდა და იხდიდა 18 ან 22 ახჩას; ხოლო მეორე კი იყო ცოლშვილიანი გლეხი, რომელსაც მიწა არ გააჩნდა და 12 ახჩას იხდიდა. ბენაქის გადასახადი მარტის თვეში ფულადი სახით უნდა გადაეხდიყო.⁶⁶

ამრიგად, ბენაქი იყო მუსლიმთათვის მიწაზე დაწესებული გადასახადი. იგი მთელს იმპერიაში იკრებოდა. ბენაქის გადასახადი ოსმალეთის იმპერიაში მასიური ხასიათს ატარებდა, რადგან გლეხობა უმეტეს შემთხვევაში სწორედ სათესველ ბენაქებს ფლობდა.

ჩიფთის, ნახევარი ჩიფთის და ბენაქის უმცირესი ნაწილი იყო მიწის ფართობის ის მცირე ერთეული, რომელსაც დონუმი ეწოდებოდა. თითოეულ დონუმზე შეწერილი იყო გადასახადი, რომელიც კანუნ-ნამებებში დონუმ-ახჩესის, დონუმ-პაქქის, ან რესმი ზემინის სახელწოდებით არის მოხსენებული.⁶⁷

ჩიფთზე დაწესებული გადასახადის მაგივრად ოსმალეთის იმპერიის ქრისტიანი (არამუსლიმი) მოსახლეობა იხდიდა ისფენჯის გადასახადს, რომელიც აჭარაში არსებულ გადასახადებთან ერთად ჩვენ ერცლად გვაქვს განხილული და აქედან გამომდინარე ამჯერად არ შეეჩერდებით მასზე. მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ, რომ ნ. შენგელია “გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში” დამოწმებული ბენაქისა და ისფენჯის გადასახადების შედარების შედეგად აღნიშნავს, რომ: “ამჟამად ოსმალთა ხელისუფალთა საგადასახადო პოლიტიკა დაპყრობილი ქრისტიანული მოსახლეობის მიმართ. ოსმალური საგადასახადო სისტემა, როცა მას საქმე ჰქონდა ქრისტიან მიწისმფლობელთან, მხედველობაში არ იღებდა არც მიწის ნაკვეთის სიდიდეს და არც მიწის ნაყოფიერებას, მაშინ როდესაც მუსლიმ მიწისმფლობელებზე დაწესებული ბენაქის გადასახადი ითვალისწინებდა როგორც ერთს, ისე მეორესაც. ამასთანავე ბენაქის გადასახადის შეწერისას მხედველობაში იყო მიღებული გადამხდელის ოჯახური მდგომარეობა. ბენაქი საერთოდ ოსმალეთის იმპერიაში შეიძლებოდა ყოფილიყო 6-დან 22 ახჩამდე, იმისდა მიხედვით, თუ ვის რამდენი დონუმი მიწა ჰქონდა. ასეთი დიფერენციაცია არ ვრცელდებოდა ისფენჯის გადამხდელ ქრისტიან მიწმფლობელებზე”.⁶⁸ აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ აჭარის მოსახლეობაზე დაწესებული ისფენჯის რიცხვი უცვლელია და იგი 25 ახჩას შეადგენს, მიუხედავად მიწის ფართობისა. არ ხერხდება მიწის ფართობის დადგენაც.

ამრიგად, მუსლიმი რეაიას გადასახადს - “რესმი ჩიფთ”, “რესმი ნიჩიფთ”, “რესმი ბენაქ”, “რესმი ჯაბა - ბენაქ”, “რესმი დონუმ”, ხოლო ქრისტიანი რეაიას მიწაზე გადასახადს “ისფენჯი” ეწოდებოდა. “ხარაჯა მუვაზაფი” ერთ-ერთი ძირითადი გადასახადი იყო მთელს იმპერიაში და მას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ოსმალურ საგადასახადო სისტემაში.

⁶⁵ Akgündüz A., დასახელებული ნაშრომი, გვ. 131

⁶⁶ ნოდარ შენგელია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 127

⁶⁷ Akgündüz A., დასახელებული ნაშრომი, გვ. 130

⁶⁸ ნოდარ შენგელია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 131

ხარაჯას გადასახადის მეორე სახე – “ხარაჯა მუკასემე”, როგორც აღენიშნეთ უშრის ანალოგიური გადასახადი იყო. იმდენად რამდენადაც იგი ჩვენ ცალკე თავში გვაქვს განხილული, აქ ვრცლად არც ამაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

რაც შეეხება სულთნისა და მოხელეების ნებასურვილით შემოღებულ და ადათ-წესებსა და ჩვეულებებზე დამყარებულ გადასახადებს (Rüsum-i urfiye), ისიც ორ ძირითად ჯგუფად იყოფოდა. ეს გადასახადები სულაც არ ეწინააღმდეგებოდა შარიათის პრინციპებს, უბრალოდ ისინი საჭიროების მიხედვით ინიშნებოდა.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნებოდა გადასახადები, რომლებიც იკრიფებოდა სახელმწიფო მოხელეებისა თუ სასამართლო პირების სასარგებლოდ. ამ ჯგუფში შედის საკმაოდ დიდი რაოდენობის გადასახადები, რომლებიც ბეგლარბეგების, სანჯაყბეგების, სუბაშების, სიფაჰების და ყადების სასარგებლოდ იკრიფებოდა. თუ გამოწვევის სახით ეს გადასახადები თიმარიოტის სასარგებლოდ დაინიშნებოდა, ასეთ თიმარს “თავისუფალი თიმარი” ეწოდებოდა.⁶⁹

ამ ჯგუფის გადასახადებიდან თითქმის ყველა არის დამოწმებული “ზემო აჭარის ლივის ვრცელ დაეთარში” და დაწერილებით არის განხილული ჩვენს მიერ. აქედან გამომდინარე ჩვენ უბრალოდ დაკემაყოფილებით ამ გადასახადების სახელწოდებების ჩამოთვლით ესენია: ბადი-ჰაეა და საქორწინო გამოსაღები, სხვადასხვა სახის ჯარიმები, თაფუს გადასახადი, დეშთიბანი, გადასახადები საქონელზე, ღორზე, წისქვილზე, იალაღებსა და ყიშლაყებზე, სხვადასხვა ბაჟები, რომლებიც აიღებოდა ბაზარში გასაყიდი საქონლიდან და სხვა.

რაც შეეხება მეორე ჯგუფს, ეს იყო საგანგებო მდგომარეობის დროს, ძირითადად ომის პერიოდში აკრეფილი გადასახადები, რომლებსაც ავარიზი ეწოდებოდა (ავარიზ იგივე თეკალიფი დივანიყე). ავარიზი, ანუ ავარიზი დივანიე, როგორც აღენიშნეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში იკრიფებოდა. მისი გადახდა შესაძლებელი იყო როგორც ფულადი, ისე ნატურალური სახითაც. ავარიზის შემოსავალი პირდაპირ სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა.

გარდა ამისა ავარიზის გადახდა შეიძლებოდა გარკვეული სამსახურითაც, რაც ძირითადად ლაშქრობების დროს ჯარისათვის საჭირო სურსათისა, თუ სხვა პროდუქტის გადაზიდვაში, ციხეების მშენებლობაში მონაწილეობასა და სხვა საქმიანობაში გამოიხატებოდა. პირები, რომლებიც სამსახურეობრივად იყვნენ დაკავშირებულნი ამგვარ საქმიანობასთან, თავისუფლდებოდნენ ავარიზის გადასახადისაგან.⁷¹

ავარიზის გადასახადის რაოდენობა დადგენილი არ იყო და იგი შექმნილი ვითარების მიხედვით იცვლებოდა.⁷²

ავარიზის გადასახადი ყველა მიწისმფლობელს ცალკე ფერმანით ენიშნებოდა და იგი უკლებლივ უნდა გადახდილიყო. გადასახადის აკრეფის დროს, ისევე, როგორც ჯიზიეს აკრეფისას, ხშირი იყო ამკრეფთა მხრიდან თვითნებობისა და გადასახადების ხელოვნური ზრდის შემთხვევები, რაც ორმაგად აწევებოდა ისედაც

⁶⁹ Akgündüz A., დასახელებული ნაშრომი, გვ. 184

⁷⁰ İslam Ansiklopedisi, cilt 2, İstanbul 1986, s. 13

⁷¹ იქვე, გვ. 14

⁷² იქვე, გვ. 16

უამრავი სხვა გადასახადებით დამძიმებულ გლეხობას.⁷³

ავარიზის ასაკრეფად, ყველა ნაპიესა თუ კაზაში გახსნილი იყო პუნქტები, რომელთაც “ავარიზ-ჰანეები” ეწოდებოდათ.⁷⁴

XVI ს-ის ბოლოსათვის ავარიზი უკვე მუდმივ და ფულად გადასახადად იქცა. მისი რაოდენობა კი დღითიდღე მატულობდა. ლაშქრობის დროს ხალხისაგან მარცვლეულის სახით აკრეფილი ავარიზიც თანდათანობით ფულადი გადასახადით შეიცვალა.

დროთა განმავლობაში ავარიზმა შარიათის საფუძველზე დამყარებული გადასახადის სახე მიიღო.⁷⁵

მეკმედ ალი უნალს, XVII ს-ის ხარფუთის მაგალითზე აქვს აღწერილი, თუ რა მძიმე ტვირთს წარადგენდა ავარიზის გადასახადი ოსმალეთის იმპერიის დაბალი ფენებისათვის.⁷⁶

ავარიზის გადასახადი თავიდან 4-5 წელიწადში ერთხელ იკრიფებოდა, მაგრამ სახელმწიფოს ფინანსურმა კრიზისმა, ხაზინის დეფიციტმა, განუწყვეტელმა, გამანადგურებელმა და წარუმატებელმა ომებმა კენტრალური ხელისუფლება აიძულა ავარიზი ყოველწლიურ გადასახადად ექცია.

კოჩი ბეი გორიჯელის ცნობით, ავარიზის შემოსავალი სახელმწიფოს წელიწადში 300 იუქ ახჩას აძლევდა.⁷⁸ გარდა იმისა, რომ ავარიზი ყოველწლიურ გადასახადად იქცა, თანდათან გაიზარდა მისი რაოდენობაც. სულეიმან კანუნიმ ერთ-ერთი ლაშქრობის დროს, ავარიზის სახით, გლეხებს თხუთმეტი ახჩა გადაახდევინა. 1582 წელს ავარიზის რაოდენობა უკვე 40 ახჩას შეადგენდა. XVII ს-ის ოცდაათიან წლებში მისმა რაოდენობამ 300 ახჩას მიაღწია.⁷⁹ სახელმწიფოში იყო ნახევარ მილიონზე მეტი კომლი, რომელსაც ავარიზი უნდა გადაეხადა.⁸⁰

ფეოდალების მდა განუსაზღვრელი იყო. ისინი ათასნაირ და ხშირად უცნაურ გადასახადებს ახდევინებდნენ გლეხებს. მოხელე ფეოდალების სამასპინძლოს გლეხებმა დიშქირასი (კბილის ქირა) უწოდეს, რადგან გლეხი ვალდებული იყო გამასპინძლებოდა სოფელში ჩამოსულ ოსმალ მოხელეს და ამის გარდა, გადაეხადა მოხელის კბილის ქირაც, რადგანაც მას გლეხის პურმარილის ჭამაში “კბილი უცვდებოდა”.⁸¹ თუმცა, ამ გადასახადის შესახებ თურქულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ იგი სიმბოლურ ხასიათს ატარებდა და მასპინძლის მიერ სტუმრისადმი მიძღვნილ საჩუქარს წარმოადგენდა.

ყოველივე ამას ერთვოდა ქრისტიანი გლეხებისათვის შემადრწუნებელი წესი, იანიჩართა კორპუსის “დევირმეს” წესით შევსება, რაც ერთგვარ და შეიძლება

⁷³ Akdağ M. Türkiye'nin İktisadı ve İctimai Tarihi (1243- 1453), cilt 2, Ankara 1999, s. 311

⁷⁴ იქვე, გვ. 273

⁷⁵ Ünal Mehmet Ali, 1056/1646 Tarihli Avarız Defterine Göre 17. Yüzyıl Ortalarında Harput, TTK Belleten, cilt LI, sayı 199, Nisan 1987, Ankara 1987 s. 119

⁷⁶ იქვე, გვ. 120-129

⁷⁷ ფუთურიძე გ. ოსმალთა დაპყრობითი ომები XIV-XVII საუკუნეებში, ნმაი, თბილისი 1957, 259

⁷⁸ იქვე, გვ. 258

⁷⁹ İslam Ansiklopedisi, cilt 2, İstanbul 1986, 12

⁸⁰ იქვე, გვ. 15

⁸¹ ფუთურიძე გ. ოსმალური ფეოდალური მიწისმფლობელობა, ნმაი, თბილისი. 1957

ითქვას ყველაზე მძიმე გადასახადს წარმოადგენდა.

დევშირმეს წესით ოსმალებს ქრისტიანული ოჯახებიდან მიჰყავდათ ბავშვები, სადაც ისლამზე მოქცევის შემდეგ სპეციალურად ზრდიდნენ “აჯემი ოჯაქად” წოდებულ სკოლებში და მათ ხარჯზე დისციპლინირებულ და ძლიერ არმიას ქმნიდნენ. ასეთი გზით შექმნილ ლაშქარს შემდგომში დიდი წარმატება მოჰქონდა ბრძოლებში.

პირველი “აჯემი ოჯაქი” XV ს-ის დასაწყისში გელიბოლუში შეიქმნა. ეს პროცესი ოსმალეთის იმპერიაში მთელი 150 წელი გრძელდებოდა და იგი მხოლოდ XVI ს-ის ბოლოს, მურად მესამის დროს იქნა აკრძალული. სულეიმან კანუნის დროს დევშირმეს რიცხვი ოსმალეთის იმპერიაში 12 ათას აღწევდა და იგი შემდგომში თანდათანობით შემცირდა.

ოსმალეთში არსებული საგადასახადო სისტემა უკიდურესად ალატაკებდა გლეხობას. თურქ გლეხთან შედარებით, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა დაპყრობილი არათურქი მოსახლეობა, რომელთა მიმართაც დამოკიდებულება უფრო მკაცრ ფორმებში ვლინდებოდა.

გარდა ეკონომიკური პრივილეგიებისა, მუსლიმი ქრისტიანთან შედარებით, სოციალურ უპირატესობასაც ფლობდა. ქრისტიანს არ ჰქონდა უფლება ეტარებინა იარაღი. მას გზა უნდა დაეთმო შემხვედრი მუსლიმისათვის და ქედი მოეხარა მის წინაშე.

ქრისტიანთა მდგომარეობის გასათვალისწინებლად საინტერესოა აგრეთვე მათი ჩაცმის საკითხი, რომელსაც ყველაზე მეტად სულთან მურად მესამის (1574-1595 წწ.) დროს ექცეოდა ყურადღება. მის დროს ამ საკითხთან დაკავშირებული სპეციალური ფირმანიც კი გამოვიდა, რომელშიც აღწერილი იყო, თუ როგორი სამოსი უნდა ეტარებინათ ქრისტიანებს, ებრაელებს, თუ სხვა არამუსლიმური თემის წარმომადგენლებს. მათ არ შეეძლოთ ძვირფასი ტანსაცმლის ტარებაც კი.⁸⁴ ვფიქრობთ, რომ ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რომელიც საბოლოოდ ტეხდა ქრისტიან მოსახლეობას და გზას უხსნიდა მათი ისლამიზაციის პროცესს. მიუხედავად ამისა ეს პროცესი მაინც დიდხანს გაგრძელდა.

1831 წელს გადასახადებისა და მოსახლეობის აღრიცხვის შედეგად გაირკვა, რომ ოსმალეთის იმპერიაში – ანატოლიის, სივასის, ყარამანიის, ადანის, ტრაპიზონის, ყარსის და ჩილდირის (ახალციხის) ვილაეტებში 258696 არამუსლიმი ცხოვრობდა, ანუ მთელი იმპერიის მოსახლეობის 12% არამუსლიმი იყო.

ამრიგად, ჩვენ გავაკეთეთ ზოგადი მიმოხილვა შუასაუკუნეების ოსმალეთის საგადასახადო სისტემისა. იმდენად, რამდენადაც ჩვენი კვლევის ობიექტს

⁸² Akdağ M. Yeniçeri Ocağı Nizamının Bozuluşu, Ankara Ün. D ve TCFD, cilt V, sayı 3, Mayıs-Haziran 1947, Ankara 1947, s.291

⁸³ Ercan Yavuz, Devşirme Sorunu, Devşirmenin Anadolu ve Balkanlardaki Türkleşme İslamlaşma Etkisi, TTK Belleten, cilt 198, Aralık 1986, Ankara 1987, s. 712-714

⁸⁴ Ercan Y. Türkiye’da XV. Ve XVI. Yüzyıllarda Gayrimüslimlerin Hukuki İctimai ve İktisadi Durumu, TTK Belleten, cilt XLIX, sayı 188, Ankara 1984, s. 1140-1141

⁸⁵ იქვე, გვ. 692

წარმოადგენს აჭარაში არსებული ოსმალური გადასახადები და საგადასახადო სისტემა, ვფიქრობთ, რომ მისი შესწავლა ოსმალეთის იმპერიაში არსებული მთლიანი საგადასახადო სისტემის შესწავლის გარეშე შეუძლებელია. აქედან გამომდინარე ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა, თუ რა ჯგუფის გადასახადს მიეკუთვნებოდა აჭარაში არსებული ესა თუ ის გადასახადი და რის საფუძველზე აიღებოდა იგი.



ოსმალური გადასახადები აჭარაში “ზემო აჭარის ლივის ვრცელი დაეთარის” მიხედვით

ახალ დაპყრობილ ტერიტორიებზე ოსმალები საკუთარ ადმინისტრაციულ მმართველობას და თურქული ფეოდალური მიწისმფლობელობის ფორმებს ამკვიდრებდნენ, რასაც ამ ტერიტორიებზე ოსმალური საგადასახადო სისტემის შემოღება მოჰყვებოდა. მიწაზე და მიწის მოსავალზე დაწესებულ გადასახადებს ოსმალეთის იმპერიაში დიდი ყურადღება ექცეოდა. იმდენად, რამდენადაც იგი სახელმწიფოს შემოსავლის უდიდეს ნაწილს შეადგენდა.

ოსმალეთის იმპერიის ცალკეული ვილაიეთებისათვის ფისკალური თვალსაზრისით შედგენილი ხალხის აღწერის ვრცელი დაეთარები საუკეთესო წყაროებს წარმოადგენენ ოსმალური საგადასახადო სისტემის, თუ, ამა თუ იმ ვილაიეთის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად. ერთ-ერთი ასეთთაგანია სულთან სელიმ მეორის (1566-1574 წწ.) დროს შედგენილი “ზემო და ქვემო აჭარის ლივის ვრცელი დაეთარი”, რომელიც 558 შიფრით ინახება სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში. “დაეთარში”, მოცემული ცნობები, იმ პერიოდში აჭარაში არსებული ოსმალური გადასახადებისა და საგადასახადო სისტემის გარდა, აჭარის ისტორიის ბევრ ისეთ საკითხს მოჰყვანს ნათელს, რომელიც დღემდე ბურუსითაა მოცული.

“დაეთარის” ანალიზის საფუძველზე ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა გავცნობოდით იმ გადასახადებს, რომლებსაც აჭარის მოსახლეობა იხდიდა, კიდევ ერთხელ გავგეხილა მათი მნიშვნელობა და შინაარსი.

იმის გამო, რომ “ზემო აჭარის ლივის ვრცელ დაეთარს” დართული არ აქვს კანუნნამე, ჩვენ გამოვიყენეთ გურჯისტანის 1573/74 წლისა და 1595 წლით დათარიღებული “გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დაეთარისადმი” წამძღვარებული კანუნნამე, რადგან ჩვენი აზრით, აჭარას, როგორც ქართულ პროვინციას, ყველაზე მეტად იგი შეიძლება შეესაბამებოდეს, მითუმეტეს “დაეთარიც” და გურჯისტანის კანუნნამეც XVI საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნებიან.

ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ “დაეთარში” დამოწმებულ გადასახადებს, როგორცაა: ისფენჯი, თაფუ-დეშთიბანი, ბაღჰავა და საქორწინო, საკომლე, გამოსაღები ყიშლალებზე, იალალებზე, ცხვარზე, ღორზე, უშურს – გაწერილს სოფლის მეურნეობის ყველა დარგზე, ჯიზიეს და სხვ.

1. დაეთარში დამოწმებულ გადასახადთა შორის ერთ-ერთი ძირითადი “ისფენჯია”. ისფენჯი იყო გადასახადი, რომელსაც ახდევინებდნენ არამუსლიმ

მოსახლეობას 25 ახჩის ოდენობით.

მეცნიერულ ლიტერატურაში ისფენჯის მნიშვნელობაზე აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ისფენჯი იგივე დევშირმეს – ქრისტიანთა ბავშვების ხარჯზე იანიჩართა კორპუსის დასაკომპლექტებლად დაწყებული გადასახადი იყო და იგი ხუთ წელიწადში ერთხელ გაიღებოდა. მდიდრები გარკვეული თანხის გადახდით უფრო ადვილად აღწევდნენ თავს ამ გადასახადს, ღარიბები კი ამ გადასახადისაგან თავის დასაღწევად 10-12 წლის ბავშვებს აქორწინებდნენ, რადგან კანონით დაქორწინებულები არ მიჰყავდათ.

სხვანი თვლიან, რომ ისფენჯი მუსლიმან გლეხებზე დაწესებული ბენაქის ანალოგიური გადასახადი იყო არამუსლიმ გლეხობაზე. ბენაქის რაოდენობა 18 ან 22 ახჩას უდრიდა, ხოლო ქრისტიანები 25 ახჩას იხდიდნენ ისფენჯის სახით.

“დავთრებში” არ ჩანს ისფენჯის ნამდვილი მნიშვნელობა, არ ჩანს თუ რასთან დაკავშირებით გაიღებოდა იგი.

ყველა იმ კანუნნამეებში, სადაც ისფენჯია დამოწმებული და მათ შორის “გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის” კანუნნამეშიც აღნიშნულია, რომ “ისფენჯის გადახდის შემდეგ მათი [რეაიას] მიწებიდან ჩოფთის გამოსაღები, სანახევრო გამოსაღები და დონუმის გამოსაღები არ აიღება”. ამის გათვალისწინებით გ. იბრაგიმოვი ასკენის, რომ “კანუნ-ნამეებში მითითებულ ხარაჯი მუვაზზაფს – ანუ მიწის ნაკვეთზე დაწესებულ ჩოფთის გამოსაღებს ქრისტიანები ისფენჯს უწოდებდნენ”.⁸⁶ ანალოგიურად არის ახსნილი ისფენჯის მნიშვნელობა “ოსმალური გამოთქმებისა და ტერმინების ლექსიკონში”, სადაც აღნიშნულია, რომ “ხარაჯი მუვაზზაფს ქრისტიანები უწოდებენ ისფენჯს, თურქებს შორის ეს გადასახადი ცნობილი იყო როგორც “ჩოფთის გამოსაღები”, ანუ “საულლე” (ბოფუნდურუკ) გამოსაღები”.⁸⁷

ი. უზუნჩარშილი აღნიშნავს, რომ “ისფენჯი ქრისტიანთაგან აღებული ჩოფთის გამოსაღების სანაცულოა”,⁸⁸ რაც ჩვენი აზრით, სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს.

“გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის” კანუნ-ნამეში ისფენჯის შესახებ ნათქვამია, რომ “თითოეულ კაცზე იმ ადგილებითურთ, რომელსაც იგი ძველი დროიდანვე ფლობს, დაწესებულ იქნა გამოსაღები ისფენჯი 25-25 ახჩა”.⁸⁹ “ზემო აჭარის ვრცელ დავთარშიც” ნათლად ჩანს, რომ ისფენჯი 25 ახჩის ოდენობით გაიღებოდა. დავთარში აღწერილი 534 კომლიდან ყველა იხდიდა ისფენჯს 13350 ახჩის ოდენობით. აქედან ზემო აჭარის 313 კომლი იხდიდა 7825 ახჩას, ხოლო ქვემო აჭარის 22 კომლი – 5525 ახჩას. დავთარში არსად არ არის დამოწმებული ბენაქი ან ჩოფთის გამოსაღები, ანუ ის გადასახადები, რომელსაც იხდიდა მუსლიმი გლეხობა. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ

⁸⁶ Ибрагимов Г. И. Крестьянские восстания в Турции в XV- XVI вв. Византийский восточник, VII – 1953, ст. 127

⁸⁷ Pekalin M. Z., Osmanlı Tarihü Degimleri ve Terimleri Sözlüğü, cilt I, İstanbul 1993, 38

⁸⁸ Kanuni Osmani Methimi Defteri Hakanı, İ.H. Uzunçarşılı, TTK Belleteri, cilt XV, sayı 59, Ankara 1951, s. 398

⁸⁹ “გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი”, ს. ჯიქია. წიგნი II, ქართული თარგმანი, თბილისი 1941, გვ. 1

ამ პერიოდში ზემო და ქვემო აჭარის მოსახლეობა (გლეხობა) თითქმის მთლიანად ქრისტიანული იყო. დაეთარში მოხსენებულია მუსლიმური სახელებიც, მაგრამ ისინიც იხდიან ისფენჯს, როგორც ჩანს, ისინი ან ქრისტიანები იყვნენ, ანდა მუსლიმები, რომლებიც ქრისტიანთა ჩიფთლიქებს (მიწის ნაკვეთებს) ამუშავებდნენ, რადგან კანუნ-ნამეების თანახმად, მუსლიმი, რომელიც ქრისტიანის კუთვნილ მიწას დაამუშავებდა ჩვეულებრივად იხდიდა ისფენჯს.

მეჰმედ მეორის კანუნ-ნამეში ნათქვამია, რომ “ყველა ქრისტიანმა რეიამ უნდა გადაიხადოს ისფენჯი 25 ახჩის ოდენობით, ხოლო ქვრივები მას იხდიან ექვსი ახჩის ოდენობით, რასაც ქვრივის გადასახადი (ბიეე რესმი) ეწოდება.”⁹¹ 1431 წლის არვანილის კანუნ-ნამეშიც ისფენჯი 25 ახჩაა დაწესებული, ხოლო ქვრივი 6 ახჩას იხდის.⁹²

ისფენჯს იხდიდა შრომისუნარიანი გამოსადეგი ყველა ჯანმრთელი ზრდასრული არამუსლიმი. მისი რაოდენობა ძირითადად 25 ახჩის ოდენობით განისაზღვრებოდა, მაგრამ ზოგიერთ რეგიონში ეს ციფრი იცვლებოდა. ნ. ჩალათაი წერს, რომ “ისფენჯის რაოდენობა ათიდან ორმოცდაათ ახჩამდე მერყეობდა. ქვრივი ქალებისაგან ექვს ახჩას იღებდნენ. ზოგიერთ ადგილებზე ეს გადასახადი მდიდრებისაგან, საშუალო შეძლების გლეხებისაგან და ღარიბებისაგან სხვადასხვა ოდენობით გაიღებოდა”.⁹³ აღსანიშნავია, რომ XVI საუკუნის ბოლოს ავლონიის ებრაელი მოსახლეობა სრულიად განთავისუფლებული იყო ისფენჯის გადასახადისაგან, სამაგიეროდ 1716 წელს მორაში ებრაელები ისფენჯს ქრისტიანებზე ხუთჯერ მეტი რაოდენობით – 125 ახჩას იხდიდნენ.⁹⁴

თურქების მიერ კვიპროსის დაპყრობის (XVI ს-ის 70-იანი წლები) შემდეგ იქ ისფენჯი 30 ახჩა იქნა დადგენილი. მეჰმედ მესამის (1595-1603 წწ.) დროინდელი უნგრეთის სანჯაყის კანუნ-ნამეს მიხედვით, ქრისტიანი გლეხი ისფენჯის ნაცვლად “კაფუს” გადასახადის სახით 50 ახჩას იხდიდა, წელიწადში ორჯერ 25-25 ახჩის ოდენობით, ხიზირ ილიასის დასაწყისს (მთვარის კალენდრის დღე, რომელიც ემთხვევა 5 მაისს) და ხიზირ ილიასის დასასრულს (ანუ 8 ნოემბერს). ლ. ფეკეტე თვლიდა, რომ ამ გადასახადს არავითარი კაეშირი არ ჰქონდა ჯიზიესა და ხარაჯასთან და იგი ძველი უნგრული გადასახადი იყო, რომელიც ისფენჯს ემსგავსება.⁹⁵ ნ. ჩალათაის აზრით, ისფენჯი და კაფუს გადასახადი ანალოგიური გადასახადებია.⁹⁶

ისფენჯი, როგორც ჩიფთის გამოსადეგი, ყოველი წლის 1 მარტს

⁹⁰ Inalcik H. Osmanlılar'da Raiyet Rûsümü, TTK Belleten, cilt XXIII, sayı 89-98, Ankara 1959, s. 604

⁹¹ იქვე, გვ. 602

⁹² იქვე, გვ. 602

⁹³ Çağatay N. Osmanlı İmparatorluğu'nda Reyadan Alınan Vergi ve Resimler, Ankara Ün. D ve TCFD, cilt 5, sayı 5, Kasım-Aralık 1947, 508

⁹⁴ Inalcik H. Osmanlılar'da Raiyet Rûsümü, TTK Belleten, cilt XXIII, sayı 89-98, Ankara 1959, s. 604

⁹⁵ Fekete L. Türk Vergi Tahrirleri, TTK Belleten, cilt XI, sayı 42, Ankara 1947, s. 313

⁹⁶ Çağatay N., დასახელებული ნაშრომი, გვ. 507

იკრიფებოდა.⁹⁷

ზოგიერთი ქრისტიანი, რომელიც სახელმწიფოს ან მის ჯარს ემსახურებოდა ნაწილობრივ ან მთლიანად თავისუფლდებოდა ისფენჯის გადასახადისაგან. ასეთები იყვნენ ეონუქები, დოღანჯიები, ისინი ვინც მთაზე გადასასვლელებს, თუ ხიდებს იცავდნენ და სხვ. მადნეულის მოპოვებაზე მომუშავენი ისფენჯს 6-12 ახჩის ოდენობით იხდიდნენ.⁹⁸

ისფენჯისაგან თავისუფლდებოდნენ ისინიც, ვინც განსაკუთრებული გადასახადებით იყვნენ დაბეგრნილი. აღმოსავლეთ ანატოლიაში სომხები, რომლებიც მურასასიეს გადასახადს იხდიდნენ, განთავისუფლებულნი იყვნენ ისფენჯისაგან.⁹⁹

ეჭვგარეშეა, რომ “დაეთარში” დამოწმებული მურახასიეს გადასახადი (რომელსაც ჩვენ ქვემოთ უფრო ვრცლად განვიხილავთ) უფრო სხვა დატვირთვას ატარებს, რადგან მას ისფენჯთან არაერთი კავშირი არ აქვს და ცალკე იკრიფება. ამასთანავე დიდია მათ შორის სხვაობაც.

2. “დაეთარში” მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე თავუს გადასახადს.

სიტყვა “თაფუს” წარმომავლობაზე სხვადასხვა აზრი არსებობს. ზოგი თვლის, რომ იგი ბერძნული “ტაპუს”-დან (მიწა) მოდის, ზოგი სპარსულს უკავშირებს. თურქულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია აზრი, რომ სიტყვა “თაფუ” თურქული “ტაპუკ”-ის შეცვლილი ფორმაა, რომელიც დაქვემდებარებას, მორჩილებას ნიშნავს.¹⁰⁰

თაფუ თურქეთში მიწათმფლობელობის ერთ-ერთი პირობათაგანი იყო. თაფუს გადასახადი გაიღებოდა მაშინ, როდესაც მიწის ნაკვეთი, სხვადასხვა მიზეზის გამო, ერთი მფლობელიდან მეორის ხელში გადადიოდა. პირდაპირი მემკვიდრე – შვილი, მიწას იღებდა თაფუს გადახდის გარეშე. მემკვიდრის არყოლის შემთხვევაში მიწა თაფუს საფუძველზე სხვას გადაეცემოდა. კანონთა წიგნში თაფუს შესახებ ნათქვამია: “უკეთუ რეაიადან კვდება ვინმე და მას მიწა რჩება [ეს მიწა] შვილზე გადადის, როგორც სამკვიდრო მფლობელობა. თუ მას შვილი არა ჰყავს, მის ძმაზე არ გადადის; თაფუს წესებს დაექვემდებარება. მაგრამ თუ მისი ძმა გადაიხდის თაფუს იმ გამოსაღებს, რომელსაც სხვა იძლევა, მაშინ [მიწა] სხვას არ გადაეცემა”.¹⁰¹

კანონით ნებადართული იყო ქალისთვის მიწის ნაკვეთის გადაცემა თაფუს საფუძველზე. ქალი კი თავის მხრივ ვალდებული იყო მიწა დაუმუშავებელი არ დაეტოვებინა.

თაფუს გადასახადის ზომა სხვადასხვა პირობებზე იყო დამოკიდებული. იგი საუკეთესო მიწიდან გაიღებოდა 50 ახჩის ოდენობით, საშუალო მიწიდან 30-40

⁹⁷ Inalcik H., დასახელებული ნაშრომი, გვ. 607

⁹⁸ Akgündüz A. Osmanlı Kanunnameleri ve Hukuki Tahlilleri, I. Kitap. İstanbul 1994, s. 176

⁹⁹ Inalcik H., დასახელებული ნაშრომი, გვ. 608

¹⁰⁰ Pekalin M. Z., Osmanlı Tarih Degimleri ve Terimleri Sözlüğü, cilt III, İstanbul 1993, s. 399

¹⁰¹ “გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი”, ს. ჯიქია, წიგნი II, ქართული თარგმანი, თბილისი 1941, გვ. 1

ახჩა და უვარვისიდან – 10-20 ახჩა.¹⁰²

“დავთრის” მიხედვით თავუს გადასახადის რაოდენობის განსაზღვრა შეუძლებელია. ჯერ ერთი, მასში არ არის მოცემული, თუ როგორი ხარისხის მიწაზე იგი შეწერილი, და მეორეც, თავუს გადასახადი დამოწმებულია ღეშთიბანის გადასახადთან ერთად. თავუსა და ღეშთიბანის გადასახადი სხვადასხვა რაოდენობითაა შეწერილი აჭარის ყველა სოფელზე. ზემო აჭარაში მისი რაოდენობა 5258 ახჩას შეადგენს, ქვემო აჭარაში კი – 5305 ახჩას. ამ რიცხვებიდან თავუს რაოდენობის განსაზღვრა და გამოყოფა შეუძლებელია.

ღეშთიბანის გადასახადი კანუნ-ნამეებში იშვიათად გვხვდება. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ეს გადასახადი ჯარიმის სახეს ატარებდა და გარკვეულ შემთხვევებთან იყო დაკავშირებული. ა. აქგუნდუზი აღნიშნავს რომ ცხოველების მიერ ნათესებზე მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, ცხოველის პატრონს როზგავდნენ და რამდენ როზგესაც მიიღებდა, იმდენ ახჩას ახდევინებდნენ. ამ ადებულ ახჩას ღეშთიბანი ეწოდებოდა.¹⁰³

“დავთარში” მოყვანილი თავუს და ღეშთიბანის ნუსხის მიხედვით არ არის გასაგები, თუ რამდენ ხანში და რა რაოდენობით იკრიფებოდა იგი. ეს გადასახადი არ შეიძლებოდა ყოფილიყო სხვა გადასახადებზე იყოფილი, რადგან იგი გარკვეულ შემთხვევებს უკავშირდებოდა. თავუს რეგლამენტაცია მიწის ნაკვეთისა და ნაყოფიერების მიხედვით ხდებოდა მაშინ, როდესაც რომელიმე რეაია იღებდა მიწას თავუს საფუძველზე.

თავუს და ღეშთიბანის გადასახადი იყო ველზე და მინდვრებზე, ანუ დასამუშავებელ მიწებზე (ნათესებზე) შეწერილი გადასახადი. თავუს გადასახადი აიღებოდა იმ ადგილებიდანაც, სადაც სახლი შენდებოდა, მაგრამ იგი დავთარში ცალკე აღირიცხებოდა. ჩვენ მას ქვემოთ უფრო ფართოდ განვიხილავთ.

3. “დავთრის” მიხედვით მოსახლეობაზე გაწერილი იყო მურახხასიეს გადასახადი. “გურჯისტანის ვილაიეთის ვრცელი დავთრის” და აგრეთვე 1573/4 წლის გურჯისტანის კანუნ-ნამეებში ნათქვამია, რომ “გამოსაღებს მურახხასიეს სახით თითოეულ კაცზე თურმე ორ-ორ ახჩას იღებდნენ. ახალ დავთარში ჩაწერილობისდა შესაბამისად, რეაიას მდგომარეობის შესამსუბუქებლად თითოეულ კომლზე უნდა აიღონ ორ-ორი ახჩა. ზედმეტი არ უნდა აიღონ”.¹⁰⁴ კომლზე ორ-ორი ახჩაა აგრეთვე დამოწმებული კარაპისარ შარქის (არზრუმის ვილაიეთი) კანუნ-ნამეშიც.¹⁰⁵

მურახხასიეს არსი ჯერჯერობით მაინც ბოლომდე გაურკვეველი რჩება. აკად. სერგი ჯიქია აღნიშნავს, რომ ასეთი გამოსაღები შიდა ოსმალეთში მაინცდამაინც არ ყოფილა და ამ სიტყვას გამოსაღების მნიშვნელობით ლექსიკონებში ვერ

¹⁰² შენგელია ნ. ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი “გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის” მიხედვით. თსუ შრომები ტ. 91, თბ. 1960, გვ. 287

¹⁰³ Akgündüz A. Osmanlı Kanunnameleri ve Hukuki Tahlilleri, I. Kitap, İstanbul 1994, s. 185

¹⁰⁴ “გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი”, ხ. ჯიქია, წიგნი II, ქართული თარგმანი, თბილისი 1941, გვ. 4

¹⁰⁵ Kara Hisar-i Şarkı sancağı Kanunnameleri, A. Akgündüz, Osmanlı Kanunnameleri ve Hukuki Tahlilleri, kitap 7/II, İstanbul 1994, s. 567

ევლებით.¹⁰⁶ ლექსიკონებში მურახხასა-ს მნიშვნელობა განმარტებულია, როგორც სომეხთა ეპისკოპოსი, ბერი და მისთანები.

მიუხედავად ამისა ს. ჯიქიას არა აქვს ახსნილი, თუ რისთვის და რა მიზნით იკრიფებოდა ეს გადასახადი.

გ. ტივაძე იმოწმებს “გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთრის” კანუ-ნამეს და დაასკენის, რომ მურახხასიე არ არის საკომლო გადასახადი, მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ კომლზე გაწერილი ყოფილა ორ-ორი ახჩა, ვინაიდან დაეთრის შედგენამდე “გურჯისტანის ვილაეთში” კაცზე ორ-ორ ახჩას ღებულობდნენ.¹⁰⁷

ჩვენის აზრით გ. ტივაძის ეს მტკიცებულება საფუძველს მოკლებულია, იმდენად, რამდენადაც, როგორც “გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთრიდან”, მისი კანუნ-ნამედან და აგრეთვე “ზემო აჭარის ლიეის ერცელი დაეთრიდანაც” ამკარად ირკვევა, რომ მურახხასიე საკომლო გადასახადია და მას თითოეული კომლი იხდის ორ-ორი ახჩის ოდენობით.

ა. ტვერიტინოვა მურახხასიეს შესახებ წერს, რომ იგი იყო საკომლე გადასახადი ორ-ორი ახჩის ოდენობით, რომელიც ეპისკოპოსის სასარგებლოდ გაიღებოდა.¹⁰⁸

ბ. სვანიძე, რომელიც ცალკე ეხება მურახხასიეს საკითხს, აღნიშნავს, რომ იგი ფეოდალის სასარგებლოდ დაწესებული გადასახადი იყო. იგი ამბობს, რომ მურახხასიე შეიძლება თავიდან მართლაც ეპისკოპოსის სასარგებლოდ დაწესებული გადასახადი ყოფილიყო, მაგრამ ეს უფლება შემდგომში გამაჰმადიანებულმა ქართველმა ფეოდალებმა შეინარჩუნეს.¹⁰⁹

იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა დაპყრობამდე ქართველი ფეოდალები მამულებთან ერთად ეკლესია-მონასტრებსაც ფლობდნენ, მ. სვანიძე ვარაუდობს, რომ გამაჰმადიანებულმა ქართველმა ფეოდალებმა ოსმალთა ბატონობის დროს, იმ მიზეზით, რომ ისინი ფლობდნენ ეკლესია-მონასტრებს, ეპისკოპოსების სასარგებლოდ დაწესებული გადასახადი თვითონ მიითვისეს.¹¹⁰

ჩვენი აზრით, მურახხასიეს გადასახადის არსი ნათლად არის გადმოცემული კარაპისარ შარქის კანუ-ნამეში, სადაც ნათქვამია, რომ “ხსენებულ ლივაში ზოგიერთი სასულიერო პირის (რომლებიც კარაბაშების სახელით არიან ცნობილნი), დაქვემდებარებაში არის თითო ეკლესია. არსებული მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით მათზე თურმე დაკისრებული იყო მურახხასიეს გადასახადი თითო ახჩის ოდენობით და სამეუფეო კარზე მყოფი პატრიარქების ხელით სახელმწიფო ხაზინაში ბარდებოდა.

¹⁰⁶ ჯიქია ს. XVIII ს-ის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ. თსუ შრომები ტ. 91, თბ. 1960, გვ. 183

¹⁰⁷ ტივაძე გ. სამცხე-საათაბაგო “გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთრის” მიხედვით. “მნათობი” 3, თბილისი 1948, გვ. 138

¹⁰⁸ Тверитинова А. С. Аграрный строй Османской империи XV- XVI вв. (документы и материалы). Москва 1963, ст. 160

¹⁰⁹ სვანიძე მ. მურახხასიეს მნიშვნელობის დაზუსტებისათვის “გურჯისტანის დიდი დაეთრის” მიხედვით, ბიზანტიური ეტიუდები, თბილისი 1978, გვ. 162-163

¹¹⁰ სვანიძე მ. მურახხასიეს მნიშვნელობის დაზუსტებისათვის “გურჯისტანის დიდი დაეთრის” მიხედვით, ბიზანტიური ეტიუდები, თბილისი 1978, გვ. 164

ამიერიდან მისი რაოდენობა კომლზე ორი ახჩა იქნა გარდაკვეთილი”.¹¹¹

ფეიქრობთ, რომ ა. ტვერიტიხოვას ვარაუდი გარკვეულწილად ახლოს არის სიმართლესთან, მაგრამ მასში ბოლომდე ვერ არის ახსნილი მისი ხასიათი. მართალია მურახხასიე იკრიფებოდა სასულიერო პირების მიერ, მაგრამ არა ეპისკოპოსების, არამედ სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ. ე. ი. გამოდის, რომ მურახხასიეს გადასახადს ქრისტიანი სასულიერო პირები საკუთარი მრევლისაგან კრეფდნენ და უხდიდნენ სახელმწიფოს იმისათვის, რომ მათ შეენარჩუნებინათ საკუთარი პოზიციები. მოსახლეობა კი თავის მხრივ ამ გადასახადით ინარჩუნებდა საკუთარ რელიგიურ ადათ-წესებს.

აქედან გამომდინარე, მარტივად რომ ვთქვათ მურახხასიე იყო გადასახადი, რომელსაც იხდიდა მრევლი იმისათვის, რომ მას შეენარჩუნებინა მღვდელი და ეკლესია.

“დავთრიდან” ნათლად ჩანს, რომ აჭარაში მურახხასიე საკომლო გადასახადს წარმოადგენდა, რადგან ყველა იმ სოფელში, რომელიც მურახხასეს გადასახადს იხდიდა, კომლთა რაოდენობა ორჯერ ნაკლებია მურახხასიეს გადასახადის რაოდენობაზე. აჭარის 54 დასახლებული სოფლიდან, ხუთის გარდა, ყველა იხდიდა მურახხასიეს გადასახადს. მისი საერთო რაოდენობა 988 ახჩაა (578 ზემო და 410 ქვემო აჭარაში). ამ სოფლებში დასახლებული და დავთარში აღწერილი ყველა კომლი ექვემდებარებოდა ამ გადასახადს, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ XVI ს-ის 60-70-იან წლებში აჭარის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქრისტიანი იყო.

4. ოსმალეთის სხვა დანარჩენი მოსახლეობის მსგავსად, აჭარის მოსახლეობისათვის დაწესებული იყო ბაღჰავასა და საქორწინო გადასახადი. იგი დამოწმებულია “დავთარში” სხვა გადასახადების გვერდით და საკმაოდ დიდი რაოდენობით არის გაწერილი.

საქორწინო გადასახადი გადაეხდებოდა იმ პირს, ვინც ქორწინდებოდა: იგი გადასახადს იხდიდა პირველი ღამის უფლების გამოსყიდვის სახით. საქორწინო გადასახადს სხვადასხვა რაოდენობით იხდიდა ქრისტიანი და მუსლიმი, ქვრივი და ქალწული. “კანონთა წიგნი” ნათქვამია: “საქორწინო გამოსაღები აიღება სამოც-სამოცი ახჩა ქალწულისაგან და ოცდაათ-ოცდაათი ახჩა ქვრივისაგან, თუ ისინი ცხოვრობდნენ ბეგლარბეგისა და მირლიეაის სახასო მიწებზე”. ამავე კანონის მიხედვით “ქალწულის საქორწინო გამოსაღებს იხდის მისი მამა და უხდის მას ვისი რეაიაც არის, ქვრივი უხდის გამოსაღებს იმ თიშარის მფლობელს, რომლის მიწაზეც ის იმყოფება”.¹¹²

ქრისტიანები საქორწინო გადასახადს ორჯერ მეტი რაოდენობით იხდიდნენ ვიდრე მუსლიმები. გადასახადის რაოდენობა ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა რეგიონში უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ზოგიერთ მათგანში საქორწინო გამოსაღების სახით ერთ ცხვარს, ან თხას იღებდნენ.

¹¹¹ Kara Hisar-i Şarkı sancağı Kanunnameleri, A. Akgündüz, Osmanlı Kanunnamelcri ve Hukuki Tahlilleri, kitap 7/II, İstanbul 1994, s. 567

¹¹² “გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი”. ს. ჯიქია, წიგნი II, ქართული თარგმანი, თბილისი 1941, გვ. 3

ოსმალური კანონმდებლობის მიხედვით საქორწინო გამოსაღები აიღებოდა მხოლოდ იმათგან, ვინც მიწაზე იყო მიმაგრებული და ვისაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა. მომთაბარე ტომებისაგან საქორწინო გამოსაღები არ აიღებოდა. კანუნ-ნამეებში იურუქებისა და იუზდეჯების შესახებ ნათქვამია, რომ “ვინაიდან იურუქისა და იუზდეჯის ტომებს არ აქვთ განსაზღვრული (საცხოვრებელი) ადგილი, ქალწული და ქერივი, მამასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, თანაბარნი არიან”.

რეიას გარდა საქორწინო გადასახადს ზაიმები და თიმარიოტებიც იხდიდნენ. ისინი ამ გადასახადს სანჯაყბეებს ან ხასის მუპატრონეებს უხდიდნენ, იმის მიხედვით, თუ დავთარში ვისზე იყვნენ შეწერილები.¹¹⁴

როგორც აღენიშნეთ, საქორწინო გამოსაღების რაოდენობა სხვადასხვა მიზეზების გამო განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. იგი იცვლებოდა სიმდიდრის თუ სიღარიბის, ქალწულის თუ ქერივის, ქრისტიანის თუ მუსლიმის მიხედვით. აღენიშნეთ ისიც, რომ ქრისტიანი ორჯერ მეტს იხდიდა, ვიდრე მუსლიმი. მაგრამ ზოგიერთ რეგიონში ქრისტიანს უფრო ნაკლებს ახდევინებდნენ ვიდრე მუსლიმს. მაგალითად, ლეპოვაში მუსლიმანი ქალწული 60 ახჩას იხდიდა, ხოლო ქერივი 30 ახჩას, ქრისტიანი ქალწული- 120 ახჩას და ქერივი 60 ახჩას.¹¹⁵ ბუდინის ვილაეთში მუსლიმი ქერივი 30 ახჩას იხდიდა, ხოლო ქალწული 60-ს, ქრისტიანი ქერივი 25 ახჩას იხდიდა და ქალწული-30 ახჩას.¹¹⁶

იმ გარემოებას, რომ მუსლიმები უფრო მეტს იხდიდნენ ვიდრე ქრისტიანები, იბრაგიმოვი ხსნის იმით, რომ თურქი ქალები საზოგადოებაში უფრო მეტი ღირსებით ფასობდნენ და თურქი ფეოდალის თვალში სხვა ეროვნების ქალი ითვლებოდა მონად, რომელსაც პარემი უნდა გაემდიდრებინა.¹¹⁷ ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს, რადგან ეს მხოლოდ იშვიათ რეგიონებში ხდებოდა, ძირითადად ქრისტიანები უფრო მეტს იხდიდნენ, რაც გამორიცხავს ამ ვერსიას. როგორც ჩანს, ეს ფაქტები გარკვეულ შემთხვევებთან იყო დაკავშირებული.

“რესმი არუსიესთან” (საქორწინო გადასახადი) ერთად ხშირად გვხვდება “რესმი ნიკიაპი”. ნიკიაპის შესახებ ნ. შენგელია წერს, რომ ეს ორივე ერთი და იგივე გადასახადია და ერთად იკრიფებოდა.¹¹⁸ თურქული ლიტერატურის მიხედვით “ნიკიაპი” მხოლოდ იმ შემთხვევაში აიღებოდა, როდესაც გაცილებული ცოლ-ქმარი ხელახლა გადაწყვეტდნენ დაოჯახებას, და ისიც მცირე რაოდენობით. ნიკიაპის გადასახადს ყადი იღებდა.¹¹⁹

¹¹⁴ “გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი”, ს. ჯიქია, წიგნი II, ქართული თარგმანი, თბილისი 1941, გვ. 3

¹¹⁴ Çağatay N., დასახელებული ნაშრომი, გვ. 506

¹¹⁵ იქვე, გვ. 507

¹¹⁶ შენგელია ნ. ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი “გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარის” მიხედვით, თსუ შრომები ტ. 91, თბ. 1960, გვ. 292

¹¹⁷ Ибрагимов Г. И. Крестьянские восстания в Турции в XV- XVI вв. Византийский восточник, VII - 195, ст. 52

¹¹⁸ შენგელია ნ. ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი “გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარის” მიხედვით, თსუ შრომები ტ. 91, თბ. 1960, გვ. 293

¹¹⁹ Çağatay N., დასახელებული ნაშრომი, გვ. 506-507

ბაღკავა კანონთა წიგნში არ არის მოხსენებული, მაგრამ “დავთარში” იგი საქორწინო გამოსაღებთან ერთად არის დასახელებული და მათი რაოდენობა ერთმანეთშია არეული. ამ შემთხვევაშიც ძნელი ზდება ბაღკავასა და საქორწინო გამოსაღების ოდენობის ცალკეცალკე გამოანგარიშება.

ბაღკავას გადასახადი ჯარიმის სახეს ატარებდა და იგი რამდენიმე სახის გადასახადს აერთიანებდა. მასში შედიოდა ჩვენს მიერ განხილული საქორწინო გადასახადიც. ბაღკავას გადასახადში შედიოდა სხვადასხვა ჯარიმები, რომელთა რაოდენობაც დანაშაულის სიმძიმის მიხედვით იცვლებოდა. მასში შედიოდა აგრეთვე თავუს გადასახადებიც: თავუ რომელიც ველზე და ნათესებზე აიღებოდა და თავუ, რომელიც მშენებარე სახლის ადგილიდან აიღებოდა.¹²⁰ ამიტომაც არის, რომ ბაღკავასა და საქორწინო გამოსაღები თავისი პრინციპით ძალზედ ჰკავს თავუსა და ღეშთიბანის გადასახადს. ჩვენი აზრით ისინი ერთი და იგივე სახის გამოსაღებია. რომლებიც ბაღკავას გადასახადთა გჯუფში იყო გაერთიანებული. თავუს და ღეშთიბანის გადასახადი დავთარში იმ მიზეზით არის ცალკე გამოტანილი, რომ იგი მხოლოდ ველზე და მინდვრებზე, ანუ ნათესებზე დაწესებული გადასახადია. ღეშთიბანი პირდაპირ თარგმანში მეველეს (deşl – მინდორი, ველი, ხოლო – ban – სპეციალობის, საქმიანობის მაწარმოებელი აფიქსი) ნიშნავს და როგორც ჩანს ისიც ბაღკავას გადასახდთა გჯუფში შემავალი ერთ-ერთი საჯარიმო გამოსაღებია.

“დავთარიდან” ჩანს, რომ ბაღკავასა და საქორწინო გამოსაღებს აჭარის წყლის ხეობის ყველა სოფელი იხდიდა და საკმაოდ დიდი რაოდენობითაც. მისი საერთო რაოდენობა მთელს აჭარაში 13853 ახჩას შეადგენდა – ზემო აჭარაში 6868, ხოლო ქვემო აჭარაში – 6985 ახჩა.

5. ოსმალეთის იმპერიას, სადაც მეცხოველეობა ძლიერ იყო განვითარებული, დიდი შემოსავალი ჰქონდა ცხვარზე და თხაზე, ანუ წვრილფეხა საქონელზე დაწესებულ გადასახადით.

კანუნ-ნამეებში ცხვრის გადასახადის შესახებ წერია: “დაკანონებულია, რომ ცხვარი და ბატკანი ორივე ერთად ითვლებოდეს ერთ[მთელ]ად. დაკანონებულია [არეთვე], რომ ცხვრის გამოსაღები აღებულ იქნას აპრილის თვეში. თუ მას შემდეგ, რაც ვილაიეთის აღწერის დროს ცარიელად აღრიცხულს სოფელში, გარეშე რეაიადან მოვიდა ვინმე და ცხვარი მოაშენა, მაშინ, თუ ცხვრის გამოსაღები მისგან არაა მიწერილი სხვა სიფაჰიზე, ის [გამოსაღები] აიღება ისე, როგორც ჩაწერილია, და იმის სასარგებლოდ, ვისთვისაც ეს გამოსაღები განკუთვნილია ამ ვილაეთში. ორ ცხვარზე ერთი ახჩის აღების შემდეგ აღება კიდევ ერთი ახჩისა [ყოველ] ათ ცხვარზე, ჩუბუკის ფულის სახით და თითო ცხვრისა, თითოეულ ფარაზე შიმლიგის სახით ეწინააღმდეგება სულთნის ნებას [ეს არ უნდა იქნეს აღებული]”.¹²¹

ოსმალეთის სხვადასხვა ვილაეთებში ორ ცხვარსა თუ თხაზე ერთი ახჩა გაიღებოდა. ამასთან ცხვარი და ბატკანი, თუ თხა და თიკანი ერთ მთელად ითვლებოდა, ანუ სხვანაირად, რომ ეთქვათ, ბატკანზე და თიკანზე გადასახადი არ

¹²⁰ Cin H. Akgündüz A. Türk Hukuk Tarihi, cilt I, İstanbul 1995, s. 361

¹²¹ “გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი”, ს. ჯიქია, წიგნი II, ქართული თარგმანი, თბილისი 1941, გვ. 2

გაიღებოდა. ამის გარდა, ცხერის გამოზამთრების პერიოდში თითოეულ ფარაზე აიღებოდა საშუალო სიდიდის თითო ცხვარი, ხოლო ფარაზე ნაკლები თუ იყო, ყოველ ათ ცხვარზე ერთი ახჩა.¹²² აღსანიშნავია, რომ ფარის რაოდენობა სხვადასხვა რაიონში სხვადასხვა რიცხვით განისაზღვრებოდა. მაგალითად, ერთგანის კანუნამეს მიხედვით ერთი ფარა 150 ცხვრით განისაზღვრებოდა.¹²³ ხოლო იბრაილის რაიონში ერთი ფარა 300 ცხვარს ითვლიდა.¹²⁴

“დაეთრიდან” ჩანს, რომ ცხვარზე გადასახადი ზემო აჭარის 21 და ქვემო აჭარის 18 სოფელზეა შეწერილი. მისი რაოდენობა შესაბამისად 4067 და 6962 ახჩაა. მთელს აჭარაში ცხერის გადასახადი 11029 ახჩას შეადგენდა. თუ დაეყრდნობით კანონს – გადაეხადათ ორ ცხვარზე (ან თხაზე) ერთი ახჩა, გამოდის, რომ ცხერის რაოდენობა აჭარაში დაახლოებით 22000-ს შეადგენდა. მაგრამ ეს არ იქნება სწორი. ცხერის რაოდენობის დასაზუსტებლად საჭიროა ამ რიცხვს მიემატოს იმ ბატკნების რაოდენობა, რომელზეც “დაეთარში” არაფერია ნათქვამი. მიუხედავად იმისა, ნათლად ჩანს, რომ მეცხვარეობა აჭარაში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. “დაეთარში” არაფერია ნათქვამი მსხვილფეხა საქონელზე: ხარზე, ძროხაზე, კამეჩზე. ისინი არ არის შესული საგადასახადო სიებში, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობა სრულებით არ მისდევდა მსხვილფეხა საქონლის მოშენებას. არაფერია ნათქვამი მსხვილფეხა საქონელზე “გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დაეთარშიც”. ნ. შენგელია აღნიშნავს, რომ “ოსმალეთის მთავრობა როგორც სამცხე-საათაბაგოში, ისე დაპყრობილ სხვა ადგილებშიც აწესებდა გადასახადს, როგორც ღორზე, ისე მსხვილფეხა საქონელზეც: მაგალითად, ალუბოს, მოსულის და არაბგირის ლივის კანონებში გათვალისწინებულია გადასახადი ძროხაზე, კამეჩზე; არაბგირის ლივაში ძროხის გამოსაღების შესახებ ნათქვამია, რომ “ყოველ ძროხაზე 3-3 ოსმალური ახჩა აიღებოდა, კამეჩის გადასახადი კი ერთ და იმავე ვილაეთში სხვადასხვა ოდენობითაც იღებოდა”.¹²⁵

ძალზედ საინტერესოა ა. აქგუნდუზის მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. იგი აღნიშნავს, რომ “აქლემი, კამეჩი, ხარი და მასთანები, რომლებიც გამოიყენებოდნენ მიწის დამუშავებისათვის; ცხენი, ვირი, ჯორი, რომლებიც აუცილებელი იყო ომისათვის, გადასახებისაგან თავისუფლდებოდნენ”.¹²⁶ სწორედ ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, როგორც აჭარის, ასევე გურჯისტანის დაეთარებში არაფერია ნათქვამი მსხვილფეხა საქონელზე.

ცხერის გადასახადის აკრეფა მარტის დასაწყისიდან მაისის დასასრულამდე გრძელდებოდა. იგი ისევე, როგორც ჯიზიე და აუარიზი (ამ გადასახადებზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ) პირდაპირ სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა, რის გამოც ამ გადასახადების ასაკრეფად ცალკე, სპეციალური პირები (მუ’აღდილ)

¹²² იქვე, გვ. 2

¹²³ Çağatay N., დასახელებული ნაშრომი, გვ. 486

¹²⁴ Halaçoğlu Y. XIV-XVI yy. Osmanlılarda Devlet Teşkilatı ve Sosyal Yapı, Ankara 1998, s. 112

¹²⁵ შენგელია ნ. ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი “გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დაეთარში” მიხედვით, თსუ შრომები ტ. 91, თბ. 1960, გვ. 297

¹²⁶ Akgündüz A. Osmanlı Kanunnameleri ve Hukuki Tahlilleri, I. Kitap, İstanbul 1994, s. 187

ინიშნებოდნენ,¹²⁷ რომლებიც მთელი მარტის თვის განმავლობაში, მთელს იმპერიაში აღრიცხავნენ საქონელს და ადგენდნენ თუ ვის რამდენი უნდა გადაეხადა. გადასახადი გაიღებოდა როგორც ერთ ჯერზე, ასევე ნაწილ-ნაწილად. ცხვარზე დაწესებულ გადასახადს ერთნაირად იხდიდა როგორც მუსლიმი, ისე არამუსლიმი რეაია.

6. “გურჯისტანის კანუნ-ნამეში” ღორზე შეწერილი გადასახადის შესახებ არაფერია ნათქვამი, ამიტომაც ცხვრისაგან განსხვავებით უფრო ძნელი ხდება მასზე დაწესებული გადასახადის რაოდენობის განსაზღვრა.

ღორზე დაწესებული გადასახადის რაოდენობა ყველგან ერთნაირი არ იყო. მაგალითად ჰოუაგას ლივაში ორ ცხვარზე და ორ ღორზე ერთნაირად – თითო-თითო ახჩას ახდევინებდნენ.¹²⁹ ა. აქგუნდუზი აღნიშნავს, რომ ყოველ ღორზე წელიწადში ოთხ-ოთხი ფარა აიღებოდა.¹³⁰ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 3 ფარა ერთი ახჩა იყო,¹³¹ გამოდის, რომ ორ ღორზე დაახლოებით 2,5 ახჩა აიღებოდა. ცხვრისაგან განსხვავებით ღორის გადასახადს გოჭზეც ახდევინებდნენ, ოღონდ მცირე რაოდენობით.

“დაეთრის” მიხედვით მეღორეობის განვითარებაზე მხოლოდ დაახლოებითი წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ ცალკეულ სოფლებში ღორზე გაწერილი გადასახადის ერთიმეორესთან დაპირისპირების საშუალებით. რადგან მეღორეობა წმინდა ქრისტიანული მეურნეობა იყო. 6. შენგელია თვლის, რომ ღორზე შეწერილი გადასახადი გაცილებით მეტი იქნებოდა, ვიდრე ცხვრის გადასახადი, რადგან ოსმალთა ხელისუფალნი ყველანაირად შეეცდებოდნენ, რომ მოესპოთ მეღორეობა, როგორც მათი რელიგიური დოგმების საწინააღმდეგო მოვლენა.¹³²

“დაეთარში” ჩანს, რომ ზემო აჭარის ორი სოფლის – სხალთისა და ზაქარაულის გარდა ყველა სოფელზეა შეწერილი ღორზე გადასახადი. მისი საერთო რაოდენობაა 4323 ახჩა (2005 ქვემო, ზოლო 2318 ზემო აჭარაში), რაც იმის დასტურია, რომ მეღორეობა აჭარაში მეცხოველეობის ერთ-ერთი განვითარებული დარგი იყო.

7. როგორც ოსმალეთის სხვა რეგიონებში, აჭარაშიც დაწესებული იყო გადასახადი იალაღებსა და ყიშლაღებსზე. იალაღის გადასახადი იყო საზაფხულო სამოვრებზე გაწერილი გადასახადი, ხოლო ყიშლაღის, ანუ ფარეხის გამოსაღები, საქონლის გამოსაზამთრებელი ადგილებიდან აიღებოდა.

ოსმალეთის მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევდა სამოვრების მოვლა-პატრონობას. დაყრობილი იალაღები ხელუხლებლად რჩებოდა, სამაგიეროდ დიდძალი გადასახადებით იბეგრებოდა. კანონების მიხედვით სამოვრების შემოღობვა და დამუშავება იკრძალებოდა, ხოლო დასამუშავებლად უვარგისი

¹²⁷ Akdağ M. Türkiye'nin İktisadi ve İctimai Tarihi (1243- 1453), cilt 2, Ankara 1999, s. 310

¹²⁸ Yılmaz Ömer Faruk, Belgelerde Osmanlı Tarihi, cilt 2, İstanbul 1998, s. 154

¹²⁹ შენგელია ნ. ოსმალური გადასახადები და ეალღებულებანი “გურჯისტანის ვილაეთის დიდი დაეთრის” მიხედვით, თსუ შრომები ტ. 91, თბ. 1960, გვ. 297

¹³⁰ Akgündüz A. Osmanlı Kanunnameleri ve Hukuki Tahlilleri, 1. Kitap, İstanbul 1994, s. 297

¹³¹ Pekalin M. Z., Osmanlı Tarih Degimleri ve Terimleri Sözlüğü, cilt III, İstanbul 1993, s. 275

¹³² ნოდარ შენგელია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 298

მიწების საძოვრებად გადაქცევა კანონს არ ეწინააღმდეგებოდა.¹³³

იალაღისა და ყიშღალის გადასახადს საძოვრის მეპატრონე სიფაჰი იღებდა. ეს გადასახადები არ ეხებოდა ადგილობრივ რეაიას, რომელიც სიფაჰის რეგულარულად უხდიდა ცხვრის გადასახადს. მას მხოლოდ გარედან მოსული ფარის მეპატრონეები იხდიდნენ, რომლებიც უცხო მიწაზე მწყემსავდნენ საქონელს. სხვა მიწებიდან მოსული ფარა, რომელიც საძოვარზე გაივლიდა გადასახადს არ იხდიდა. ხოლო თუ ეს ფარა ამ საძოვარზე სამ დღეზე მეტ ხანს გაჩერდებოდა, მას გადასახადი უნდა გადაეხადა.¹³⁴

იალაღის გადასახადის რაოდენობა ფარის მიხედვით განისაზღვრებოდა. 300 ცხვირიდან ერთი დიდი ცხვიარი აიღებოდა, ხოლო თუ ფარა უფრო მცირერიცხოვანი იყო, ცხვრის ზომაც შესაბამისად კლებულობდა.¹³⁵ გადახდა ხდებოდა ფულადი სახითაც. მაგალითად, ქუთაჰიის კანუნ-ნამეს მიხედვით, დიდი ფარიდან 20 ახჩა აიღებოდა, საშუალო ფარიდან 15, ხოლო პატარა ფარიდან – 10 ახჩა.¹³⁶

ყიშღალის გამოსაღებზე “გურჯისტანის კანუნ-ნამეში” ნათქვამია, რომ “ცხვრის გამოზამთრების პერიოდში თითოეულ ფარაზე აღებულ უნდა იქნას საშუალო სიდიდის თითო ცხვიარი, ხოლო ფარაზე ნაკლები თუ არის [ყოველ] ათ ცხვიარზე თითო ახჩა. [მაგრამ] მეტი არ უნდა იქნეს აღებული.”¹³⁷

“დაეთარში” იალაღის გამოსაღები ზემო აჭარის ორი სოფლის – ჭასა და ბელლეთის გარდა ყველა სოფელში გვხვდება. მისი რაოდენობა ზემო აჭარაში 2119 ახჩას, ხოლო ქვემო აჭარაში – 1824 ახჩას (სულ 3943 ახჩა) შეადგენს ყიშღალის გადასახადი, მთელი აჭარის მამულებით, მხოლოდ ქვემო აჭარის ორ სოფელში – ბელლეთსა და ზაქარაულშია დამოწმებული, შესაბამისად 22 და 60 ახჩის ოდენობით. ეს ციფრები მოწმობს იმას, თუ რაოდენ ფართო მამულებით ყოფილა გავრცელებული საზაფხულო საძოვრები აჭარაში. გადასახადების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ზემო აჭარაში იალაღების რაოდენობა უფრო მეტია ხოლო ყიშღალი საერთოდ არ გვხვდება, რაც იმით არის გამოწვეული, რომ იგი უფრო მაღალმთიანი ტერიტორიაა, ვიდრე ქვემო აჭარა.

უნგრელი მეცნიერი კალდი ნაგი, რომელსაც შესწავლილი აქვს ოსმალთა მიერ უნგრეთში შემოღებული მიწისმფლობელობის ფორმები და მისი გავლენა ადგილობრივ მიწისმფლობელობაზე, აღნიშნავს, რომ ოსმალთა შემოსევის შედეგად უნგრეთში უამრავი დამუშავებული მიწა განადგურდა და უპატრონოდ დარჩა, რის შემდეგაც იგი საქონლის საძოვრებად იქცა და უფრო წინ წამოიწია მესაქონლეობამ.¹³⁸ არ არის გამორიცხული და უფრო საფიქრებელიცაა, რომ აღნიშნულ ტენდენციას აჭარაშიც ჰქონოდა ადგილი, მითუმეტეს, რომ აქაც

¹³³ იქვე, გვ. 294

¹³⁴ Çağatay N., დასახელებული ნაშრომი, გვ. 509

¹³⁵ Akgündüz A. Osmanlı Kanunnameleri ve Hukuki Tahlilleri, I. Kitap, İstanbul 1994, s. 187

¹³⁶ Çağatay N., დასახელებული ნაშრომი, გვ. 510

¹³⁷ გურჯისტანის ვილაეთის დიდი დაეთარი”, ს. ჯიქია, წიგნი II, ქართული თარგმანი, თბილისი 1941, გვ. 3

¹³⁸ Nagi Kaldı GY. Tınar Sisteminin Macaristan'da Tarımsal Üretime Etkisi, TTK Belleten, cilt XXXVIII, sayı 151, Temmuz 1974, Ankara 1974, 505

უპირავე სოფელი და შესაბამისად დამუშავებული მიწის ნაკვეთია მოსახლეობის მიერ მიტოვებული და უპატრონოდ დატოვებული.

იალალისა და ყიშლალის გადასახადის აკრეფა ადრე გაზაფხულზე, ნეერუზის პერიოდში ხდებოდა.

8. დავთარში უპირავე გადასახადია დამოწმებული, რომელიც უშურის სახით აიღებოდა. უშური მიწის მოსავალზე დაწესებული გადასახადი იყო და გაიღებოდა ბაღებზე, ვენახებზე, ბოსტანზე, მარცვლეულ კულტურებზე, თაფლზე, თივაზე, სელზე და სხვა.

უშურის ოდენობა დაკანონებული იყო მეათედის სახით, მაგრამ რეალობაში იგი უფრო მეტი რაოდენობით აიღებოდა. ზოგჯერ მისი რაოდენობა მოსავლის ნახევარსაც შეადგენდა. უშურის აკრეფის პირობა იმპერიის სხვადასხვა რეგიონში განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, აქედან გამომდინარე, განსხვავდებოდა მისი რაოდენობაც. უშურის რაოდენობას თიმარის მეპატრონე ან მის მიერ დანიშნული პირი (სალარი) ადგენდა და იგი ძირითადად სიფაჰის, ვაკუფს ან ხაზინას ეკუთვნოდა.¹³⁹ ზოგიერთ შემთხვევაში ხაზინის პარალელურად უშურის გადასახადს მთლიანად ან მის ნაწილს სიფაჰიც იღებდა, რის გამოც რეაიას ორმაგი უშურის გადახდა უწევდა.¹⁴⁰

მუსტაფა აქლალი აღნიშნავს, რომ მართალია უშური სიტყვიერად ერთ მეათედს ნიშნავდა, მაგრამ მას ჰქონდა სხვადასხვა დამატებებიც. ერთ-ერთი იყო მიწის მფლობელის, ანუ სიფაჰის მხრიდან დამატებული “ცხენის გამოსაკები” ერთი მეორმოცედიც.¹⁴¹

უშურის გადასახადი მოსავლის სხვადასხვა სახეობიდან სხვადასხვა ოდენობით აიღებოდა. არ იყო სოფლის მეურნეობის არცერთი დარგი, რომლიდანაც უშური არ გაიღებოდა.

უშურის აღება რომ მოსავლის აღების დროს ხდებოდა და მისი რაოდენობაც მაშინ ღვინდებოდა, ეს კანონთა წიგნიდანაც კარგად ჩანს, სადაც ნათქვამია, რომ “რეაიას მოსავალზე უშურის აღება უნდა ხდებოდეს ლეწვის დროს. სალარებმა იმწამსვე უნდა გამორწყონ დამთავრებული კალო; რეაია არ უნდა შეავიწროვონ”.¹⁴² გლეხი ვალდებული იყო უშური მიეტანა მინდვრიდან სიფაჰის ბეღელში, ანდა გაეტანა უახლოეს ბაზარზე გასაყიდად, სიფაჰის ნებასურვილის მიხედვით.¹⁴³ იგივე ვალდებულება ეკისრებოდა გლეხობას უშურთან დაკავშირებით ღიარბაქირის, არაბგირისა და ნიღბოლუს კანუნნამეების მიხედვით.¹⁴⁴

ამასიის, კასტამონის, არზრუმის, ღიარბაქირისა და ერზინჯანის სანჯაყებში, მარცვლეული კულტურებიდან აღებულ უშურს ან ნაწილს, რომელსაც მიწის მეპატრონე იღებდა ბეჰრეს უწოდებდნენ. ზოლო დანარჩენი მოსავლიდან,

¹³⁹ Cin H. Akgündüz A. Türk Hukuk Tarihi, cilt 1, İstanbul 1995, s. 356

¹⁴⁰ Belldiceanu N. XIV- XVI yy. Osmanlı Devletinde Timar, Teori Yayınları, Ankara 1985, s. 61

¹⁴¹ Akdağ M. Türkiye'nin İktisadi ve İctimai Tarihi (1243- 1453), cilt 2, Ankara 1999, 194

¹⁴² გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი”, ს. ჯიქია, წიგნი II, ქართული თარგმანი, თბილისი 1941, გვ. 2

¹⁴³ იქვე, გვ. 2

¹⁴⁴ Güçer L. XVI-XVII yy. Osmanlı İmparatorluğu'nda Hububat Meselesi ve Hububattan Alınan Vergiler, İstanbul 1964, s. 55

გადასახადს უშურის სახელწოდებით კრეფდნენ.¹⁴⁵

უშურის გამოსაღებს რეაიას ზოგჯერ ორჯერ ახდევინებდნენ, ეს ხდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც რეაია სიფაპის თიბარში არსებულ მიწას დაუმუშავებელს დატოვებდა და სხვა მიწას დაამუშავებდა. ანდა ამ მიწის პარალელურად სხვა მიწასაც დაამუშავებდა.¹⁴⁶

უშურის გადასახადს დანამატის სახით ყოველთვის თან ახლდა სალარიეს გადასახადი, რომელიც გადასახადის ამკრეფი პირებისათვის – სალარებისათვის იყო გათვალისწინებული. სალარიე მცირე რაოდენობით გაიღებოდა. იგი სხვადასხვა ვილაეთში სხვადასხვა ოდენობით განისაზღვრებოდა. ზოგიერთ კანუნ-ნამეში უშურის და სალარიეს რაოდენობა ერთად არის მოცემული, ხოლო ზოგჯერ ისინი ცალკე აღინიშნებოდა. მაგალითად, თირპალას კანუნ-ნამეს მიხედვით რეაია, რომელიც უშურის სახით მოსავლის მეთედს იხდის, დამატებით სალარიეს სახით ერთ შინიკს (მეთხედ ქილას - ზ.შ.) იხდის. სოფიის ვილაეთში სალარიეს სახით 100 ქილადან – 3 ქილას იხდიდნენ და ერთი ქილადანაც მესამედს. უშურის რაოდენობა შვიდნახევარი ქილადან ერთ, ანუ თხუთმეტი ქილადან ორ ქილას შეადგენდა.¹⁴⁷

მიუხედავად იმისა, რომ სალარიეს რაოდენობა სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა იყო, იგი უმრავლეს შემთხვევაში მოსავლის მეორმოცედს უახლოვდებოდა. მოსახლეობა უშურის და სალარიეს სახით დაახლოებით ერთ მერვედს იხდიდა. ისეთი ადგილებში, სადაც უშური ერთ მეხუთედს აღემატებოდა, სალარიე არ აიღებოდა.¹⁴⁸

“დაეთრის” მიხედვით ჩანს, რომ აჭარის მოსახლეობაზე უშურის სახით გაწერილი იყო გადასახადები ზორბალზე, ქერზე, ფეტვზე, ჭვავზე, ყურძნის წვენიზე, (შირე), ხილზე, ბოსტანზე, კანაფზე, თივაზე და ფუტკარზე. იმდენად, რამდენადაც უშურის გადასახადი აგრარული მეურნეობის ყველა დარგს მოიცავდა, იგი ყველაზე დიდი რაოდენობით გაიღებოდა. იგი აჭარის ყველა დასახლებულ სოფელზე 529040 ახჩის ოდენობით იყო შეწერილი. უშურის სახით ზემო აჭარის 30 სოფელი 301355 ახჩას იხდიდა, ხოლო ქვემო აჭარის 24 სოფელი – 228685 ახჩას. ამას ემატება ზემო აჭარის 24 და ქვემო აჭარის 11 ნასოფლარი, რომელთა შემოსავალიც აღრიცხულია “დაეთარში” და მათი რაოდენობა შესაბამისად 100000 და 137098 ახჩას უტოლდება. აქედან გამომდინარე, მიწის მოსავლიდან, ანუ უშურის სახით მთელი აჭარიდან 7661378 ახჩა გადაიხდებოდა (ამაში შედის ფუტკარზე დაწესებული უშურიც), მაშინ, როდესაც მთელი აჭარა დაეთარში დამოწმებული გადასახადების სახით 827423 ახჩას იხდიდა.

როდესაც ესაუბრობთ ახჩაზე, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ახჩის კურსი აღნიშნულ პერიოდში. მ. აქლალს შესწავლილი აქვს ოსმალეთის იმპერიის

¹⁴⁵ Belldiceanu N., დასახლებული ნაშრომი, გვ. 61

¹⁴⁶ შენგელია ნ. ოსმალური გადასახადები და ეკლდებულებანი “გურჯისტანის ვილაეთის დიდი დაეთრის” მიხედვით, თხუ შრომები ტ. 91, თბ. 1960, გვ. 299

¹⁴⁷ Güçer L. XVI-XVII yy. Osmanlı İmparatorluğu'nda Hububat Meselesi ve Hububattan Alınan Vergiler, İstanbul 1964, s. 54

¹⁴⁸ იქვე, გვ. 54

სახელმწიფო ფულადი სისტემა ცალკე, სადაც გადმოგვეცემს, რომ XV საუკუნის შუახანებიდან XVI საუკუნის შუახანებამდე ერთი ქილე, ანუ 25 კილოგრამი ხორბლის ფასი 2-3 ახჩიდან 5-6 ახჩამდე გაიზარდა. 1585 წლის შემდეგ კი ამ ციფრმა ოცს მიაღწია.¹⁴⁹

1560-1580 წლებში ერთი ქილე ხორბლის ფასი 15-16 ახჩას შეადგენდა.

ეს ციფრები მეტყველებენ იმაზე, რომ აგრარული მეურნეობა აჭარაში წამყვანი დარგი იყო და მიუხედავად მისი რელიეფური მდგომარეობისა, იგი მაინც მეცხოველეობაზე წინ იდგა, მაშინ, როდესაც თურქულ პროვინციებში უპირატესობა მეცხოველეობას ენიჭებოდა და იგი უფრო შემოსავლიან დარგს წარმოადგენდა.

შიდა ანატოლიასა და სტამბოლის ახლო ტერიტორიებზე, რუმელიის მიმართულებით, მიწისმფლობელთა ყველაზე დიდ შემოსავლის წყაროს განვითარებული მეცხოველეობა წარმოადგენდა. უეჭველია, რომ იგი სოფლის მეურნეობაზე ბევრად უფრო შემოსავლიანი იყო.¹⁵⁰ მაგალითად, ამ ტერიტორიებზე იმდენად დიდი იყო წვრილფეხა საქონლის რიცხვი, რომ სახელმწიფომ, აქ, ამ დარგზე, განსხვავებული გადასახადები შემოიღო, რათა გაეზარდა შემოსავალი.¹⁵¹

როგორც ვიცით მეცხოველეობა ტრადიციულ თურქულ მეურნეობას წარმოადგენდა და აქედან გამომდინარე აგრარული მეურნეობა ხშირად, ყოველ შემთხვევაში იმპერიის შექმნის პირველ ხანებში, მეორე პლანზე იყო გადანაცვლებული. აგრარული მეურნეობა განვითარებული იყო უფრო არათურქულ პროვინციებში, სადაც მოსახლეობა დიდი ხნის დამკვიდრებული იყო და მიწის დამუშავებაც მის ტრადიციას წარმოადგენდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალთა დამკვიდრებამ და მათმა მიწათმფლობელურმა წესებმა უარყოფითი გავლენა იქონია ადგილობრივ მეურნეობაზე, მაგრამ აჭარის მაგალითიდან ჩანს, რომ სოფლის მეურნეობა აქ მაინც წამყვან დარგად რჩებოდა.

აჭარაში განვითარებულ სოფლის მეურნეობაზე მიგვანიშნებს თურქი ისტორიკოსის ქათიბ ჩელების სიტყვებიც. არტაანის ახლომდებარე ციხესიმაგრეებზე საუბრისას იგი აღნიშნავს, რომ “ქენზეს ციხე, ყაზანის ციხე და სხვები ლალა მუსტაფა ფაშას დაპყრობილია, ყმაწვილების სასწაელებლები, მცირე ბაზრები, აქა-იქ პატარა ფუნდუკები არის. რადგანაც მისი ჰაეა ცივია ბალენახი არ აქვს. ხილი თორთუმიდან და აჭარის ციხიდან მოდის...”¹⁵²

მოცემული ციფრები აგრეთვე მეტყველებენ იმაზე, თუ რა მძიმე ტვირთს წარმოადგენდა მოსახლეობისათვის უშურის გადასახადი და აგრეთვე როგორი მნიშვნელოვანი იყო იგი სახელმწიფოსათვის.

9. “დაეთარში” აღწერილი თითქმის ყველა დასახლებულ სოფელში დამოწმებულია გადასახადი წისქვილზე. ამ გადასახადს ერთნაირად იღებდნენ,

¹⁴⁹ Akdağ M. Osmanlı İmparatorluğu'nun Kuruluş ve İnkışafı Devrinde Türkiye'nin İktisadi Vaziyeti, TTK Belleten, cilt XIII, sayı 52, Ankara 1949, s. 531

¹⁵⁰ Akdağ M. Türkiye'nin İktisadi ve İçtimai Tarihi (1243- 1453), cilt 2, Ankara 1999, s. 139

¹⁵¹ იქვე, გვ. 139

¹⁵² ქათიფ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. ალასანიამ. თბილისი 1978, გვ. 303

როგორც ქარის, ისე წყლის წისქვილზე და იგი იმ მიწის მეპატრონეს ეკუთვნოდა, რომელზეც იდგა წისქვილი.¹⁵³ წისქვილზე გადასახადი აიღებოდა როგორც ნატურალური (ქერი, ხორბალი), ისე ფულადი სახით. მისი რაოდენობა რეგიონების მიხედვით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

“გურჯისტანის კანუნ-ნამეში” წისქვილის გამოსაღების შესახებ ნათქვამია, იგი “დაეთარში” ჩაწერილობის მიხედვით აიღება და ზედმეტი რაიმე არ უნდა იქნეს აღებული. თუ ვილაიეთის აღწერის შემდეგ ასალი წისქვილი იქნება აშენებული, მაშინ თიმარის მფლობელმა გამოსაღები აიღოს ახლომანლო მდებარე წისქვილებზე შეწერილი გამოსაღების შესაბამისად; “ზედმეტი არ უნდა იქნას აღებული”.¹⁵⁴

როგორც ვხედავთ, გადასახადის რაოდენობაზე არაფერია ნათქვამი. წისქვილის გადასახადის რაოდენობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენ ხანს მუშაობდა წისქვილი და რამდენი თვალი ჰქონდა მას. აიღინის, იჩელის, მალათიის, კარამანის ვილაეთებში ის წისქვილი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა 60 ახჩას იხდიდა, ექვს თვეზე 30 ახჩას, ხოლო სამ თვეზე – 15 ახჩას. თირქალაში მთელ წელზე 30 ახჩა გაიღებოდა, ხოლო ექვს თვეზე 15 ახჩა. მორაში წისქვილის გადასახადის რაოდენობა წელიწადში 120-ს, ხოლო ექვს თვეში 60 ახჩას უდრიდა.¹⁵⁵

საინტერესო ცნობაა მოცემული წისქვილების შესახებ სულეიმან კანუნის კანუნ-ნამეში, რომელშიც ნათქვამია, რომ თუ თიმარზე მიწერილი წისქვილი, რომელიც შემოსავლის წყაროს წარმოადგენს, დაზიანდება, მაშინ თიმარის მფლობელმა უნდა უბრძანოს მისი შეკეთება. იმ შემთხვევაში, თუ წისქვილის მფლობელს აქვს მისი შეკეთების შესაძლებლობა და არ შეაკეთებს მას, წისქვილზე დაკისრებული გადასახადის რაოდენობა სიფაქიმ უნდა გადაიხადოს; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ წისქვილის მფლობელს არ აქვს საშუალება შეაკეთოს წისქვილი და გადაიხადოს გადასახადი, მაშინ ყადის შუამდგომლობით უნდა გაიყიდოს, რათა მყიდველმა შეაკეთოს იგი და გადაიხადოს მასზე შეწერილი გადასახადი.¹⁵⁶

“დაეთარის” მიხედვით იოლად ირკვევა, რომ აჭარაში წისქვილის ყოველ თვალზე მთელი წლის განმავლობაში 60 ახჩა იყო დაწესებული და ექვს თვეზე – 30 ახჩა, რადგან ყველგან ნათლად არის დამოწმებული წისქვილის მუშაობის ხანგრძლივობა, თვალის რაოდენობა და გადასახადის რაოდენობა.

აჭარაში წისქვილზე შეწერილი გადასახადის საერთო რაოდენობა 2040 ახჩაა (840 ახჩა ქვემო და 1200 ახჩა ზემო აჭარაში).

10. ოსმალეთის საგადასახადო სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჯიზეეს გადასახადს, რომელსაც არამუსლიმი მოსახლეობა იხდიდა საკუთარი ოჯახის, ქონების და სარწმუნოების უსაფრთხოებისათვის. ეჭვგარეშეა, რომ აჭარაშიც, როგორც ქრისტიანულ პროვინციაში, აუცილებლად იქნებოდა

¹⁵³ Akgündüz A. Osmanlı Kanunnameleri ve Hukuki Tahlilleri, I. Kitap, İstanbul 1994, s. 189

¹⁵⁴ “გურჯისტანის ვილაეთის დიდი დაეთარი”, ს. ჯიქია, წიგნი II, ქართული თარგმანი, თბილისი 1941, გვ. 2

¹⁵⁵ Çağatay N., დასახელებული ნაშრომი, გვ. 503-504

¹⁵⁶ Тверитинова А. С., დასახელებული ნაშრომი, გვ. 27

ჯიზიეს გადასახადი.

ჯიზიეს გადასახადი ცალკე აღირიცხებოდა და ყველა გადამხდელს ეძლეოდა საბუთი, რომელიც მოხელეების მიერ დასმული ზუთი ბეჭდით მოწმდებოდა. ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ “ზემო აჭარის ლივის ვრცელ დაეთარში” არ გვხვდება ჯიზიეს გადასახადი. ამის გამო ძნელია იმის გაგება თუ რა რაოდენობით იხდიდა აჭარის მოსახლეობა ჯიზიეს გადასახადს.

კანუნ-ნამეებში გვხვდება საკომლო გადასახადი, რომელსაც იხდიდა ყველა, ვისაც მართებდა საქორწინოსა და სხვა გადასახადების გადახდა. საკომლო გადასახადი იყო მიწაზე დაწესებული გადასახადი და მისი რაოდენობა ჩიფთის რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. “გურჯისტანის ვილაიეთის ღიდი დაეთარის” კანუნ-ნამეში საკომლო გამოსაღების შესახებ ნათქვამია: “თუ გარეშე ვინმე მოვა და სიფაჰის თიმარზე გამოიზამთრებს, მაშინ, თუ ის ცოლშვილიანია, მის გადახდეს გაზამთრების გამოსაღები – 6 ახჩა, ხოლო თუ ის მარტოხელაა, მაგრამ კერა აქვს, მაშინ გადახდეს საკვამლე გამოსაღები – 3 ახჩა. თუ კი ის მიწას დახნავს და დათესავს და მიწის გამოსაღებს გადაიხდის, მაშინ გაზამთრების გამოსაღებს ის აღარ იხდის. მოზამთრეები სამი წლის გამავლობაში იხდიან გაზამთრების გამოსაღებს; ხოლო თუ გაზამთრებაში დააყოვნდებათ 3 წელზე მეტი, მაშინ თავის სიფაჰის უნდა მისცენ გამოსაღები ბენაქი – 18 ახჩა”.¹⁵⁷

ეჭვგარეშეა, რომ საკომლო გადასახადი აჭარაშიც არსებობდა. აჭარის “დაეთარში”, სხვა დაეთრების მსგავსად, საკომლო გადასახადი ცალკე არ არის დამოწმებული, რაც მხოლოდ და მხოლოდ იმითაა გამოწვეული, რომ ეს გადასახადი ბაღჭავას გადასახადთა ჯგუფს მიეკუთვნება¹⁵⁸ და აქედან გამომდინარე დაეთარში იგი ბაღჭავასა და საქორწინო გამოსაღებთან ერთად უნდა იყოს დაანგარიშებული.

გარდა ზემოთ აღნიშნული გადასახადებისა, ოსმალეთის მოსახლეობა იხდიდა მთელ რიგ გადასახადებს, რომლებიც კანუნ-ნამეებით არ იყო გათვალისწინებული და არც დაეთრებში აღირიცხებოდა. ესენი იყო ათასგვარი საბეგრო ვალდებულებები, რომლებიც სხვადასხვა შემთხვევებთან იყო დაკავშირებული. გარდა ამისა გლეხებს ევალებოდათ რიგი სამუშაოების შესრულება, გზებისა და ხიდების შეკეთება და სხვა.

ოსმალური საგადასახადო სისტემის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იყო ის, რომ ქრისტიანი გაცილებით მეტი რაოდენობის გადასახადს იხდიდა, ვიდრე მუსლიმი, რაც ნათლად ჩანს “დაეთარის” ანალიზიდანაც. მუსლიმი გარკვეული უპირატესობით სარგებლობდა ქრისტიანთან შედარებით, რაც უფრო ართულებდა ისედაც დაკაბალებული ქრისტიანი გლეხობის მდგომარეობას. ეს ფაქტორი გახლდათ ძირითადი მიზეზი, ოსმალეთის იმპერიის მრავალი ქრისტიანული პროვინციის მსგავსად, აჭარის მოსახლეობის შემდგომი, თანდათანობითი ისლამიზაციისა.

ქვემო აჭარის თერთმეტი და ზემო აჭარის ოცდამათხი სოფელი მთლიანად

¹⁵⁷ გურჯისტანის ვილაიეთის ღიდი დაეთარი”, ს. ჯიქია, წიგნი II, ქართული თარგმანი, თბილისი 1941, გვ. 2

¹⁵⁸ Akgündüz A. Osmanlı Kanunnameleri ve Hukuki Tahlilleri, 1. Kitap, İstanbul 1994, s. 175

დაცლილია მოსახლეობისაგან. მაგრამ მათი შემოსავალიც დაანგარიშებულია და შეტანილია დავთარში. ზემო აჭარაში გვხვდება ციხის რაბათები, რომლებიც აგრეთვე დაცლილია მოსახლეობისაგან.

არის აგრეთვე სოფლები, რომლებშიც მხოლოდ ორი კომლია შემორჩენილი და დაანგარიშებულია მათზე დაკისრებული გადასახადების საერთო რაოდენობა.

ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი

თულრა: სულთან სელიმ ხანი სულეიმან ხანის ძე, მუდამ გამარჯვებული

1. სოფელი იორამის ციხის რაბათი, ჯამი 10500
2. სოფელი ჭა, ჯამი 14000
3. სოფელი მელიქშმინდა, ჯამი 19000
4. სოფელი სხალთა, ჯამი 23000
5. სოფელი წაბლვანა, ჯამი 17000
6. სოფელი ტერი, ჯამი 4500
7. სოფელი ზემო კურმა, ჯამი 4000
8. სოფელი თაგო, ჯამი 5000
9. სოფელი ჩაო, ჯამი 7500
10. სოფელი ფურტიო, ჯამი 7000
11. სოფელი ნენია, ჯამი 11500
12. სოფელი დაბაძველი, ჯამი 7985
13. სოფელი ლაპორი, ჯამი 15500
14. სოფელი დანისპარაული, ჯამი 10500
15. სოფელი კვატია, ჯამი 12000
16. სოფელი ოშქანა, ჯამი 9400
17. სოფელი საქაშთაო, ჯამი 8500
18. სოფელი ქუდგაური, ჯამი 2000
19. სოფელი მაწყვალთა, ჯამი 5000
20. სოფელი თხილვანა, ჯამი 7500
21. სოფელი ბულაური, ჯამი 4000
22. სოფელი ტბეთი, ჯამი 1500
23. სოფელი შუანალვარი, ჯამი 3000
24. სოფელი ტურთა, ჯამი 2000
25. სოფელი კონანა, ჯამი 999
26. სოფელი კალოთა, ჯამი 3500
27. სოფელი ქოჩახი, ჯამი 4000
28. სოფელი მაქეთა, ჯამი 3000
29. სოფელი რაგთა, ჯამი 8500
30. სოფელი ხიხაძირის ციხის რაბათი, ჯამი 5000
31. სოფელი გუდნა, ჯამი 10000
32. სოფელი ხულა, ჯამი 9000
33. სოფელი ლორჯომი, ჯამი 2999
34. სოფელი დიდი აჭარა, ჯამი 15000
35. სოფელი ბელლეთი, ჯამი 6000
36. სოფელი ფოცხო, ჯამი 15002
37. სოფელი ქეედა კურმა, ჯამი 3000
38. სოფელი აღმე, ჯამი 2999
39. სოფელი ნიგაზეული, ჯამი 7000
40. სოფელი ჩანჩხალო, ჯამი 9500
41. სოფელი ქვემო მალდაშალი, ჯამი 4000

42. სოფელი ჭვანა, ჯამი 14000
43. სოფელი წყაროთა, ჯამი 4870
44. სოფელი უჩამბა, ჯამი 5615
45. სოფელი ბარათაული, ჯამი 4000
46. სოფელი ტბეთის ციხის რაბათი, ჯამი 16950
47. სოფელი ახალდაბა, ჯამი 3000
48. სოფელი ქარაფეთა, ჯამი 3000
49. სოფელი კაეიანის ციხის რაბათი, ჯამი 2000
50. სოფელი ოთალთას ციხის რაბათი, ჯამი 3000
51. სოფელი სამხლისი, ჯამი 12000
52. სოფელი ტაბახმელა, ჯამი 6000
53. სოფელი შუა კალო, ჯამი 6000
54. სოფელი ქორეთი, ჯამი 7000
55. სოფელი ამალდიური, ჯამი 5000
56. სოფელი ზემო მლაშალი, ჯამი 5000
57. სოფელი ბორდოყანა, ჯამი 3000
58. სოფელი დიოკნისი, ჯამი 6000
59. სათესველი მანიაკეთი, ჯამი 1999

ქვემო აჭარის ნაპიე ხსენებულ ლივაში

1. სოფელი მერისი, ჯამი 3000
2. სოფელი დანდალო, ჯამი 10000
3. სოფელი ახო, ჯამი 7930
4. სოფელი რადამუდი, ჯამი 5770
5. სოფელი ცხმორისი, ჯამი 2770
6. სოფელი კანტაური, ჯამი 7490
7. სოფელი კვაშტა, ჯამი 125000
8. სოფელი ვაიო, ჯამი 23060
9. სოფელი აქუცა, ჯამი 3000
10. სოფელი წონიარისი, ჯამი 7000
11. სოფელი ვარჯანისი, ჯამი 1832
12. სოფელი ზვარე, ჯამი 6200
13. სოფელი ზედსოფელი, ჯამი 5000
14. სოფელი ზენდიდი, ჯამი 5000
15. სოფელი მახუნცეთი, ჯამი 7500
16. სოფელი გალიეთი, ჯამი 7800
17. სოფელი აბუქეთა, ჯამი 3000
18. სოფელი ნასეირიანი, ჯამი 5000
19. სოფელი ორცეა, ჯამი 30000
20. სოფელი ხოხონა, ჯამი 20000
21. სოფელი თამარი, ჯამი 5000
22. სოფელი ცხემლვანა, ჯამი 15000
23. სოფელი ბზუბზუ, ჯამი 3000

24. სოფელი ზუნდაგა, ჯამი 3000
25. სოფელი დოლოგანი, ჯამი 20000
26. სოფელი საწნახენა, ჯამი 4295
27. სოფელი საღორეთის ციხის რაბათი, ჯამი 25000
28. სოფელი ტბეთა (ტიბეთა), ჯამი 2000
29. სოფელი კაპნისთავი, ჯამი 3000
30. სოფელი ხერთვისი, ჯამი 20000
31. სოფელი კიბე, ჯამი 20000
32. სოფელი ძენწმანი, ჯამი 6000
33. სოფელი კლდეტი, ჯამი 3000
34. სოფელი დაბასუბანი, ჯამი 18000
35. სოფელი მეძიბნა ჯამი 2000

ზემო აჭარის ნაკიე ხსენებულ ლივაში

1. სოფელი იორამის (إريام) ციხის რაბათი, მეორე სახელი შუბანი, ახლოსაა ვარდუბანის მაჰალესთან, ექვემდებარება ხსენებულს.

მახარებელ ძე გაბრიელისა
 ანოსიმი ძმა მისი
 გოგიჩა ძე აბარნუდისა
 ელისე ძმა მისი
 ფირანი ძე ლევანასი
 გაბრიელ ძე მისი
 ოსეფა ძე შაქარასი
 იოანე ძე მისი
 ნონია ძე ამროსისა
 მახარებელ ძე მისი
 სურა სახელია
 დანიელ ძმა მისი
 მახარებელ ძე სევერასი
 ზადირა ძე ალისუნისა
 ვარძელი ძე გუგულისა

ჯამი 10500

ისფენჯი - 15 კაცი, 375 ახჩა
 ხორბალი - ქილა 420, ღირებულება 4200
 ქერი - ქილა 5000, ღირებულება 4000
 გამოსაღები ბოსტანზე 50
 გამოსაღები იონჯასა და თივაზე 194
 გამოსაღები ფუტკარზე 550
 გამოსაღები თაფუსა და ღეშთიბანზე - 200
 გამოსაღები ღორზე 50
 გამოსაღები ცხეარზე 50

გამოსაღები იალაღზე 200
გამოსაღები კანაფზე 150
გამოსაღები ხილზე 56
წისქვილი სამი თვალი ექვსი თვით 90
ნახუარი ბად ჰავა და საქორწინო გამოსაღები 335

2. სოფელი ჭა, ახლოსა მელიქწმინდასთან, ექვემდებარება ზემო აჭარას.

ნოვრუზი ძე დანიელისა
იოსებ ძე მისი
ზანეთი ძე ბასილასი
ბასილი ძმა მისი
მახარებელ ძე საბანასი
იოსებ ძმა მისი
მახარებელ ძე დანიელასი
იოსებ ძე მისი

ჯამი 14000

ისფენჯი - 8 კაცი, 200
ხორბალი - ქილა 650, ღირებულება 6500
ქერი - ქილა 600, ღირებულება 4800
ფეტვი - ქილა 125, ღირებულება 1000
გამოსაღები ხილზე 150
შირა - მანი 50, ღირებულება 300
გამოსაღები იონჯასა და თივაზე 250
გამოსაღები ბოსტანზე 60
გამოსაღები კანაფზე 70
გამოსაღები ფუტკარზე 90
გამოსაღები თაფუსა და დეშთიბანზე - 210
გამოსაღები მურახხასიე 16
გამოსაღები ღორზე 34
გამოსაღები ცხვარზე 50
წისქვილი ორი თვალი 6 თვით 60
ბადჰავა და საქორწინო გამოსაღები 170

3. სოფელი მელიქწმინდა, ახლოსა სოფელ ჭასთან, ექვემდებარება ზემო აჭარას.

შაქარა ძე იოსებისა
გოგიჩა ძმა მისი
ადარუსი ძე მისი
გოგიჩა ძმა მისი
შაქარა ძე დავითასი

მახარებელ ძე მისი
ელისა ძე ბასილასი
ხახუტა ძმა მისი
ნონია ძე აღუმისა
შაქარა ძე მისი
გოგინა ფერუნი
ადარნას ფერუნი
ბუბა ძე მისი
გოგინა ძე ბასილასი

ჯამი 19000 ახჩა

ისფენჯი - 14 კაცი, 350
ხორბალი - ქილა 650, ღირებულება 6500
ქერი - ქილა 900, ღირებულება 7200
ფეტვი - ქილა 125, ღირებულება 1000
გამოსალები ხილზე 500
შირა - მანი 400, ღირებულება 2400
კაკალი ქილა 10, ღირებულება 200
გამოსალები ბოსტანზე 50
გამოსალები იონჯასა და თივაზე 200
გამოსალები კანაფზე 40
გამოსალები ფუტკარზე 60
გამოსალები თაფუსა და დეშთიბანზე - 100
გამოსალები მურახხასიე 28
გამოსალები ღორზე 50
გამოსალები ცხვარზე 50
წისქვილი ორი თვალი 6 თვით 60
გამოსალები იალალზე 12
ბადჰავა და საქორწინო გამოსალები 250

4. სოფელი სხალთა, ახლოსაა ფაჩხას მაჰალესთან, ექვემდებარება ზემო აჭარას.

ეასილ მღვდელი ძე ზანქანურისა
აბრამ ძმა მისი
ლევანა ძე რაფიელისა
ზაქარა ძმა მისი
ნიკოლოზ ძე იოანესი
ელისა ძმა მისი
ნოვრუზა ძე გიორგისა
გიორგი ძე დარსიასი
მეჰმედ ფირული
გოგინა ძე ჯილიასი

აღამირ ძე მასხუმისა
რამაზ ძმა მისი
მამუკა ძმა მისი
სურზილი ძე ჯანიბეგისა
მანა სახელი

სხალთის ჭალა ამჟამად ზემო აჭარის მირლივას მუსტაფა ბეგის მფლობელობაშია.

მიწა აბრაამ მღვდლისა, ახლოსაა ჭალასთან და წისქვილთან, ამჟამად სულეიმან ბეგის მფლობელობაშია. თანახმად შარიათის ჰუჯეთისა იძლევა უშურსა და გამოსაღებს.

ჯამი 23000

ისფენჯი - 15 კაცი, 375
ხორბალი - ქილა 700, ღირებულება 7000
ქერი - ქილა 1000, ღირებულება 8000
ფეტვი - ქილა 250, ღირებულება 2000
კაკალი - ქილა 20, ღირებულება 400
შირა - მანი 400, ღირებულება 2400
გამოსაღები ხილზე 425
გამოსაღები იონჯასა და თივაზე 200
გამოსაღები ბოსტანზე 100
გამოსაღები ფუტკარზე 100
გამოსაღები თაფუსა და ღეშთიბანზე - 270
გამოსაღები მურახხასიე 30
გამოსაღები კანაფზე 100
გამოსაღები იალაღზე 90
წისქვილი ორი თვალი 6 თვით 60
ბადჰავა და საქორწინო გამოსაღები 100

ბაღი და ვენახი ერთი ნაკვეთი აბდაგი მღვდლისა, ვენახი მიწის ნაკვეთით. ღურისა, ერთი ნაკვეთი. ვენახი აქლამის ერთი ნაკვეთი, ვენახი გორდულასი ერთი ნაკვეთი, ამჟამად იგი სულეიმან ბეგის მფლობელობაშია. თანახმად შარიათის ჰუჯეთისა, ცალკე ნაკვეთის სახით. წელი - 50.

ვენახი ადგაეურის სახელწოდებით ცნობილი ერთი ნაკვეთი ზემო აჭარის მირლივას მუსტაფა ბეგის მფლობელობაშია. მანსადურის სახელწოდებით ცნობილი ერთი ნაკვეთიც, გორდილას სახელწოდებით ცნობილი ერთი ნაკვეთიც მის მფლობელობაშია, გარდაკვეთილია წელიწადში 150

5. სოფელი წაბლვანა, ექვემდებარება ზემო აჭარას.

იოსებ ძე დანიელისა

ლევანა ძე ბეჟანისა
ჯაჯანა ძე ბასილასი
ზაქარა ძე გიორგისა
არნა ძე მისი
გიორგი ძე იოანესი
ქერამი ძე მისი
დანიელ ძე კარაპეტასი
გოგინა ფირული

ჯამი 17000

ისფენჯი - 9 კაცი, 225
ხორბალი - ქილა 600, ღირებულება 6000
ქერი - ქილა 700, ღირებულება 5600
ფეტვი - ქილა 250, ღირებულება 2000
კაკალი - ქილა 10, ღირებულება 200
შირა - მანი 300, ღირებულება 1800
გამოსალები ხილზე 175
გამოსალები ბოსტანზე 80
გამოსალები იონჯასა და თივაზე 100
გამოსალები კანაფზე 120
გამოსალები თაფუსა და დეშთიბანზე - 170
გამოსალები მურახხასიე 18
გამოსალები ღორზე 100
გამოსალები ფუტკარზე 100
გამოსალები იალალზე 12
წისქვილი ერთი თვალი 6 თვით 30
ბაღპავა და საქორწინო გამოსალები 270

6. სოფელი ჭერი, ახლოსაა ძმაგულას მაპალესთან, ექვემდებარება ზემო აჭარას.

ფირუნი გიორგი
გაბრიელ ძე მისი
იოანე ძე როსტევეანისა
მახარებელ ძე მისი
მღვდელი ელიაზარი
იორდანე ძე კარამიასი
მახარებელ ძე მისი
შარვანიზ ძე ფირანისა

ჯამი 14500

ისფენჯი - 8 კაცი, 200

ხორბალი - ქილა 500, ღირებულება 5000
 ქერი - ქილა 700, ღირებულება 5600
 ფეტვი - ქილა 125, ღირებულება 1000
 კაკალი - ქილა 10, ღირებულება 200
 შირა - მანი 200, ღირებულება 1200
 გამოსაღები ხილზე 100
 გამოსაღები ბოსტანზე 100
 გამოსაღები იონჯასა და თივაზე 200
 გამოსაღები კანაფზე 120
 გამოსაღები თაფუსა და ღეშთიბანზე - 200
 გამოსაღები მურახხასიე 16
 გამოსაღები ღორზე 84
 გამოსაღები ფუტკარზე 100
 გამოსაღები იალალზე 100
 წისქვილი ერთი თვალი 6 თვით 30
 ბაღჰავა და საქორწინო გამოსაღები 250

7. სოფელი ზემო კურმა, ექვემდებარება ზემო აჭარას.

გიორგი ძე მახარობლისა
 ლომია ძე მისი
 გელმაზა ძე კარაპეტასი
 იოსებ ძე მისი
 საგინა ფერული

ჯამი 4000

ისფენჯი - 5 კაცი, 125
 ხორბალი - ქილა 150, ღირებულება 1500
 ფეტვი - ქილა 10, ღირებულება 80
 კაკალი - ქილა 5, ღირებულება 100
 გამოსაღები ბოსტანზე 5
 შირა - მანი 50, ღირებულება 300
 გამოსაღები იონჯასა და თივაზე 90
 გამოსაღები ფუტკარზე 50
 გამოსაღები კანაფზე 50
 გამოსაღები თაფუსა და ღეშთიბანი - 100
 გამოსაღები მურახხასიე 10
 გამოსაღები ღორზე 90
 გამოსაღები იალალზე 30
 გამოსაღები ცხვარზე 70
 წისქვილი ერთი თვალი 6 თვით 30
 ბაღჰავა და საქორწინო გამოსაღები 170

8. სოფელი თავო, ახლოსაა სოფელ კურძასთან, ექვემდებარება ზემო აჭარას.

ნაქითა ძე ვაბრიელისა
ლულუჯა ბერუკი
ალია ძე მისი
იონანე ძე მახარობლისა
გოგიჩა ფირუნი

ჯამი 5000

ისფენჯი - 5 კაცი, 125
ხორბალი - ქილა 150, ღირებულება 1500
ქერი - ქილა 200, ღირებულება 1600
ფეტვი - ქილა 20, ღირებულება 160
კაკალი - ქილა 10, ღირებულება 200
შირა - მანი 500, ღირებულება 300
გამოსალები ხილზე 195
გამოსალები იონჯასა და თივაზე 120
გამოსალები ფუტკარზე 100
გამოსალები თაფუსა და დეშთიბანზე - 200
გამოსალები მურახხასიე 10
გამოსალები ღორზე 100
გამოსალები იალალზე 90
გამოსალები ცხვარზე 100
წისქვილი ერთი თვალი 6 თვით 30
ბაღჰაეა და საქორწინო გამოსალები 190

9. სოფელი ჩაო ახლოსაა სოფელ თავოსთან, ექვემდებარება ზემო აჭარას.

დავით ძე გუგულასი
გოგიჩა ძე მისი
ვარძელა ძე მასირასი
გოგიჩა ძე მისი
ურქმეზ ძე იმრესი
მეჰმედ ბერული
ბაკურ ძე მისი

ჯამი 7500

ისფენჯი - 7 კაცი, 175
ხორბალი - ქილა 300, ღირებულება 3000
ქერი - ქილა 300, ღირებულება 2400
ფეტვი - ქილა 20, ღირებულება 160
კაკალი - ქილა 10, ღირებულება 200

შირა - მანი 50, ღირებულება 300
გამოსაღები ხილზე 125
გამოსაღები იონჯასა და თივაზე 240
გამოსაღები ბოსტანზე 150
გამოსაღები კანაფზე 130
გამოსაღები მურახხასიე 14
გამოსაღები თაფუსა და დეშთიბანზე - 150
გამოსაღები ფუტკარზე 100
გამოსაღები ღორზე 80
გამოსაღები იალალზე 36
გამოსაღები ცხვარზე 100
წისქვილი ერთი თვალი 6 თვით 30
ბადჰავა და საქორწინო გამოსაღები 120

10. სოფელი ფურტიო, ექვემდებარება ზემო აჭარას.

მახარებელ ძე თავილისა
აზარია ძე მღვდელ იასესი
იასონ ძე მისი
გაგუნა ძე მახარებლისა

ჯამი - 7000

ისფენჯი - 4 კაცი, 100
ხორბალი - ქილა 300, ღირებულება 3000
ქერი - ქილა 300, ღირებულება 2400
ფეტვი - ქილა 10, ღირებულება 80
გამოსაღები კაკალზე - ქილა 5, ღირებულება 100
შირა - მანი 50, ღირებულება 300
გამოსაღები ხილზე 120
გამოსაღები იონჯასა და თივაზე 180
გამოსაღები ბოსტანზე 50
გამოსაღები კანაფზე 70
გამოსაღები თაფუსა და დეშთიბანზე - 150
გამოსაღები მურახხასიე 8
გამოსაღები ღორზე 42
გამოსაღები ფუტკარზე 80
გამოსაღები ცხვარზე 120
გამოსაღები იალალზე 50
ბადჰავა და საქორწინო გამოსაღები 150

11. სოფელი ნენია, ექვემდებარება ზემო აჭარას.

ოქროპირი ძე გაბრიელისა

გაბრიელ ძმა მისი
ბადადა ძე მისი
გოგინა ძე იოსებისა
ბასილი ძმა მისი

ჯამი - 11500

ისფენჯი - 5 კაცი, 125
ხორბალი - ქილა 450, ღირებულება 4500
ქერი - ქილა 500, ღირებულება 4000
ფეტვი - ქილა 10, ღირებულება 80
კაკალი - ქილა 3, ღირებულება 60
შირა - მანი 50, ღირებულება 300
გამოსალები ხილზე 235
გამოსალები იონჯასა და თივაზე 300
გამოსალები ბოსტანზე 250
გამოსალები კანაფზე 150
გამოსალები თაფუსა და დეშთიბანზე - 250
გამოსალები ღორზე 150
გამოსალები ფუტკარზე 190
გამოსალები მურახხასიე 10
გამოსალები ცხვარზე 500
გამოსალები იალალზე 100
ბაღჰავა და საქორწინო გამოსალები 300

12. სოფელი დაბაძველი, ექვემდებარება ზემო აჭარას.

ვარძელი ძე ამარინდოსი
ქარანია ძმა მისი

ჯამი ისფენჯისა და სხვათაგან 7985

13. სოფელი ლაპორი, ექვემდებარება ზემო აჭარას.

დანიელ ძე გუდანასი
გაბრიელ ძე ღონიასი
ღონია ძე მისი
გაბრიელ ძე გოგიასი
ქემრუზი ძე მისი
მახარებელ ძე ბამანასი
ბადადა ძე მისი

ჯამი - 15500

ისფენჯი - 7 კაცი, 175
ხორბალი - ქილა 700, ღირებულება 7000
ქერი - ქილა 750, ღირებულება 6000
ფეტვი - ქილა 125, ღირებულება 1000
კაკალი - ქილა 5, ღირებულება 100
შირა - მანი 50, ღირებულება 300
გამოსალები ხილზე 125
გამოსალები იონჯასა და თივაზე 100
გამოსალები ბოსტანზე 50
გამოსალები კანაფზე 50
გამოსალები თაფუსა და დეშთიბანზე - 200
გამოსალები ღორზე 40
გამოსალები ფუტკარზე 60
გამოსალები მურახხასიე 14
წისქვილი ერთი თვალი 6 თვით 30
გამოსალები იალალზე 16
ბაღჰავა და საქორწინო გამოსალები 240

14. სოფელი დანისპარაული, ექვემდებარება ზემო აჭარას.

ბასილი ძე დანიელისა
მახარებელ ძე მისი
იასე ძე როსტევეანისა
დარისპან ძე მისი
იონე მღვდელი

ჯამი - 10500

ისფენჯი - 5 კაცი, 125
ხორბალი - ქილა 400, ღირებულება 4000
ქერი - ქილა 500, ღირებულება 4000
ფეტვი - ქილა 10, ღირებულება 80
ჭვავი - ქილა 5, ღირებულება 100
გამოსალები ხილზე 255
გამოსალები იონჯასა და თივაზე 340
გამოსალები ბოსტანზე 150
გამოსალები კანაფზე 150
გამოსალები მურახხასიე 10
გამოსალები თაფუსა და დეშთიბანზე - 390
გამოსალები ფუტკარზე 150
გამოსალები ღორზე 150
გამოსალები იალალზე 100
წისქვილი ორი თვალი 6 თვით 60
ბაღჰავა და საქორწინო გამოსალები 440

15. სოფელი კვატია, ექვემდებარება ზემო აჭარას.

სიმონ ძე მამაგელის
სელმან ძე მისი
არაქელ ძე თოროზისა
გოგინა ძე მისი

ჯამი - 12000

ისფენჯი - 4 კაცი, 100
ხორბალი - ქილა 500, ღირებულება 5000
ქერი - ქილა 500, ღირებულება 4000
ფეტვი - ქილა 25, ღირებულება 200
კაკალი - ქილა 5, ღირებულება 100
შირა - მანი 50, ღირებულება 300
გამოსალები ხილზე 200
გამოსალები იონჯასა და თივაზე 350
გამოსალები ბოსტანზე 150
გამოსალები კანაფზე 130
გამოსალები თაფუსა და დეშთიბანზე - 350
გამოსალები ღორზე 150
გამოსალები ფუტკარზე 250
გამოსალები იალალზე 150
წისქვილი ერთი თვალი 6 თვით 30
გამოსალები მურახხასიე 8
ბადკავა და საქორწინო გამოსალები 462

16. სოფელი ოშქანა, ახლოსა ვარდიდაბასთან, ექვემდებარება ზემო აჭარას.

რამაზი ძე ნიკოლოზისა
გეადი ძე მისი
ლევანი ძე ვარძელასი
ადონა ძე მისი
გოგია ძე ალი სელამისა
ნონია ძე მისი

ჯამი - 9400

ისფენჯი - 6 კაცი, 150
ხორბალი - ქილა 300, ღირებულება 3000
ქერი - ქილა 500, ღირებულება 4000
ფეტვი - ქილა 10, ღირებულება 80
გამოსალები ხილზე 80

გამოსაღები ბოსტანზე 190
გამოსაღები იონჯასა და თივაზე 350
გამოსაღები კანაფზე 150
გამოსაღები თაფუსა და ღეშთიბანზე - 450
გამოსაღები მურახხასიე 12
გამოსაღები ღორზე 138
გამოსაღები ფუტკარზე 150
გამოსაღები იალალზე 100
გამოსაღები ცხვარზე 230
წისკვილი ერთი თვალი 6 თვით 30
ბაღჰაუა და საქორწინო გამოსაღები 300

17. სოფელი საქაშთაი (سکاشتا) , ახლოსა სოფელ ბელეთთან, ცარიელია მოსახლეობისაგან, ექვემდებარება ზემო აჭარას.

ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 2000

18. სოფელი ქუდგაური (ქუთაური), ახლოსა სოფელ ხულასთან, ცარიელია მოსახლეობისაგან, ექვემდებარება ზემო აჭარას.

ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 2000

19. სოფელი მაწყვალთა, ცარიელია რეაიასაგან, ექვემდებარება ზემო აჭარას.

ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 5000

20. სოფელი თხილვანა, ექვემდებარება ზემო აჭარას.

კარანია ძე ჯარმუქისა
ბადადა ძე მისი

ჯამი ისფენჯისა და სხვათაგან 7500

21. სოფელი ბულაური, ახლოსა გორშემის (گورشمس) მაქალესთან, ექვემდებარება ზემო აჭარას.

დაებანაზა ბერუკი
მახარებელ ძმა მისი
სიმონა ძე იასონისა
სიმონა ძე ზაბალასი
ბონიჩე ძმა ასარაულისა
ბაბუნა სახელია
მახარებელ სახელია
დაენია სახელია

ჯამი 4000

ისფენჯი - 8 კაცი, 200
ზორბალი - ქილა 150, ღირებულება 1500
ქერი - ქილა 250, ღირებულება 2000
გამოსაღები ბოსტანზე 30
გამოსაღები იონჯასა და თივაზე 40
გამოსაღები თაფუსა და დემთიბანზე - 30
გამოსაღები კანაფზე 20
გამოსაღები ფუტკარზე 20
გამოსაღები ღორზე 40
გამოსაღები იალაზე 30
გამოსაღები მურახხასიე 16
ბადჰავა და საქორწინო გამოსაღები 74

22. სოფელი ტბეთი, ახლოსაა სოფელ ლუი ავალთან, ცარიელია მოსახლეობისაგან. ექვემდებარება ზემო აჭარას.

ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 1500

23. სოფელი შუნაღვარი, ექვემდებარება ზემო აჭარას.

ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 3000

24. სოფელი ჭურთა (ჰაჰჰ), ცარიელია მოსახლეობისაგან. ექვემდებარება ზემო აჭარას.

ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 2000

25. სოფელი კონანა, ახლოსაა სოფელ შუბანთან, ცარიელია მოსახლეობისაგან. ექვემდებარება ზემო აჭარას.

ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 999

26. სოფელი კალოთა, ახლოსაა სოფელ ოშქანასთან, ცარიელია მოსახლეობისაგან. ექვემდებარება ზემო აჭარას.

ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 3500

27. სოფელი ქოჩახი, ახლოსაა სოფელ კალოთასთან, ცარიელია მოსახლეობისაგან. ექვემდებარება ზემო აჭარას.

ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 4000

28. სოფელი მაქეთა, ახლოსაა სოფელ თხილვანასთან, ცარიელია მოსახლეობისაგან. ექვემდებარება ზემო აჭარას.

ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 3000

29. სოფელი რაგთა, ახლოსაა სოფელ დაბაძველთან, ცარიელია მოსახლეობისაგან. ექვემდებარება ზემო აჭარას.

ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 8500

30. სოფელი ხიხაძირის ციხის რაბათი, მეორე სახელი ბარათაული, ცარიელია მოსახლეობისაგან. ექვემდებარება ზემო აჭარას.

ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 5000

31. სოფელი გუდნა (Կաճ), ცარიელია მოსახლეობისაგან. ექვემდებარება ზემო აჭარას.

ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 10000

32. სოფელი ხულა, ახლოსაა დიაკონიძისა და გუდისხევის მაჰალეებთან, ექვემდებარება ზემო აჭარას.

გოგიჩა ძე გიორგისა
აღდგომელა ძე მისი
გივა ძე აქუმისა
ოქროპირი ძმა მისი
ოქროპირი ძე კარაბილისა
გარსევან ძე გორდულასი
შალიქ ძე მისი
ანუქა ძე ლალიასი
ყანდურალი ძე მისი
იოანე ძე გიორგისა
სადაქა ძე მისი
ანანია ძე მექისა
გიორგი ძმა მისი
თაენიდი ძე მისი
ბასილ ძე ანბალისა
ჯანერ ძმა მისი
ერლომ ძე აბრამისა
გიორგი ძმა მისი
ბაქილ ძე მისი
ბაქილ ძე ხარანისა

ბასილ ძმა მისი
გიორგი ძე მისი
ომანურ ძე ლევანასი
მაზარებელ ძმა მისი
მელიქ ძე იოსებასი
დარისპანი ძმა მისი
ლევანი ძე ვანაქითისა
იოსებ ძმა მისი
გაბრიელ ძე მისი
როსტომ ძე ნაქითასი
ენუქი ძმა მისი
ბასილი ძე მისი
მანველ ძე იოსებისა
გაბრიელ ძმა მისი
გიორგი ძე დარისპანისა
გუმპას ძე გურდაჯასი
ბასილი ძე ონანოსი

მიწა ჰარანუნისა ჰუსეინ ზაიმის მფლობელობაში, თანახმად შარიათის
ჰუჯეთისა იძლევა ბეჰრესა და გამოსაღებს.

ჯამი 9000

ისფენჯი - 37 კაცი, 925
ხორბალი - ქილა 300, ღირებულება 3000
ქერი - ქილა 250, ღირებულება 2000
ფეტვი - ქილა 50, ღირებულება 400
კაკალი ქილა 5, ღირებულება 100
შირა მანი 200, ღირებულება 1200
გამოსაღები ხილზე 75
გამოსაღები ბოსტანზე 70
გამოსაღები იონჯასა და თივაზე 150
გამოსაღები კანაფზე 80
გამოსაღები თაფუსა და დეშთიბანზე - 200
გამოსაღები ფუტკარზე 80
გამოსაღები ღორზე 60
გამოსაღები მურახხასიე 74
გამოსაღები ცხვარზე 186
გამოსაღები იალალზე 40
წისქვილი ორი თვალი 6 თვით 60
წისქვილი გავერანებული 2
ბაღჰავა და საქორწინო გამოსაღები 150

ვენახი გურანურისა ერთი ნაკვეთი, ასქუნასი ერთი ნაკვეთი და ღირანურისა

33. სოფელი ღორჯოში, ექვემდებარება ზემო აჭარას.

იოანე ძე გიორგისა
გოჩა ძე მისი
ქალადა ძმა მისი
ვარზელა ფირუზი
გაბრიელ ძე მისი
მახარებელ ძმა მისი
გაბრიელ ძმა მისი
მურად ძე გიორგისა
აბუსიმის ძმა მისი
ბარიმა ძე მისი
მახარებელ ძე ოქროპირისა
გიორგი ძე მისი
გირქული ძმა მისი
ბაბუსა ფერული
აბრამ ძე გულიასი
გრიგოლ ძე მისი
აბრაქელა ძმა მისი
ბასილი ფირული
არაქელა ძე ზაქასი
გიორგი ძმა მისი
მახარებელ ძმა მისი
გიორგი ძე არაქელისა
მახარებელ ძე მისი
ალია ძმა მისი
იოსებ ძე გიორგისა
იასე ძმა მისი
მახარებელ ძე მისი
გოგინა ძმა მისი
საბინა ძე მამაქულისა
იოანე ძმა მისი
აბრამ ძმა მისი
იოანე ძე როსტევეანისა

ჯამი 2999

ისფენჯი - 32 კაცი, 800
ზორბალი - ქილა 1200, ღირებულება 12000
ქერი - ქილა 1500, ღირებულება 12000
ფეტვი - ქილა 250, ღირებულება 2000

კაკალი ქილა 10, ღირებულება 200
გამოსაღები ხილზე 250
გამოსაღები ბოსტანზე 150
გამოსაღები იონჯასა და თივაზე 200
გამოსაღები კანაფზე 200
გამოსაღები თაფუსა და ღეშთიბანზე - 250
გამოსაღები ფუტკარზე 130
გამოსაღები მურახხასიე 64
გამოსაღები იალაღზე 36
გამოსაღები ცხვარზე 200
წისქვილი სამი თვალი 6 თვით 90
ბადჰავა და საქორწინო გამოსაღები 299

34. სოფელი დიდი აჭარა, ექვემდებარება ზემო აჭარას.

იასე ძე არაქელისა
დავით ძმა მისი
გოგია ძმა მისი
მამაცა ძე ქარიასასი
პაპუნა ძმა მისი
